კვლევის მიზანია გავანალიზოთ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პოტენციალი, მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და მათი ადეკვატურობა. ნაშრომში განხილულია უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირში შესული ქვეყნების მდგომარეობა, რათა პარალელები გაგვევლო საქართველოსთან.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შემდეგ ქართველი მეწარმეების ინტერესი ევროკავშირში პროდუქციის გატანაზე გაღრმავდა. 2015 წლიდან დაწყებული ღვინის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ ნაშრომში საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განხილვა განვახორციელეთ ღვინის მწარმოებელი კომპანიების მაგალითზე. ამავე დროს დავინტერესდით თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შედეგია ეს თუ არა.

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ზომითი კატეგორიის ღვინის მწარმოებელი კომპანიის საქმიანობა გავანალიზეთ როგორც მათ მიერ ანგარიშგების პორტალზე გასაჯაროებული მმართველობითი ანგარიშგებებით, ისე მათთვის კითხვარების დაგზავნით. დავუგზავნეთ 1500 კომპანიას კითხვარი, თუმცა კვლევაში მონაწილეობა მიიღო 74-მა კომპანიამ.



კვლევის პროცესში გამოყენებულია ემპირიული კვლევისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. აგრეთვე ნაშრომში ჩავრთეთ რამდენიმე საზოგადოებრივი კვლევის შედეგი და წარმოვადგინეთ მათი შედარებითი ანალიზი.

ნაშრომი უმთავრესად ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, მხოლოდ ნაწილობრივ არის გაანალიზებული პრობლემატიკა. არსებულმა ფაქტორებმა შესაძლოა, შეაფერხოს შედეგების განზოგადება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია 2014 წლიდან დღემდე ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით დასრულებულ და მიმდინარე რეფორმებსა და პროექტებზე, აგრეთვე ამ რეფორმების და პროექტების განსახორციელებლად განსაზღვრულ დაფინანსების წყაროებზე და ოდენობაზე (როგორც სესხების, ისე გრანტების).

ვფიქრობთ, საქართველოს არ აქვს ევროკავშირში შესვლის შანსი მანამ, სანამ არ განვითარდება ისე რომ ევროკავშირისთვის მისი გაწევრიანება შენაძენი იყოს და არა დამატებითი ტვირთი. გეზი ნამდვილად ევროკავშირისკენ უნდა იყოს მიმართული, შთამბეჭდავია მათგან ფინანსური დახმარებები. ეს რომ სულ გრანტები ყოფილიყო მართლაც კარგი იქნებოდა. საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ბაზრების ათვისება. დღეს არსებული გამოწვევები მოითხოვს ეკონომიკის ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც საქართველოს პოტენციალს შეესაბამება და უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურ ზრდასა და სამუშაო ადგილებს.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირში ინტეგრაცია, ექსპორტი, საექსპორტო პოტენციალი.

## **Abstract**

The purpose of the study is to analyze the integration potential of Georgia in the EU, the steps taken by the government in this direction, and their adequacy. The article examines the situation of the countries that have recently joined the EU, in comparison with Georgia.

After the launch of DCFTA, the interest of Georgian entrepreneurs in exporting products to the EU has increased. Since 2015, Georgia's wine exports have increased significantly, so we discussed the export potential of Georgia using the example of wine companies. At the same time, we were interested in whether this is the result of the launch of a free trade zone.

We analyzed the activities of wine companies of various categories both with the help of management accounts, published by them on the reporting portal, and by sending them questionnaires. We've sent out questionnaires to 1,500 companies, although 74 companies participated in the survey.

Empirical research and statistical analysis methods are used in the research process. We also included the results of several public surveys in the paper and presented their comparative analysis.

The paper is mainly based on official statistics, only partially analyzed the problems. Existing factors may hinder the generalization of results. However, it should be noted that we have requested information from the Ministry of Finance of Georgia on the completed and ongoing reforms and projects in the field of free trade with the EU since 2014, as well as the sources and amount of funding (both loans and grants) for these reforms and projects.

We think that Georgia does not have a chance to join the EU until it develops so that its membership in the EU is an acquisition and not an additional burden. The way should definitely be towards the EU,

the financial aid from them is impressive. It would be good if there were total grants. It is no less important for Georgia to develop other markets. Today's challenges require the development of sectors of the economy that meet Georgia's potential and ensure sustainable economic growth and jobs.

**Key words:** EU integration, export, export potential.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები

ლიანა ავაქიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის შიდა მექანიზმები დიდი ხანია რაც დამკვიდრებულია, მოცემული ინფორმაცია არის საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც აუცილებელია უსდ-ს წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

ნაშრომში განხილულია თვისებრივი კვლევა უსდ-ს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების შესახებ, რომლის მიზანიც არის:

- უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის საქმიანობის შეფასება და ანალიზი;
- უნივერსიტეტების ხარისხის შიდა მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- უნივერსიტეტების ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკის გაცნობა;

ასევე განხილულია რაოდენობრივი კვლევა სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სტუდენტთა კმაყოფილების შეფასებასა და პრობლემური მხარეების გამოკვეთას უნივერსიტეტის ხარისხთან დაკავშირებით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უნივერსიტეტების ხარისხის კულტურაზე, იმაზე თუ როგორ აყალიბებენ შიდა ხარისხის მექანიზმებს, იყენებენ თუ არა მონიტორინგსა, თვითშეფასებას და რა გამოწვევებს აწყდებიან შიდა მექანიზმების გამოყენებისას, ასევე როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** შიდა მექანიზმები, ხარისხის კულტურა, კმაყოფილება, მონიტორინგი, ეფექტიანობის შეფასება.

### Abstract

Internal quality mechanisms have been established in higher education institutions for a long time, the given information is public and available to everyone on the websites of universities. Internal Quality Assurance This is an ongoing process that is essential for the successful functioning of the HEI.

The paper discusses a qualitative study on the internal mechanisms of quality development of HEI, which aims to:

- Evaluate and analyze the activities of the University Quality Department;

- Receiving information on internal mechanisms for the quality of universities;
- Familiarization with the quality improvement and development policies of universities.

Quantitative research on student satisfaction is also discussed, the purpose of this study is to assess the satisfaction of university students and to identify problematic aspects related to the quality of the university.

The paper focuses on the quality culture of universities, how they formulate internal quality mechanisms, whether they use monitoring and self-assessment, and what challenges they face in using internal mechanisms, as well as how the effectiveness of quality assurance mechanisms is assessed.

**Key words:** Internal mechanisms, Quality culture, Satisfaction, Monitoring, Efficiency evaluation.

## საქართველოს საინვესტიციო ბაზრის განვითარების პრობლემები და სრულყოფის გზები

ანა ზარანდია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა საინვესტიციო სახსრების მძაფრ დეფიციტს განიცდის, ერთადერთ რეალურ გამოსავალს საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილება წარმოადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა პირდაპირი ინვესტიციების ნაცვლად პორთფელური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს, კერძოდ კი ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნაში უნდა გამოიხატოს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის, როგორც ინსტიტუციონალური მექანიზმის მნიშვნელობის დასახასიათებლად საკმარისია იმ სფეროების ჩამოთვლა, რომლებშიც იგი მთავარ როლს ასრულებს. მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ყველა ქვეყანაში სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება ბიზნესის დაფინანსება, დაგროვილი ფინანსური რესურსების დაბანდება, საბიუჯეტო დეფიციტის და მუნიციპალური პროექტების დაფინანსება, დაგროვებით საპენსიო სქემებში და სადაზღვევო კომპანიებში აკუმულირებული ფინანსური სახსრების დაბანდება.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით ხდება რეალურად შესაძლებელი ბიზნესის გამჭვირვალობის ზრდა, კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, საინვესტიციო სახსრების მულტიპლიკაციური ეფექტი, ცალკეული დარგების და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მკაფიო ორიენტირების გაჩენა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ქვეყნისათვის მოაქვს ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ეფექტები, როგორებიცაა: მოსახლეობის ფართე ფენების ჩართვა მსხვილ ბიზნესში (ბიზნესის და მოსახლეობის ფართე ფენების პირდაპირი ინტერესების თანხვედრა) და სააქციო საზოგადოების, როგორც მართვის დემოკრატიული სისტემის მოდელის გამოყენება ქვეყნის და მუნიციპალური სუბიექტებთან მიმართებაში.

მხოლოდ სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას ძალუმს სტიმული მისცეს საინვესტიციო აქტივობას და მოგების გადანაწილებას საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე. ასეთ სტიმულს შეუძლიათ საქართველოში დააბრუნონ ის ფულადი

სახსრებიც, რომელთაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია და ფუნქციონირებას განაგრძობენ სხვადასხვა დასავლურ საბანკო ანგარიშებზე, ან ჩართულნი არიან სხვა ქვეყნების ეკონომიკაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება გამოვიდეს საქართველოს ეროვნული ბანკიდან დამოუკიდებელ სტრუქტურად ან დაზღვევასთან ერთად, ასევე ყველა საბაზრო ფინანსურ ინსტრუმენტზე ვაჭრობამ და ანგარიშსწორებამ თავი მოიყაროს საფონდო ბირჟაზე და ცენტრალურ დეპოზიტარში.

**საკვანძო სიტყვები:** საინვესტიციო ბაზარი, საინვესტიციო პოლიტიკა, ფასიანი ქაღალდები.

## **Abstract**

Today, when our country is experiencing a severe shortage of investment funds, the only real solution is a change in investment policy, which should be reflected in the creation of a portfolio investment environment, in particular in the liquid securities market, instead of direct investments. To characterize the importance of the securities market as an institutional mechanism, it is sufficient to list the areas in which it plays a key role. In more or less developed countries of the world, it is through the securities market that business is financed, accumulated financial resources are invested, budget deficits and municipal projects are financed, accumulated funds are accumulated in pension schemes and insurance companies.

It is noteworthy that only with the development of the securities market is it possible to increase the transparency of the business, to establish the best practices of corporate governance, the multiplicative effect of investment funds, the emergence of clear orientations of individual sectors and the state of the country's economy. In addition, the development of the securities market has important socio-political effects for the country, such as the involvement of large sections of the population in big business (coincidence of direct interests of business and broad sections of the population) and the use of joint stock companies as a model for democratic governance.

Only purposeful state policies can stimulate investment activity and redistribute profits to finance investment projects. Such incentives can also return to Georgia those funds that have left the country and continue to operate in various Western bank accounts, or are involved in the economies of other countries.

Based on the above, it is advisable to regulate the securities market independently from the National Bank of Georgia together with insurance or insurance, as well as to trade and settle on all market financial instruments on the stock exchange and the central depository.

**Key words:** Investment market, investment policy, securities.

# ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

მარიამ გუდაბე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## აბსტრაქტი

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მას დიდი ადგილი უკავია მსოფლიო მოსახლეობის ცხოვრებაში, მათ განვითარებაში. ის ეკონომიკის ერთ-ერთი განმავითარებელი სფეროა, ამიტომ ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ტურიზმი წარმოადგენს ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულს დარგს, რომლის მიმართ არაერთი მასტიმულირებელი ღონისძიება ხორციელდება წლების განმავლობაში. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა შესანიშნავი ბუნებით, ისტორიული ძეგლებით, უძველესი კულტურითა და სტუმართმოყვარე ხალხით, ამიტომაც, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებს. მისი განვითარება ამცირებს უმუშევრობის დონეს, მოსახლეობისთვის წარმოადგენს დამატებითი შემოსავლების წყაროს, ხელს უწყობს ქართული ისტორიული და კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას.

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობა კვეთრად გაიზარდა. ეს განაპირობა ტურისტების რაოდენობის მატებამ და მოგზაურობიდან მიღებულმა გაზრდილმა შემოსავლებმა. შესაბამისად, ტურიზმის მიღწევები და გავლენა ეკონომიკაზე მრავალმხრივ განისაზღვრა. მაგალითად, ტურიზმის სექტორის წილისა და ტურისტთა რაოდენობის ზრდა, მათი ყოველდღიური საშუალო დანახარჯების ზრდა. შთამბეჭდავია ის სარგებელი, რომელიც ტურიზმის დარგს ეკონომიკისთვის მოაქვს. მის მნიშვნელოვნებას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ იზრდება ტურიზმის გავლენა დასაქმებაზე და მშპ-ზე.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ტურიზმის მნიშვნელობა საქართველოს მაგალითზე, მისი პოტენციალი, საშუალებები, პერსპექტივები და ტენდენციები, რაც ტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება. განხილულია ასევე კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც ტურიზმის სფეროს შეეხო. ნათელია ის რომ კორონა ვირუსმა მთლიანად შეცვალა აქამდე არსებული ცხოვრება და ყველა სფეროზე უარყოფითად იმოქმედა. ფუნქციონირება შეწყვიტეს ტურისტულმა სააგენტოებმა, ავიაკომპანიებმა, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესმა. პანდემიამ დააზარალა ტურიზმის სფერო. მკაცრი რეგულაციების ფონზე შემცირდა ტურისტების რაოდენობა, შესაბამისად შემცირდა შემოსავლები ამ დარგში, რამაც სავალალო შედეგი მოუტანა ქვეყნის ეკონომიკას.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ეკონომიკა, პანდემია.

## Abstract

Tourism is an important sector of the economy. It occupies a large place in the life of the world population, in their development. It is one of the developing field of the economy, so special attention is paid to this field. As in different countries of the world, of course, tourism in Georgia is one of the priority sectors of the Georgian economy, towards which a number of stimulating measures are being

implemented over the years. Because our country is distinguished by wonderful nature, historical monuments, ancient culture and hospitable people. Therefore, the impact of both international and domestic tourism has a positive effect on the Georgian economy. Its development reduces the level of unemployment, is a source of additional income for the population, promotes the promotion of Georgian historical and cultural values.

The importance of the tourism industry in Georgia has increased dramatically over the past decade. It conditioned An increase in the number of tourists and an increase in travel income. Consequently, the achievements and impact of tourism on the economy have been defined in many ways. For example, an increase in the share of the tourism sector and the number of tourists, an increase in their average daily expenditures. The benefits that the tourism industry brings to the economy are impressive. Its importance is also due to the fact that the impact of tourism on employment and GDP is growing.

This paper presents the importance of tourism on the example of Georgia, its potential, means, prospects and trends, which is considered a contributing factor to tourism development. Challenges related to the Covid Pandemic in the field of tourism are also discussed. It is clear that the coronavirus has completely changed the life so far and has negatively affected all fields. Businesses of travel agencies, airlines, hotels and restaurants have temporarily ceased operations. Against the background of strict regulations, the number of tourists has decreased, consequently the incomes in this field have decreased, which has brought a disastrous result to the country's economy.

**Key words:** Tourism, economy, pandemic.

## ქართულ ბაზარზე არსებული კერძო უნივერსიტეტების მიერ გატარებული მარკეტინგული ღონისძიებები და მათი ეფექტიანობა

თამუნა მჭედლიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

21-ე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით აქტუალური გახდა სასწავლო დაწესებულებების მიერ სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიების წამოწყება. კერძო თუ საჯარო უნივერსიტეტებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყეს ბრენდებზე ჩამოყალიბება და ისეთი იმიჯის მორგება, რომელიც მოიზიდავდა პოტენციურ სტუდენტებს. საქართველოს ბაზარზე არაერთი ძლიერი კერძო უნივერსიტეტია, რომელთა შორის კონკურენცია საკმაოდ მძაფრ ხასიათს ატარებს.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რათა გამოგვეკვლია რამდენიმე წამყვანი კერძო უნივერსიტეტის ბრენდის პოზიცია საქართველოში. ასევე დაგვედგინა რა მარკეტინგულ ღონისძიებებს ატარებს ესა თუ ის ქართული კერძო უნივერსიტეტი პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად და რამდენად ეფექტურად მუშაობს მათ მიერ გატარებული ღონისძიებები. კვლევის შედეგებმა გამოკვეთა რამდენიმე წარმატებული მაგალითი, რომლებიც განხილულია სტატიაში.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგული კომპანიები, კერძო უნივერსიტეტები, კონკურენცია.

## Abstract

From the beginning of the 21st century, it has become especially relevant for educational establishments to launch various marketing campaigns. Private or public universities around the world have begun to establish themselves as brands and to create an image that will attract potential students. There are a number of strong private universities on the Georgian market, and the competition between them is quite fierce.

We conducted a survey to examine the brand position of several leading private universities in Georgia. We also found out what marketing activities are carried out by this or that Georgian private university to attract potential students and how effectively the activities carried out by them work. The results of the study highlighted some successful examples discussed in the article.

**Key words:** Marketing companies, private universities, competition.

## საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები

საბა სურმავა,

ირინა ნეფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ნებისმიერი ერის ბიზნესის თავისებურებებზე სერიოზულ გავლენას ახდენს მენტალიტეტი და ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. ბიზნესის წარმართვასა და საქმიან კულტურაში იგულისხმება ნორმებში, ღირებულებებში და ცოდნაში გამოხატული ურთიერთობების სისტემა ბიზნესის სფეროში.

გლობალიზაციის შედეგად ამჟამინდელი მსოფლიო უფრო ძლიერი და იმავდროულად უფრო მყიფე გახდა. თანამედროვე მსოფლიოს რთულ ტრანსფორმაციებს მართო ეკონომიკური ფაქტორები არ განაპირობებს, გარდა ამისა, კრიზისი ერთნაირად მწვავეა ეკონომიკის, სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურის სფეროებში, რაც ასევე მწვავე კონფლიქტებს უწევს პროვოცირებას მთელ რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში.

თემის აქტუალობას განაპირობებს საქართველოში ბიზნესის განსავითარებლად საჭირო ქმედებებისა და სტრატეგიების მოძიებისა და შემუშავების აუცილებლობა, რაც გარკვეულწილად სარგებლობას მოუტანს ქვეყანას და განავითარებს ქართულ ბიზნესსა და ეკონომიკას, რისი დეფიციტიც სამწუხაროდ არის დღესდღეობით, განსაკუთრებით კი კოვიდპანდემიის შემდგომ. ასევე იმ გზების მოძიება, რომელიც აუცილებელია მენეჯერების სწორი გადაწყვეტილებებისა და ხედვისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ საქმიანობას ქართულ ბიზნესსა და მათთან დაკავშირებულ პარტნიორებთან ურთიერთობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ბიზნესი, მენტალიტეტი.

## Abstract

The business mentality of any country seriously affects the mentality, and Georgia is no exception. Business management and business culture is a system of relationships expressed in norms, values and knowledge in the field of business.

As a result of globalization, the world today has become stronger and at the same time more fragile. Difficult transformations of the modern world are caused not only by economic factors, moreover, the crisis is no less acutely felt in the economic, social, political or cultural spheres, which also provokes acute conflicts in a number of countries and regions.

The relevance of the topic is determined by the need to find and develop the necessary actions and strategies for business development in Georgia, which will bring certain benefits to the country and will contribute to the development of Georgian business and economy, which, unfortunately, is lacking today, especially after the epidemic. As well as finding the ways that managers need to make the right decisions and visions that will facilitate their activities in Georgian business and related partners.

**Key words:** Georgian business, mentality.

## ტურიზმის ინდუსტრიის „შემოსავლიანობის“ ზრდის მიმართულებები

ანა ფხაკაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საქართველოში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. სახელმწიფო სექტორი სამომავლო მიზნად სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით გეგმავს სხვადასხვა ინვესტიციების განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს, სამომავლოდ ეკონომიკის გაუმჯობესებას და ტურიზმი აქციოს დარგად, რომელიც რეალურად გაზრდის ქვეყნის ბიუჯეტს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გაწერილია დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის ცნობადობას აამაღლებს მსოფლიო მასშტაბით და შედეგად გაზრდის კიდევ ვიზიტორთა რაოდენობას.

ცნობილია, რომ ტურისტები ქვეყანას სხვა და სხვა მიზნით სტუმრობენ და გარკვეულ თანხასაც ხარჯავენ სხვადასხვა მათთვის საინტერესო პროდუქტსა თუ მომსახურებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც არამხოლოდ ვიზიტორები, ადგილობრივი მოსახლეობაც ბიუჯეტის სოლიდურ ნაწილს ხარჯავს კვებაა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არცთუ ისე დიდი რაოდენობით იწარმოება საბოლოო მოხმარების პროდუქტი და წარმოებულის უდიდესი ნაწილის დასამზადებლად საჭირო ნედლეულსაც ქვეყანა სხვადასხვა ქვეყნიდან ყიდულობს. ამიტომ, საინტერესოა რეალურად, ტურისტების მიერ დახარჯული თანხის რა ნაწილი რჩება ქვეყანაში.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს დადგინდეს ყოველწლიურად ქვეყანაში რამდენი ვიზიტორი ჩამოდის, როგორია მათი სტუმრობის ხანგრძლივობა, რა თანხას ხარჯავენ ეს ადამიანები და როგორია მათ მიერ დახარჯული ფულადი რესურსის პროცენტული განაწილება სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებაზე. ამასთან ნაშრომში აღნიშნულია როგორ ცდილობს სახელმწიფო სექტორი ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლებას მსოფლიოს



გარშემო და ტურისტთა მიერ დახარჯული თანხის რა ნაწილი რჩება რეალურად საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ვიზიტორები, ფულადი რესურსი.

### **Abstract**

Tourism development is one of the priority issues in Georgia. The public sector plans to make various investments in this direction in the future, in order to promote the future of the economy. Improve and turn tourism into a sector that will actually increase the country's budget. Official of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. The page lists a detailed action plan that will make the country more recognizable which increase worldwide and as a result even increase the number. It is known that tourists visit the country for different purposes and spend some money on different products or services of interest to them. One of the important areas where not only visitors, but also locals spend a solid part of the budget is food. It is also noteworthy that Georgia does not produce a large amount of final products and the country buys the raw materials needed to make most of the products from different countries. Therefore, it is interesting to know what part of the money spent by tourists remains in the country.

The purpose of this paper is to determine how many visitors will come to the country each year, and what is the duration of their visit, how much they spend and what is the percentage of money spent on different products and services. At the same time, the paper mentions how the public sector is trying to raise awareness about the country around the world and what part of the money spent by tourists actually remains in Georgia from visitors.

**Key words:** Tourism, visitors, monetary resources.

## **საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიული დარგების მიმოხილვა და ანალიზი**

**გიორგი ოქროპირიძე**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### **აბსტრაქტი**

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მუდმივ პრობლემად რჩება ეკონომიკის განვითარება. სხვადასხვა მიზეზის გამო, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება შესაძლებლობების მაქსიმუმის განხორციელება. თავდაპირველ ეტაპზე ამის მთავარ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ შიდა არეულობა, პოსტსოციალისტური მდგომარეობა, სათანადო კვლევების არარსებობა და ა.შ. უკანასკნელ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულების კვლევები, რომლებიც დეტალურად გვაჩვენებენ პრობლემებს, გამოწვევებსა და პერსპექტივებს. უეჭველია, რომ შესაბამისი გაანალიზებისა და მსჯელობის გარეშე რაიმე წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტია მრეწველობა (მძიმე და მსუბუქი, კვების და სხვ), სოფლის მეურნეობა, მომსახურება და ა.შ. ამ ნაშრომში, სხვადასხვა კვლევაზე

და ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, შევეცდები მიმოვიხილო და ავლწერო ეკონომიკის ის დარგები, რომლებიც ყველაზე მეტადაა პერსპექტიული და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული ეს დარგები მოცემულია სხვადასხვა ბაზრის მიხედვით. მაგალითის სახით, კვლევების შედეგად გამოვლინდა ევროკავშირის ბაზარზე ყველაზე პერსპექტიული სამრეწველო მიმართულებებია: ტანსაცმლის წარმოება; ფეხსაცმლის წარმოება; ტყავის დამასთან დაკავშირებული საქონლის წარმოება; ხის და კორპის წარმოება, ნაკეთობების წარმოება ჩაის და წნული მასალებისგან; ავეჯის წარმოება. დანარჩენი დეტალები დაწვრილებითაა წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ნაწილში.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, მრეწველობა.

# სოციალური მეცნიერებები

# ევროკავშირი და მასში არსებული მიგრაციის პრობლემა

გვანცა ცანავა

საქართველო ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## აბსტრაქტი

პირველ რიგში ხაზს იმ ფაქტს გავუსვამ, რომ დღეს მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო ორგანიზაციები. ასეთი ერთ-ერთი ორგანიზაცია გახლავთ ევროკავშირი. ბევრმა სხვადასხვა მიზეზმა და ასევე ზემოთხსენებულმა არგუმენტმა გამოიწვია ჩემი ასეთი ინტერესი ევროკავშირის მიმართ, ამიტომ მინდა გაგიზიაროთ მისი შექმნის მიზეზი, რას ემსახურება იგი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე ვისაუბრებ წარმოქმნილ პრობლემებზე რომლებიც ამ ორგანიზაციამ გადალახა. მათ შორის ყველაზე გამოირჩეულზე, მიგრაციის საკითხზე. მის გამომწვევ მიზეზებზე, ზემოთ ხსენებული პრობლემის გადაჭრის მოსაზრებებზე რაც შეეხება ჩემს ნაშრომს იგი შედეგება შესავალი ნაწილისგან, დასკვნისკან გამოყენებული ლიტერატურისგან და იგი ასევე შეიცავს მეთოდოლოგიას.

შესავალში ვისაუბრებ ევროკავშირის შექმნის ისტორიაზე, იმაზე თუ რატომ არის ის დღემდე ასეთი აქტუალური. რა იყო მისთვის პრიორიტეტი, აუცილებლად შევეხები იმ პრობლემებს რომლებიც ამ ორგანიზაციამ გადალახა. ასევე ნაშრომში არის გამოკითხვის შედეგები. ასევე ვისაუბრებ პრობლემაზე რასთან ბროლაც ევროკავშირს უწევს დღემდე, კერძოდ საუბარი მაქვს მიგრაციაზე.

შემდეგ ნაწილში მიგრაციის საკითხის, შევეხები და გაჩვენებთ რა საშიშროებასთან ასოცირდება იგი, წარმოგიდგენთ ევროკავშირის პოზიციას ამ საკითხის მიმართ. ვისაუბრებ იმ ნაბიჯებზე, რომელსაც ევროკავშირი დგამს იმისთვის რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრას .

დასკვნით ნაწილში, შევაჯამებ ყველაფერს, და წარმოგიდგენთ დასკვნის სახით. ნაშრომში ასევე მოცემული იქნება ბიბლიოგრაფია.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკა, ევროკავშირი, მიგრაცია, მშვიდობა, საერთაშორისო ურთიერთობები.

## Abstract

First of all, I would like to note that today international organizations are very popular all over the world, including in Georgia. One such organization is the European Union. Its pros and cons, I will also talk about the challenges this organization has overcome. Among them, the most visible is the problem of migration.

In the introduction, I will tell you about the history of the creation of the European Union, why it is so relevant today. What was his priority, I will definitely touch on the problems that this organization has overcome, and also the article avoids the results of the survey. I will also talk about the problem that the EU is still facing, in particular about migration.

The next section will introduce you to the problem of migration, show the dangers associated with it and present the EU's position on this issue. I will talk about the steps the EU is taking to address this issue.

In the final section, I will summarize everything and present it as a conclusion. A bibliography will also be presented in the article.

**Keywords:** Politics, EU, migration, peace, international relations.

## ბრექსიტის გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციაზე

გოჩა მიქაუტაძე,

ლევან მირუაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

უკანასკნელი დეკადების ერთ-ერთი უპრეცედენტო მოვლენა- Brexit-ი დასრულდა, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი „განქორწინდნენ“, თუმცა იგი საერთაშორისო საზოგადოების განხილვის საგნად კვლავაც რჩება. რეფორმირდა მსოფლიო კავშირები. Brexit-ი სერიოზულ გამოწვევად რჩება, როგორც დიდი ბრიტანეთისათვის, აგრეთვე ევროკავშირისათვის. ცხადია, ამ ფართომასშტაბურმა მოვლენამ მოიცვა ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც მისკენ მიისწრაფიან. საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი ქვეყანაა. მისი დასავლური პოლიტიკის კურსი კი კონსტიტუციითაა გაწერილი და იგი დაკავშირებული არის გამოწვევებთან.

კვლევა ეძღვნება დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის იმ ვექტორის შესწავლას, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს სტრატეგიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. კვლევის მიზანია Brexit-ის როლის გამოკვეთა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესთან მიმართებაში. შესაბამისად, გაანალიზდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა Brexit-მდე და Brexit-ის შემდეგ, ის ტენდენციები, რომლებიც ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაზე პოტენციურ გავლენას ახდენს და დიდი ბრიტანეთის ქმედითი პოლიტიკა, რომელიც რუსეთის ძალას მნიშვნელოვანწილად ზღუდავდა კავშირში. კვლევის მიზნებსა და ამოცანებს რომ ვუპასუხოთ, მიგვაჩნია, რომ პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ საკვლევ შეკითხვას: რა გავლენას იქონიებს Brexit-ი საქართველოს ევროინტეგრაციაზე? რაც შეეხება მეთოდოლოგიას, კვლევა ემყარება თვისებრივი კვლევის ემპირიულ ნაწილს. კერძოდ, დოკუმენტაციისა და მეორეული ლიტერატურის ანალიზს, აგრეთვე გაანალიზდა ოფიციალური პირების განცხადებები და მათი დამოკიდებულება საკითხის მიმართ. საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის ჩატარდა საექსპერტო ინტერვიუ საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთან.

დიდი ბრიტანეთის გასვლით ევროკავშირიდან საქართველომ დაკარგა ძლიერი პარტნიორი ორგანიზაციაში, რომელსაც საკმაოდ დიდი ბერკეტები გააჩნდა, თუმცა ეს ვერ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას საბოლოო შედეგზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბრექსიტი, ევროინტეგრაცია, საქართველო, ევროკავშირი.

## Abstract

One of the most unprecedented events of recent decades - Brexit - is over, the UK and the EU are "divorced", but it remains a topic of discussion in the international community. World connections were reformed. Brexit remains a serious challenge for both the UK and the EU. Clearly, this large-scale event has involved non-EU countries aspiring to it. Georgia is a country on the path of European integration. The course of Western policy is enshrined in its Constitution and it is associated with a number of challenges.

The study is dedicated to the vector of the UK and the EU that influences the implementation of Georgia's strategic foreign policy. The aim of the study is to highlight the role of Brexit in Georgia's European integration process. Accordingly, the EU's foreign policy before and after Brexit was analyzed, the trends that have a potential impact on EU enlargement policy, and the effective UK policy, which significantly limited Russia's power in the Union. In order to answer the aims and objectives of the study, we believe that the following research question should be answered: What impact will Brexit have on Georgia's European integration? As for the methodology, the research is based on the empirical part of qualitative research. In particular, the analysis of documentation and secondary literature, as well as the statements of officials and their attitudes towards the issue were analyzed. An in-depth interview with an international relations expert was conducted to analyze the issue.

With the withdrawal of the United Kingdom from the EU, Georgia has lost a strong partner in the organization, which had quite a lot of leverage, although this can not have a significant negative impact on the final result.

**Key Words:** BREXIT, European Integration, Georgia, European Union.

## საქართველო და "ექვსი ერის პლატფორმა"

ელგუჯა სეხნიაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა)

### აბსტრაქტი

ყარაბაღის მეორე ომმა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ დიდი საერთაშორისო ძვრები გამოიწვია. ერთი შეხედვით მცირედ შეცვლილმა სტატუს კვომ მსფოლიო ამ ომზე აალაპარაკა. 2020 წლის დეკემბერში, ქალაქ ბაქოში სტუმრად მყოფმა თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა დაანონსა ე.გ. წოდებული ექვსი ერის პლატფორმის შექმნა, რომლის წევრები იქნებიან თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, საქართველო და სურვილის შემთხვევაში სომხეთი. როგორც პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს დაპირისპირებული მხარეების შერიგებასა და სტაბილურობის დამყარებას რეგიონში. საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დადებითად უყურებს ამ შემოთავაზებას ნაწილი კი უარს ამბობს მასზე და აცხადებს რომ რუსეთთან ერთად ნებისმიერ კავშირში ყოფნა დამღუპველია საქართველოსთვის.

ჩემი კვლევის მიზანია წარმოვაჩინო თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მხარის ინტერესები. ასევე, გავამუქებ იმ ბენეფიტებსა და საფრთხეებს, რომლებიც საქართველოს ექვსეულში გაწევრიანებას მოჰყვება.

**საკვანძო სიტყვები:** შეცვლილი სტატუს კვო, პოლიტიკური ნაციონალიზმი, შეკავების პოლიტიკა, “Mavi vatan-ის“ დოქტრინა.

### **Abstract**

The second Nagorno-Karabakh war and the reestablishment of Azerbaijani sovereignty in Karabakh had many international outcomes. At first, it seemed that it was regional war, but than all the world talked about this conflict. In December, 2020 President of the Turkish republic Recep Tayyip Erdoğan visited Azerbaijani capital. In Baku President Erdoğan announced about the creation of the platform of six nations. The members of this platform would be Turkey, Russia, Iran, Azerbaijan, Georgia and maybe Armenia. As the President mentioned this platform would maintain peace and security in region and would help to reestablish friendship with war sides. Many Georgians think that, this offer is bad for Georgia. Because it is impossible to become member of the organization whose member is also Russia. Others said that, it would be great opportunity for Georgia.

Under this research I would like to shaw you some interests of the above mentioned countries. Also, I would talk about Georgian windows of oppurtunity.

**Keywords:** Changed status quo, Political Nationalism, Politics of deterrence, “Mavi vatan” doctrine.

## **ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუცია: ბრძოლა დემოკრატიისთვის თუ ძალაუფლებისთვის?**

**მარიამ ბეჟანიშვილი,**

**ანი გოლიაძე**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **აბსტრაქტი**

2020 წელი გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სამყაროსთვის. პანდემიის პარალელურად, მთელ რიგ სახელმწიფოებს პოლიტიკურ არასტაბილურობასთან უწევდა გამკლავება. ამ თვალსაზრისით, რთული სოციალურ-პოლიტიკური გარემო შეიქმნა ყირგიზეთში, რომელიც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უკვე რიგით მესამე რევოლუციას უმკლავდება. მართალია, 2005 წლის ტიტების რევოლუციისა და 2010 წლის მოვლენების შემდეგ, ყირგიზეთი დემოკრატიული მშენებლობის გზას დაადგა და, რუსეთის წნეხის პირობებშიც კი, მოახერხა ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა და ავტორიტარული მმართველების ჩამოგდება 2005 - 2010 წლებში. თუმცა, იმედი იმისა, რომ აღნიშნული დემოკრატიული ცვლილებები ყირგიზეთისთვის პოლიტიკურ ტრადიციად ტრანსფორმირდებოდა 2020 წლის ოქტომბერში დასამარდა. ცხადია, ყირგიზეთის კომპლექსური და მუდმივად მერყევი სოციალურ-პოლიტიკური გარემო, გაჭედილი ნახევრად დემოკრატიულსა და ნახევრად ავტორიტარულ მმართველობას შორის, დემოკრატიის გრძელვადიან პერსპექტივას უიმედოდ წარმოაჩენს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური პრიორიტეტები არ იცვლება და ელიტები და გავლენიანი ჯგუფები კვლავ სარგებლობენ ავტორიტეტით. შედეგად, არჩევნებით გამოწვეული ქაოსი რიგით მესამე რევოლუციად ტრანსფორმირდა, პასუხი კითხვაზე კი - „არის ეს

ძალაუფლებისთვის ბრძოლა თუ დემოკრატიული პროცესი“ - კვლავ პასუხგაუცემელია. ნაშრომის მიზანია ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუციის მაპროვოცირებელი ფაქტორებისა და მისი შედეგების შესწავლა. სტრუქტურული თვალსაზრისით, კვლევა, პირველ რიგში, განიხილავს ყირგიზეთის 2005 და 2010 წლის რევოლუციებს, როგორც ისტორიულ წინაპირობას; ასევე, ნაშრომი განიხილავს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორც რევოლუციის გამწვავების მთავარ ინდიკატორს, შემდგომში კი, წარმოგიდგენთ 2020 წლის რევოლუციის მოვლენების განვითარების ქრონოლოგიურ სცენარს. საბოლოოდ კი, კვლევა წარმოგიდგენთ იმ შედეგებს, რაც რევოლუციას მოჰყვა. შესაბამისად, საკვლევ კითხვა, რომელსაც ნაშრომი ეფუძნება, იქნება შემდეგი: რა იქცა ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუციის მაპროვოცირებელ ფაქტორებად და რა გავლენა იქონია ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნულ კითხვებზე რელევანტური დასკვნის გამოტანისათვის, აღნიშნული ნაშრომი დაეყრდნობა კვლევის თვისებრივ მეთოდებს, მათ შორის თვისებრივ კონტენტ-ანალიზს. ასევე, ნაშრომი ეფუძნება შემთხვევის შესწავლის (ქეისის ანალიზი) მეთოდს. საკითხის ობიექტურად შესწავლისთვის კვლევა დაეყრდნობა პირველად და მეორეულ წყაროებს.

**საკვანძო სიტყვები:** ყირგიზეთი, რევოლუცია, არჩევნები, ელიტები, კლანური დაპირისპირება, სახელმწიფო გადატრიალება.

## **Abstract**

2020 turned out to be full of challenges for the post-Soviet world. In parallel with the pandemic, several states had to deal with political instability. In this regard, a difficult socio-political environment has been created in Kyrgyzstan, which is already dealing with the third revolution in the last 15 years. It is true that after the 2005 Tulip Revolution and the events of 2010, Kyrgyzstan embarked on a path of democratic construction and, even under pressure from Russia, managed to peacefully transfer power and overthrow authoritarian rulers in 2005-2010. However, the hope that these democratic changes would transform into a political tradition for Kyrgyzstan was dashed in October 2020. Kyrgyzstan's complex and ever-volatile socio-political environment, stuck between semi-democratic and semi-authoritarian regimes, offers a hopeless long-term perspective on democracy. Especially when political priorities in the state do not change and elites and influential groups still enjoy authority. As a result, the chaos caused by the elections has been transformed into the third revolution in a row, and the answer to the question - "is it a struggle for power or a democratic process" - is still unanswered. The paper aims to study the provocative factors of the Kyrgyz revolution of 2020 and its consequences. Structurally, the study primarily considers the Kyrgyz revolutions of 2005 and 2010 as a historical prerequisite; The paper also considers the 2020 presidential election as a key indicator of the aggravation of the revolution, and then presents a chronological scenario for the development of the events of the 2020 revolution. Finally, the study presents the results that led to the revolution. Accordingly, the research question on which the paper is based will be the following: what became the provocative factors of the 2020 revolution in Kyrgyzstan, and what impact it had on the country's domestic or foreign policy. To draw a relevant conclusion on these questions, this paper will rely on qualitative research methods, including qualitative content analysis. Also, the paper is based on the case study (case analysis) method. For an objective study of the issue, the research will rely on primary and secondary sources.

**Keywords:** Kyrgyzstan, revolution, elections, elites, clan confrontation, coup d'etat.



# თურქეთის ინტერვენცია სირიის ომში; მიზეზები და შედეგები

მარიამ მაჭარაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

2011 წლის 15 მარტს, სირიის ქალაქ დერააში დაიწყო არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილი საპროტესტო აქციები, რომლითაც მოითხოვდნენ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გადადგომას. სირიის კონფლიქტს ართულებდა ეთნიკური მრავალფეროვნებაც. 2011 წლისთვის, სირიის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდნენ ქურთები, რომლებიც დამოურჩილებლობას უცხადებდნენ სირიის ხელისუფლებას მისი რეპრესიული რეჟიმის გამო. სირიის კონფლიქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი არის თურქეთის სახელმწიფოც, რომელიც ღიად დევნის ქურთებს, იმის შიშით, რომ სირიაში მცხოვრები ქურთების მიერ ახალი ქურთული სახელმწიფოს შექმნა გააღვივებდა თურქეთში მცხოვრები ქურთების სეპარატისტულ განწყობას. სირიის კონფლიქტის შედეგად, უამრავ მშვიდობიან მოქალაქეს მოუწია საცხოვრებლის მიტოვება და თურქეთისკენ გადაადგილება. ამ უკანასკნელს კი, რომელსაც ისედაც მილიონამდე ლტოლვილი ჰყავდა, არ აწყობდა ლტოლვილთა ახალი ნაკადის მიღება. შედეგად, 2016 წელს, თურქეთი სამხედრო ძალით ჩაერია სირიის კონფლიქტში და შექმნა ბუფერული ზონა. ამავე წელს, გაეროს მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 400 ათასს მიაღწია. კონფლიქტის აქტუალობას განაპირობებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების ჩართულობა, როგორებიცაა რუსეთის მიერ ასადის რეჟიმის მხარდაჭერა, აშშ-ს მიერ ოპოზიციური გაერთიანებების მხარდაჭერა, სირიაში მცხოვრები ქურთების მიმართ თურქეთში მცხოვრები ქურთების მხარდაჭერა და ჩვენთვის ყველაზე მთავარი, თურქეთის ჩართულობა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება სირიის კონფლიქტში ჩართული ქურთებისა და თურქეთის სახელმწიფოს პოზიციების შეფასება და აქედან გამომდინარე, ჩვენი საკვლევი კითხვაც შესაბამისად განვსაზღვრეთ: რატომ ჩაერია 2016 წელს თურქეთი სირიის კონფლიქტში და მიაღწია თუ არა ამ ინტერვენციის შედეგად თურქეთმა თავის მიზნებს? საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად მოცემულ ნაშრომში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგიური ჩარჩო: თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი, მეორეული და მესამეული სახის წყაროები (საგაზეთო სტატიები, ელექტრონული ჟურნალები, მკვლევართა წიგნები). მოცემული ნაშრომით შევეცდებით გავანალიზოთ თურქეთის როლი სირიის კონფლიქტში, მისი სამხედრო ინტერვენციის მთავარი მიზეზები და შედეგები. ასევე შევეცდებით ავხსნათ, ის გარემოებები და ფაქტორები, რომელთა გამოც კონფლიქტი დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

**საკვანძო სიტყვები:** სირიის კონფლიქტი, თურქეთის ინტერვენცია.

## Abstract

on March 15, 2011, protests began in the Syrian city of Deraa, known as the Arab Spring, demanding the resignation of President Bashar al-Assad. The Syrian conflict was also complicated by ethnic

diversity. By 2011, about 10 percent of the Syrian population were Kurds who disobeyed the Syrian government because of its repressive regime. One of the key players in the Syrian conflict is the Turkish state, which has openly persecuted the Kurds for fear that the creation of a new Kurdish state by the Kurds in Syria would stir up separatist sentiment among the Kurds living in Turkey. As a result of the Syrian conflict, many civilians were forced to leave their homes and move to Turkey. The latter, which already had up to a million refugees, was reluctant to accept a new influx of refugees. As a result, in 2016, Turkey intervened militarily in the Syrian conflict and created a buffer zone. In the same year, according to the UN, the death toll from the conflict reached 400 thousand.

The urgency of the conflict is conditioned by the involvement of important international actors, such as Russia's support for the Assad regime, US support for opposition groups, support for the Kurds living in Turkey against the Kurds in Syria, and most importantly, Turkey's involvement against the Assad regime. Therefore, it will be interesting to assess the positions of the Kurds and the Turkish state involved in the Syrian conflict, and therefore, we have defined our research question accordingly: Why did Turkey intervene in the Syrian conflict in 2016?

To study the issue in depth, we used the following methodological framework in this paper: Qualitative content analysis method, secondary and tertiary sources (newspaper articles, electronic journals, researchers' books). In this paper we will try to analyze the role of Turkey in the Syrian conflict, the main causes and consequences of its military intervention. We will also try to explain the circumstances and factors due to which the conflict remains an unresolved problem.

**Key words:** The Syrian conflict, Turkish intervention.

## კრემლის პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში

თამთა ფიროსმანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

კრემლის პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის წარმოება, ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის პოზიციების გამყარება, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დიპლომატიური მხარდაჭერა. საინტერესოა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად რეგიონებთან დაკავშირებით, რომელი სახელმწიფო უწყებები არიან ჩართულნი კრემლის პოლიტიკის განხორციელებაში.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთთან ინტეგრაციის პროცესი მოიცავს როგორც პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ თუ სამართლებრივ სფეროებს. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების საერთაშორისო მხარდაჭერას და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას საგარეო საქმეთა სამინისტრო და რუსეთის საკანონმდებლო ორგანო უზრუნველყოფენ. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის პოლიტიკის ფორმირებაში გამორჩეული ადგილი უკავია რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სადაც ფუნქციონირებენ საგანგებო სტრუქტურები. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის თანაშემწის დაქვემდებარებაშია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველო, რომელიც

ოკუპირებულ რეგიონებში კრემლის პოლიტიკის განხორციელებასა და მიმდინარე პროექტების მონტორინგზეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უცხო ქვეყნებთან რეგონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველო დაფუძნდა. სამმართველოს მიზანს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სივრცეში პროდასავლური მთავრობების ხელის შეშლა და მოსკოვის მიმართ ლოალურად განწყობილი მთავრობების მხარდაჭერა.

კრემლის პოლიტიკის განხორციელებაში სხვა დარგობრივი სამინისტროები და საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტებიც არიან ჩართული, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ჩრდილოეთ კავკასიის საკითხთა სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო მთავარ როლს ასრულებენ. რაც შეეხება, უსაფრთხოების საკითხებს მთავარ როლს რუსული სპეცსამსახურები, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები და შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებენ. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საკითხებზე სრული კონტროლი აქვთ დაწესებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო, საპოლიციო და საზღვრების დაცვის მიმართულებას რუსეთის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები კურირებენ. მათ მიზანს წარმოადგენს ოკუპირებულ რეგიონებში გავლენის გაძლიერება, უსაფრთხოების სფეროში ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესების კონტროლი და საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკის გატარება. შედეგად, რუსეთი საქართველოს განიხილავს თავისი გავლენის ექსკლუზიურ ზონად, ამიტომაც რუსული სახელისუფლებო სტრუქტურები აქტიურად არიან ჩართულნი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ინტეგრაციის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ოკუპირებული რეგიონები, კრემლის პოლიტიკა, საინფორმაციო ომი, რუსეთის ძალოვანი უწყებები.

## **Abstract**

The formation and subsequent implementation of the Kremlin's policy towards Abkhazia and the Tskhinvali Region involves every branch of Russia's government. Since 2008, control of internal political processes in the occupied regions, as well as policy, social, economic, humanitarian, legal and legislative issues, have been placed under the competency and control of the Russian President's Administration.

The implementation of the Kremlin's policy in the occupied region falls to the Presidential Directorate for Social and Economic Cooperation with the Commonwealth of Independent States Member Countries. The Russian Ministry of Foreign Affairs as well as legislative bodies provide support for strengthening Russia's positions in Abkhazia and the Tskhinvali Region. One of the aims of the Russian Foreign Ministry is to conduct informational wars against Georgia in the international arena, provide diplomatic support to the occupied regions of Georgia and strengthen Russia's position in the occupied regions.

Representatives of Russian law enforcement agencies are in charge of the military, police and border protection of the occupied regions of Georgia. The purpose of the activities of these representatives of the Russian law enforcement agencies is to strengthen their influence on the occupied regions, ensure full control and security of ongoing processes within the occupied territories and execute anti-Georgian policies. The state Duma and the Federation Council are responsible for legitimizing decisions made by

the Kremlin and discrediting Georgia on the international arena as much as possible. Federal subjects of the Russian Federation are responsible for the development of bilateral relations with the occupied regions of Georgia. The North Ossetian Republic – Alania has a special place in this regard.

Other sectoral ministries and legislative committees are also involved in the implementation of the Kremlin’s policies, based on their clout, the central players remain the Administration of the President, the Ministry of Foreign Affairs and the Ministry of North Caucasus Affairs, as their influence goes beyond the security realm. The Russian Ministry of Defense has full control over security issues in the occupied regions of Georgia. The border guards of the Federal Security Service of the Russian Federation also provide protection for the Kremlin’s interest in the region.

**Key words:** Occupied Regions, Kremlin’s policy, Information War, Russian law enforcement agencies.

## ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ისტორიულ კონტექსტსა და სამომავლო პერსპექტივაში

დიმიტრი შავლობაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და კონფლიქტების გადაჭრის რეალური და ერთადერთი ალტერნატივა მშვიდობიანი მოლაპარაკებები უნდა იყოს, სამწუხაროდ მოვლენები, ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არც თუ ისე კარგად მიდის, გვაქვს უამრავი სისხლიანი დაპირისპირება, კერძოდ, ჩემი მოხსენება შეეხება, 2021 ივნისში განვითარებულ მოვლენებს, რომელსაც ჩვენ “ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის” სახელით ვიცნობთ, კონფლიქტი, რომელმაც ორივე მხრიდან ათეულობით სამხედრო პირი და უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა.

საკითხის აქტუალობისა და ინტერესიდან გამომდინარე, დაისმის რამდენიმე ლოგიკური კითხვა, რომელიც პასუხს საჭიროებს, სწორედ ამიტომ, ნაშრომში საუბარი მექნება იმაზე, თუ საიდან იღებს სათავეს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი? რა არის მისი გამომწვევი რეალური მიზეზები? და რა მდგომარეობაა დღეს? მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის ფაქტიც, რომ კონფლიქტში ჩართულნი არიან არა მარტო ჩემს მიერ ნახსენები ეს ორი დაპირისპირებული მხარე, არამედ მასში მონაწილეობენ პირდაპირი თუ ირიბი გზით, მსოფლიო პოლიტიკის ისეთი აქტორები, როგორცაა: ამერიკა, ირანი და სხვა.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ვინაიდან იგი არის საკმაოდ სპეციფიკური საკვლევი თემა, გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, იქნება ეს სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტისა თუ არსებული ლიტერატურის სისტემური ანალიზი, გარდა, ამისა ანალიტიკური მოსაზრებების განვითარებისა და თემის უკეთ წარმოჩენის მიზნით, დაგეგმილი მაქვს ინტერვიუ არაერთ, გამოცდილ ექსპერტთან აღნიშნულ საკითხში. მიმაჩნია მათი ჩართულობა მეტად ეფექტიანს გახდის კვლევას.

ჩემი მოხსენების მიზანია, აღნიშნული კონფლიქტის სიღრმისეულად შესწავლისა და გაანალიზების შემდგომ დასკვნების გამოტანა და საუბარი სამომავლო პერსპექტივაზე, თუ რა გზები შეიძლება არსებობდეს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებისა. საინტერესოა, აგრეთვე

საერთაშორისო ურთიერთობების „დიდი“ (იქნება ეს წამყვანი ქვეყნები თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები) აქტორების მოსაზრებები აღნიშნულთან მიმართებით, თუ რას ფიქრობენ იგი ამ კონფლიქტზე და აქვთ თუ არა რაიმე გეგმა მისი ესკალაციის თავიდან ასარიდებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, კონფლიქტის რეალური მიზეზები, გარე აქტორები, სამომავლო პერსპექტივა.

## **Abstract**

Although we are in the 21st century and the only way to resolve conflicts must be peaceful negotiations, Unfortunately for us, the events of the last few years are not going so well. There are a lot of controversies, for example, my report is about the incident of June 2021, which we know as the "Israeli-Palestinian conflict", a conflict that has killed dozens of military personnel and innocent people on both sides. Since the issue is topical and interesting, there are a few logical questions about it, which need an answer.

These issues will be discussed in the report. For example, Where does the Israeli-Palestinian conflict originate? What are its real causes? And what is the situation today? It's important to note the fact that other countries of the world directly or indirectly are also involved in the conflict, I mean actors in world politics such as America, Iran, and others.

As for the research methodology, since it is a very specific research topic, I will use qualitative research methods, be it a systematic analysis of various historical documents or existing literature. To develop opinions and better present the topic, I have planned to interview several experienced experts on this issue. I believe their involvement will make the research more effective.

The purpose of my report is to draw conclusions after an in-depth study and analysis of this conflict and to talk about future perspectives on what ways there can be to resolve this conflict. It is also interesting to see the views of the “main” actors in international relations (be it the leading countries or various international organizations) on what they think about this conflict and whether they have any plans to prevent its escalation

**Key words:** The Israeli-Palestinian conflict, Real causes of the conflict, Foreign actors, Future perspective.

# რუსეთის სამხედრო მანევრები უკრაინაში - გამოწვევა დასავლეთისთვის და გაფრთხილება საქართველოსთვის

მარიამ ჯაფარიძე,

ნინო ცერცვაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

2021 წლის 8 აპრილს უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი ჩავიდა ქვეყნის აღმოსავლეთ ფრონტის ხაზზე, სეპარატისტულ ძალებთან შეტაკებების და მოსკოვთან დამაბულობის ზრდის შემდეგ. გასული ივლისის შემდეგ ბრძოლები შეწყდა, თუმცა, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ, რომელიც გამოყოფდა აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტულ რეგიონებს დანარჩენი ქვეყანასგან, ბოლო თვეების განმავლობაში ძალადობრივი ქმედებები კვლავ შეინიშნებოდა.

2020 წელს რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, რომ უკეთესად დაიცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, იმ სამხედრო მოქმედებების გამო, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში, - კერძოდ კი სეპარატისტულ ანკლავებში (დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში) მიმდინარეობდა 2014 წლიდან. რუსეთი მხარს უჭერს სეპარატისტების მოძრაობებს დონეცკსა და ლუგანსკში, სადაც დღემდე 14,000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა ბრძოლებში. ამის მიზეზი ცალსახაა - უკრაინა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომლის დათმობასაც მოსკოვი არ აპირებს. ჯერ კიდევ 2014 წლიდან უკრაინას სურს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. ამის საპასუხოდ, კრემლმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და დამოუკიდებლობის მოძრაობების გაღვივება დონეცკსა და ლუგანსკში. უკრაინა ჯერ კიდევ არ არის არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი, ამიტომ "Russia's Gambit" კარგად მუშაობს ამ თვალსაზრისით, მაგრამ ამ წარმატების ფასად რუსეთს მოუწია მრავალი დასავლური სანქციის ქვეშ ყოფნა.

გასული მარტი-აპრილის განმავლობაში რუსეთმა უკრაინის საზღვართან მასშტაბურად გაზარდა სამხედრო წარმომადგენლობა, რამაც განგაშის სიგნალი ჩართო კიევსა და ევროკავშირის დედაქალაქებში. მოსკოვის განცხადებით, შეიარაღებული ძალები უკრაინის საზღვართან ახლოს წვრთნას გამართავდნენ და ივარჯიშებდნენ უპილოტო საფრენი აპარატების მოგერიებაში. უკრაინული მხარე კი იტყობინება, რომ 4 აპრილს ისევ დაირღვა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და ნაღმმტყორცნებითა და ავტომატური იარაღით შეუტიეს უკრაინელი სამხედროების პოზიციებს დონბასში. ამის ფონზე, 2 აპრილს, ბაიდენმა დაადასტურა აშშ-ს უცვლელი მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

აღნიშნული საკითხის აქტუალობა, მზარდ შემფოთებას იწვევს დასავლეთსა და საქართველოში; კრემლის მანევრები კი ძირს უთხრის, როგორც უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ევროპის რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს უსაფრთხოებაც, უკრაინასთან არსებული განსაკუთრებული ურთიერთობისა და საერთო ოკუპანტის ქმედებების გათვალისწინებით. რუსეთი პოზიციების გამყარებას ჩქარობს მანამდე, ვიდრე აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ბოლომდე დაკომპლექტდება. უკრაინაში საწადელის მიღწევის შემთხვევაში კი კრემლის შემდეგი სამიზნე საქართველო იქნება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის სამხედრო მანევრები, უკრაინა, დასავლეთი და საქართველო.

## Abstract

Ukrainian President Volodymyr Zelensky was traveling to the country's eastern frontline on April 8, 2021, after a surge in clashes with separatist forces and a spike in tensions with Moscow. After a lull in fighting since last July, an outbreak of violence had been reported in recent months along the ceasefire line separating the breakaway regions of eastern Ukraine from the rest of the country.

In 2020, Russia and Ukraine agreed to better enforce a ceasefire agreement over the fighting that has gripped eastern Ukraine, particularly the breakaway enclaves (Donetsk and Luhansk regions) since 2014. Russia has been supporting the secessionists' movements in Donetsk and Luhansk, where 14,000-plus people have died in the fighting to date. The reason is clear, Ukraine is a strategically critical country that Moscow believes it needs to keep under its influence. Back in 2014, Ukraine was setting its sights westwards toward the E.U. and NATO. Hence the Kremlin did the occupation of Crimea and the fueling of independence movements in Donetsk and Luhansk. Ukraine still isn't a member of either the E.U. or NATO, so Russia's gambits have worked in that regard, but that success has come at a cost—Russia has been under various sanctions from the West ever since. In January 2021, the broadcasts of the three pro-Russian TV channels stopped, and the influence of the Kremlin-controlled opposition was reduced in Ukraine. The Security Service of Ukraine carried out special operations in the organizations financing the pro-Russian opposition. The current plans of Moscow include the presence of Luhansk and Donetsk as semi-independent regions in order to regain some control over the domestic political situation in Ukraine.

During last March, Russia has been amassing troops at the Ukrainian border, triggering the alarm in Kyiv and European Union capitals. According to Moscow, the armed forces conducted exercises near the Ukrainian border and trained to reaper unmanned aerial vehicles. The Ukrainian side reported that the ceasefire agreement was violated again on April 4 and attacked the positions of the Ukrainian military in Donbas with mortars and automatic weapons. On April 2nd, against this background, in a telephone conversation with Zelensky, Biden reaffirmed the United States' unwavering support for Ukraine's sovereignty and territorial integrity.

The urgency of the issue causes concerns in the West and Georgia. Public statements by Russian high-ranking officials are threatening. The Kremlin's maneuvers undermine Ukraine's sovereignty and territorial integrity, along with the security and stability of the European region. Amid tensions in the region, Georgia's security is also under threat, considering the special friendship and the strategic partnership relationship with Ukraine and the actions of the general occupant. According to experts, Russia's actions towards Ukraine are part of one big scenario. Russia is in a hurry to strengthen its positions until the end of staffing of the new US president's, Joe Biden's administration. If the altar is reached in Ukraine, Georgia will be the next target of the Kremlin.

**Key words:** Russian military maneuvers, Ukraine, West and Georgia.

## აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ

მაგდა ჯილაური,

მარიამ თოდუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში დიდ ყურადღებას იპყრობს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები. აქ არსებული სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა, მოკლე დროში მიმდინარე პროცესების შედეგი არყოფილა. არსებული კონფლიქტის ფესვები ჩანს უკანსკნელი რამდენიმე დეკადის ისტორიაშიც. სპარსეთის ყურის მეორე ომი გარკვეულწილად დაკავშირებულია დღევანდელ მოვლენებთან და ბოლო ათწლეულების ერთ-ერთ მთავარ მასშტაბურ პრობლემად იქცა, რომელიც ჯერ კიდევ არ მოგვარებულა. იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხი დღემდე ცვლის საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ ვითარებას მას აქტუალობას სძნეს. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ, რადგან გვეპასუხა უამრავი კითხვისათვის, რაც აქტუალურია რეგიონში.

ერაყი არასოდეს დარჩენილა ბუშის პოლიტიკაში უყურადღებოდ. საპრეზიდენტო კამპანიის დროს იგი ამტკიცებდა, რომ იქნებოდა მკაცრი ერაყის მიმართ. ის ასევე აცხადებდა, რომ თუ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღზე მუშაობას გააგრძელებდა, მას ჩამოიშორებდა. ბუშს სჯეროდა, რომ ერაყს ისევ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამები.

2003 წლის აშშ-ს სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21დღის შემდგომ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. მიუხედავად ამისა, ეს იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება „მოიგო ომი, მაგრამ წააგო მშვიდობა“. ერაყის ტერიტორიის დაკავების შემდეგ აშშ წააწყდა უამრავ ახალ პრობლემას, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გადაუჭრელი რჩება. აღნიშნულის ნიადაგზე კი ჩნდება კითხვაც, იყო თუ არა საერთოდ საჭირო სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ და რა გახდა აშშ-ს მხრიდან ერაყში შეჭრის მიზეზი. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი კვლევის მთავარი შეკითხვა, რის გასაგებადაც აუცილებლად დაგვჭირდება შესაბამისი მეთოდოლოგიური ჩარჩო: კვლევა ეყრდნობა თვისებრივ მეთოდებს-შემთხვევის შესწავლასა და თვისებრივ კონტენტ ანალიზს. ნაშრომში განხილული იქნება, როგორც პირველადი (ოფიციალური დოკუმენტები, განცხადებები...), ასევე მეორეული და მესამეული წყაროები (მეცნიერ-მკვლევართა წიგნები, საგაზეთო სტატიები...). ვფიქრობთ, შედეგიანი იქნება, აღნიშნული ქეისი განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიის-რეალიზმის (კერძოდ, თავდასხმითი) ჭრილში.

საკვლევი ნაშრომის მოსალოდნელი შედეგი ითვალისწინებს აკადემიური ნაშრომის შექმნას, რომელშიც დეტალურად იქნება განხილული აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომამდე და შემდეგ, მისი და ერაყის კონფლიქტური ურთიერთობები და რა შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნული კრიზისის მსოფლიოსთვის. ასევე განვიხილავთ ჰუსეინისა და ბუშის პოლიტიკას, რომელთა ხელში იყო მთელი ურთიერთობა აშშ-სა და ერაყს შორის, რამაც საბოლოოდ სრულიად მთელ სამყაროზე იქონია გავლენა.

**საკვანძო სიტყვები:** სპარსეთის ყურე, ერაყი, კონფლიქტი.



# თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა

ერეკლე გოზალიშვილი,

ლილი გაბადაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

თეზისი: თურქეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სახელმწიფოა შავი ზღვის რეგიონში. ის წინა საუკუნიდან იღწვოდა ევროპეიზაციისათვის. თუმცა, 2008 წლიდან, პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეინიშნება დემოკრატიული და ადამიანის უფლებათა ელემენტარული პრინციპების რღვევა. აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი. მისი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა დღითიდღე უფრო სკეპტიკურად გამოიყურება.

საკითხის აქტუალურობა: პროცესები, რომლებიც თურქეთში მიმდინარეობს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შავი ზღვის ან კავკასიის რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. თურქეთს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო ძალები ჰყავს (ნატოში მეორე) და შესაბამისად მისი პოლიტიკური დღის წესრიგი საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანია.

კვლევის მეთოდები: ნაშრომი დაყრდნობილია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე და გამოყენებული იქნება დოკუმენტებისა და აკადემიური ნაშრომების ანალიზი. ეს საკითხის სიღრმისეულად გააზრების საშუალებას მოგვცემს.

საკვლევი კითხვა: ასრულებს თუ არა თურქეთი ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებას და აკმაყოფილებს თუ არა მასში გაწევრიანების მინიმალურ მოთხოვნებს?

ჰიპოთეზა: თურქეთი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ნაწილობრივ ასრულებს. დღეისათვის ქვეყანა ავტორიტარული მმართველობისკენ მიისწრაფვის და არ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრობის შესაბამის სტანდარტებს.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, ევროკავშირი, ევროპეიზაცია, გაწევრიანების პერსპექტივა, ასოცირების ხელშეკრულება, ავტორიტარიზმი.

## Abstract

Thesis: Turkey is one of the most important states in the Black Sea region. It has been striving for Europeanization since the last century. However, given the political situation since 2008, there has been a violation of democratic and basic human rights principles. Therefore, Turkey's foreign policy course is highly doubted. The prospect of it joining the EU looks increasingly skeptical. The importance of the issue: The processes that are taking place in Turkey are important not only for the Black Sea or the Caucasus regions, but also for the whole world. Turkey has one of the best military forces in the world (second in NATO) and therefore its political agenda is important in the international system.

Research Methods: The paper is based on qualitative research methods and will be used to analyze documents and academic articles. This will allow us to better understand the issue.

Research Question: Does Turkey comply with the Association Agreement with the European Union and does it meet the minimum membership requirements?

Hypothesis: Turkey is partially fulfilling the Association Agreement with the European Union. At present, the country aspires to authoritarian rule and does not meet the minimum relevant standards of EU membership.

**Keywords:** Turkey, EU, Europeanization, membership prospects, Association Agreement, Authoritarianism.

## მოლდოვას ორი გზა 2020 წლის არჩევნების მაგალითზე

მარიამ ვარაზაშვილი,

ნუციკო ძანძავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ევროპასა და რუსეთს შორის მდგარი მოლდოვა, რომელიც ამ დელიკატურ ბალანსს უკვე საკმაოდ დიდი ხანია ინარჩუნებს, ცოტა ხნის წინ კიდევ ერთ გზაგასაყარზე დადგა. 2020 წლის 15 ნოემბერს მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. საერთაშორისო სივრცე ამ გადამწყვეტ ბრძოლას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს. აწ უკვე ამჟამინდელ პრეზიდენტს, მაია სანდუს თუ დავესესხებით, “მოლდოვა გზაგასაყარზე იდგა” - ერთ მხარეს იყო იგორ დოდონი, რომელიც წინასაარჩევნოდ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების პირობას დებდა და მოსკოვის იმდენად აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ვლადიმერ პუტინმა ღიადაც გამოხატა მისდამი სიმპატიები. ხოლო მეორე მხარეს პროდასავლური პარტიის ლიდერი, მაია სანდუ. მათ, ვინც მეორე ტურის ამ დაპირისპირებას მოლდოვაზე გავლენისთვის ევროპისა და რუსეთის ბრძოლად აღიქვამდნენ, შეიძლება ჩათვალოს, რომ მაია სანდუს გამარჯვება დასავლეთის გამარჯვებაცაა. თუმცა, სიტუაცია უფრო მრავალშრიანია - მოლდოვას ჯერ კიდევ ძლიერი კავშირები აქვს რუსეთთან, მოსახლეობის შეხედულებები კვლავ ორად იყოფა, სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა კი პრეზიდენტს შეზღუდულ უფლებებს უტოვებს.

მოლდოვას „ორი გზა“ დიდი ხანია საერთაშორისო საზოგადოების განხილვის თემაა, უახლესი მოვლენები კი ამ საკითხის აქტუალობას ხელახლა გამოკვეთს. თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ისეთი საერთაშორისო აქტორების დაინტერესება, როგორებიცაა ევროკავშირი და რუსეთი. აქედან გამომდინარე, ეს არჩევნები არა მხოლოდ საშინაო პოლიტიკის საკითხად, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენადაც შეგვიძლია აღვიქვათ. შესაბამისად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მისი გაანალიზება და იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მის შედეგებზე და თავად ამ შედეგების მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე, რათა პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას - როგორ აისახება მოლდოვას ორპოლუსიან საგარეო კურსზე 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები?

კვლევის შედეგად, ვცდებით ვაჩვენოთ, რომ მიუხედავად 2020 წლის არჩევნებში პროდასავლური განწყობის მქონე ლიდერის გამარჯვებისა, მოლდოვის „ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია“ და გამოკვეთოთ ის საშინაო პოლიტიკური საკითხები, რაც მოლდოვას მიერ საგარეო კურსის არჩევას განაპირობებს.

საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდი. მოხდა როგორც წერილობითი, ისე ვიდეო გამოსვლების შესწავლა. დამუშავდა მეორეული და მესამეული წყაროები. იქიდან გამომდინარე, რომ მიგვაჩია, მოცემულ ქეისში აშკარად იკვეთება საშინაო და საერთაშორისო დონეების ურთიერთქმედება, მის გასაანალიზებლად გამოვიყენებთ პუტნამის „ორ დონეზე თამაშის“ თეორიას.

**საკვანძო სიტყვები:** მოლდოვა, არჩევნები, რუსეთი, ევროკავშირი, პუტნამი, ორ დონეზე თამაში.

## **Abstract**

Moldova, traditionally torn between Europe and Russia, has been maintaining this delicate balance for quite some time. However, this balance has recently been challenged. On November 15, 2020, the second round of the presidential elections was held in Moldova. The international community has been watching this crucial battle closely. As current president, Maia Sandu said: "Moldova was at a crossroads" - on one side was Igor Dodon, who pledged to resolve the Transnistrian conflict and enjoyed Moscow support so much so that even Vladimir Putin expressed his support for him a month before the election. On the other side stood the leader of the pro-Western party, Maia Sandu. Those who thought of this election as a struggle for influence between Europe and Russia over Moldova, might see the victory of Maya Sandu as a victory for the West as well. However, the situation is more complex and multilayered - Moldova still has strong ties with Russia, the views of the population are still divided, and the administrative arrangement of the state leaves the president with limited rights.

Moldova's "Two Ways" has long been a topic of discussion in the international community, and the latest developments re-examine the urgency of this issue. The relevance of the topic is also conditioned by the interest of international actors such as the European Union and Russia. Therefore, these elections can be perceived not only as a matter of domestic politics, but also as an event of international importance. Therefore, we considered it crucial to identify and analyze the factors that influenced the 2020 election results and its significance for the international arena. Finally, we will try to answer the research question - how will the 2020 presidential elections affect Moldova's bipolar foreign politics?

As a result of the research, we will try to showcase that despite the victory of the pro-Western leader in the 2020 elections, Moldova's "fate is still unclear" and highlight the domestic political issues that lead to Moldova's choice of foreign course.

The method of qualitative content analysis is used in the paper to study the issue in depth. Both written and video speeches were studied. Secondary and tertiary sources were processed. Given that this case clearly shows the interaction between the domestic and international levels, Putnam's "two-level game" theory is also used to analyze it better.

**Keywords:** Moldova, elections, Russia, EU, Putnam, two-level game.

# საჰელის რეგიონში საფრანგეთის ინტერვენციის გამომწვევი მიზეზები

გიორგი ხოხიაშვილი,

ლუკა გაგნიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელსაც მსოფლიოს არაერთ რეგიონში ვაწყდებით. ამ რეგიონთაგან აღსანიშნავია საჰელის რეგიონი, რომელიც აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და გახლავთ ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი. აღნიშნული რეგიონი გადაჭიმულია დასავლეთ და ჩრდილო-ცენტრალურ აფრიკაში, კერძოდ სენეგალიდან სუდანამდე. საკითხის აქტუალურობას ადასტურებს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ქმედებები G5-ის წევრი ქვეყნების მისამართით (ბურკინა ფასო, მალი, ჩადი, მავრიტანია და ნიგერი). ამის შედეგად კი რეგიონში იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 15 000 მშვიდობისმყოფელი და საფრანგეთის 15 000 სამხედრო. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ტერორიზმის მთავარ შემაკავებელ ძალას საჰელში. კვლევა მიზნად ისახავს, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩაწვდეს კონფლიქტის ბუნებას და გამოავლინოს ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს დაპირისპირების უწყვეტობას. იგი ცდილობს ფოკუსირდეს კონკრეტულად საფრანგეთის როლზე საჰელში. ყოველივე ამის საფუძველზე კი ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: "რა ფაქტორები განაპირობებს საფრანგეთის აქტიურ ჩართულობას საჰელის კონფლიქტში უკანასკნელ ათწლეულში განვითარებული მოვლენების ფონზე?"

ნაშრომი კრიტიკული ანალიზისთვის მიმართავს კვლევის თეორიულ მეთოდებს: იგი მიმოიხილავს საკვლევ თემასთან არსებულ ლიტერატურას, შეისწავლის არსებულ დოკუმენტებს: ისტორიულ წყაროებს, პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებს, მეცნიერების, ანალიტიკოსებისა და მკვლევრების ნაშრომებს. იგი ასევე იყენებს Case Study-ის მეთოდს, რომლის მეშვეობითაც სიღრმისეულად აანალიზებს მოცემულ კონფლიქტს. ყოველივე ამის პარალელურად კვლევა იშველიებს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებსაც, კერძოდ ნეორეალიზმის თეორიულ სკოლას, რათა გამოავლინოს კონფლიქტში საფრანგეთის რეალური მოტივები და უფრო სიღრმისეულად გასცეს საკვლევ კითხვას პასუხი.

ნაშრომი შემდგომ ნაწილში განიხილავს კვლევის მიგნებებსა და შედეგებს. კვლევამ გამოავლინა, რომ რეგიონში საფრანგეთის ინტერვენციას განაპირობებს მისი სწრაფვა რეგიონალური ჰეგემონობისკენ. მისი დაინტერესების სფეროს წარმოადგენს რეგიონის მდიდარი რესურსები, ტერორიზმი და მისგან მომავალი საფრთხის პოტენციური შედეგები და ყოფილ კოლონიებზე ძალაუფლების შენარჩუნების მოტივი.

**საკვანძო სიტყვები:** საჰელის რეგიონი, საფრანგეთის ინტერვენცია.

## Abstract

In today's world, terrorism represents one of the most significant global threats for many regions of the world, among which the Sahel should be distinguished. The Sahel is located in the central part of Africa

and it represents a hot spot of fighting the terrorism. This region is stretched across western and eastern parts of Africa, namely from Senegal to Sudan. It is worth mentioning that UN's active operations towards the countries of G5 Alliance (Burkina Faso, Mali, Chad, Mauritania and Niger) demonstrates how up-to-date this issue is. Moreover, it should be said that approximately 15 000 UN peacekeepers and 5000 French troops are currently operating in the region. These forces represent almost the only instrumental counter-terrorist force in Sahel. Due to the relevance of the issue, the research aims to have a deep insight into the conflict and reveal the reasons, which ensure the consistency of the conflict, namely the research focuses on the presence of French troops in the region. On the basis of above-mentioned, the research attempts to answer the following research question: What factors ensure the active involvement of French troops in Sahel conflict on the basis of the events that have taken place throughout the last decade?

For critical analysis, the research decides on qualitative research methods: it reviews the existing literature and documents around the topic, including historical sources, speeches of the politicians and state officials, works of scientists, analysts and researchers. It also uses the method of "Case Study" by which it attempts to critically analyze the conflict. Moreover, the research opts for International Relations theory in order to identify the real motives of France towards the region and to study the research topic in depth.

In the next part, the results of the research are presented. The research has revealed that the major driving force of France's involvement in the region is her striving for regional hegemony. The field of France's interest is region's rich natural resources, terrorism, the threats it poses, and the motive of maintaining influence on the former colonies.

**Key words:** Sahel region, French intervention.

## განხეთქილება პარტნიორ სახელმწიფოებს შორის: აშშ-თურქეთის დაპირისპირება და ამ უკანასკნელის გავლენა საქართველოზე

ლუკა სვანიძე,

გიორგი ხაჩიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს და იგი დასაბამს ჯერ კიდევ 1831 წლიდან იღებს, როდესაც აშშ-მ ოსმალეთის იმპერიასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. დაახლოებით 100 წლის შემდეგ, აშშ-მ უკვე თურქეთის რესპუბლიკასთან დაიწყო დიპლომატიური დაახლოების პროცესი. 1947 წელს ორ ქვეყანას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, საბოლოოდ კი, 1952 წელს მოხდა ყველასთვის ცნობილი ფაქტი - თურქეთი „ნატოს“ წევრი სახელმწიფო გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სახელმწიფოს დაახლოებას ხელი დიდად შეუწყო „ცივი ომის“ პერიოდმა, კერძოდ თურქეთის სტრატეგიულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ სსრკ-ს მიმართ.

ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ სტაბილურად მიმდინარეობდა, თუმცა XXI საუკუნეში თავი იჩინა გარკვეულმა პრობლემებმა. პირველად უთანხმოებები 2003 წელს დაიწყო, როდესაც თურქეთმა აშშ-ს არ მისცა საშუალება, მისი ტერიტორია პლაცდარმად გამოეყენებინა ერაყში შესაჭრელად. მთავარი დიპლომატიური ცვლილებები კი 2016 წელს თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობით იყო გამოწვეული. ამ მოვლენამ რადიკალურად შეცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკა. დაძაბულობა გაგრძელდა 2019 წელსაც, რაც ერთის მხრივ ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა მდგომარეობამ, მეორეს მხრივ კი თურქეთის მიერ ანტიამერიკული პოლიტიკის გატარებამ განაპირობა. მას შემდეგ, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში ორ სახელმწიფოს შორის მოხდა დაპირისპირება, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციებითა და დიპლომატიური წნეხის შექმნით გამოიხატა. ფაქტია, რომ საკითხი საქართველოსთვის განსაკუთრებულად აქტუალურია. კერძოდ, საქართველო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია. იმავეს თქმა შეიძლება თურქეთზეც, რომელიც, პარტნიორობის გარდა, ჩვენი უშუალო მეზობელი და რეგიონის ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშეა. შესაბამისად, ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში თურქეთ-აშშ-ს შორის მომხდარმა დაპირისპირებამ ქართულ სახელმწიფოზეც მოახდინა ნეგატიური გავლენა. თუკი ამას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ბოლო წლებში თურქეთი აქტიურად ცდილობს რუსეთთან თანამშრომლობას სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოსათვის საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენი საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რა განაპირობებდა თურქეთ-ამერიკის დაპირისპირებას და რა გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელმა საქართველოზე?

საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებული იქნება გარკვეული მეთოდოლოგიური ჩარჩო. ჩვენს შემთხვევაში აქცენტი გაკეთდა კონტენტ-ანალიზის მეთოდზე. ასევე დამუშავდა მეორეული და მესამეული წყაროები (ელექტრონული ჟურნალები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოცემულ ნაშრომში შევეცდებით სიღრმისეულად გავანალიზოთ აშშ-თურქეთის დაპირისპირების მიზეზები და ამ დაპირისპირებათა ფონზე გავარკვიოთ, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ გავლენა მოახდინა ამ ყოველივემ საქართველოზე.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური სანქციები; დაპირისპირება; თურქულ-ამერიკული ურთიერთობები; გავლენა საქართველოზე.

## Abstract

Turkish-American relations span a fairly long period, dating back to 1831, when the United States established diplomatic relations with the Ottoman Empire. About 100 years later, the United States has already begun to deepen diplomatic relations with the Republic of Turkey. In 1947, an agreement on economic cooperation was signed between the two countries, and finally, in 1952, Turkey became a member of NATO. The Cold War and the geographical location of Turkey greatly facilitated cooperation between the two states.

Relations between the two states were quite stable, but in the XXI century some problems arose. The first dispute between Turkey and the United States began in 2003, when Turkey did not allow the United States to use its territory to invade Iraq. The main diplomatic changes were caused by a collapsed military

coup in Turkey in 2016. Tensions continued in 2019 as well, due to the situation in the Middle East on the one hand, and the anti-American policy pursued by Turkey on the other. Since then, during the Trump administration, there has been a confrontation between the two states, which is mainly characterized by political-economic sanctions and diplomatic pressure. This issue is especially important for Georgia. In particular, Georgia is a strategic partner of the United States and Turkey as well. In addition to the partnership, Turkey is our neighbor and one of the largest players in the region.

Consequently, the confrontation between Turkey and the United States during Trump's presidency had a negative impact on our state as well. If we add to this the fact that in recent years Turkey has been actively trying to cooperate with Russia militarily, the importance of the issue for Georgia will become even more obvious. With all this in mind, our research question is: what caused the Turkey-US confrontation and what impact did the latter have on Georgia?

A certain methodological framework will be used in the paper to study the issue. In our case, the focus was on the content analysis method. Electronic magazines, newspaper articles, etc. were also analyzed.

With all this in mind, in this paper we will try to analyze the reasons for the US-Turkey confrontation and find out in the light of these confrontations what political-economic impact all this had on Georgia.

**Keywords:** Economic sanctions; Confrontation; Turkish-American relations; Impact on Georgia.

## საქართველო-ევროკავშირის შორის არსებული თანამშრომლობისა და პროგრამების პრაქტიკული შედეგები 2014 წლიდან დღემდე

ლიკა ნარგიზაშვილი,

ლელა ხარაული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ევროკავშირთან აქტიური და მჭიდრო ურთიერთობის წარმოება საქართველოსთვის საკმაოდ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, ხოლო მისი წარმატებით განვითარება ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოკრატიის მშენებლობის პროცესში. საქართველოს საკმაოდ დიდი ამბიციები აქვს მზარდი ეკონომიკის, კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით, ამის მისაღწევად კი მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს სწორედ ორმხრივი თანამშრომლობა, გატარებული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ობიექტურად შევაფასოთ ამ ორმხრივი ურთიერთობის მიღწევები და გვეჩვენოს გარკვეული წარმოდგენა მის ეფექტურობასა თუ არაეფექტურობაზე.

იზადება მთავარი საკვლევი კითხვებიც-თუ როგორ შევაფასებდით საქართველოში ევროკავშირის მიერ დამტკიცებული და უკვე მოქმედი პროგრამების ფუნქციონირებას ეკონომიკურ და საგანმანათლებლო დონეებზე და კონკრეტულად რაში და რა მიმართებით გამოიხატება მათი რეალიზება პრაქტიკაში. შესაბამისად, კვლევის მიზანიც სწორედ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობისა და მიღებული ძირითადი პროგრამების ფუნქციონირების რეალური შედეგების კვლევაა 2014 წლიდან დღევანდელ დღემდე.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, ნარატიული და დოკუმენტების (ასოცირების ხელშეკრულება (Association Agreement)) ანალიზი.

დაკვირვების ობიექტად შერჩეულია მაიკლ ემერსონისა და თამარ კოვზირიძის გზამკვლევი-სახელმძღვანელო „საქართველო და ევროკავშირი“, ასევე დავით ნარმანიას მიერ 2016 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით - „აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა“.

2014 წელს ამოქმედდა შთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სირცის შესახებ (DCFTA), რომლის მიხედვითაც, ევროკავშირმა პრაქტიკულად მთლიანად გახსნა თავისი ბაზარი საქართველოდან იმპორტისთვის და გააუქმა საიმპორტო ტარიფები. ასევე წინგადადგმული ნაბიჯი იყო სოფლისა და სოფლის მეურნეობის (ENPARD) პროგრამის შემუშავება, რაც მიზნად ისახავს კოოპერაციების დაარსებას და ფერმერების გაძლიერებას. ამ ორივე პროგრამის მიზანი ერთია-საქართველოს ეკონომიკური განვითარება. თუმცა კვლევის დროს დადებით ფაქტორებთან ერთად გამოიკვეთა ის ბარიერებიც, რომლებიც ამ პროგრამების ეფექტურობას აფერხებს და ვეღარ ხერხდება შედავათებით სრულად სარგებლობა.

2017 წელს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ გაამარტივა მიმოსვლა და გაზარდა ვიზიტების რაოდენობა, ამავდროულად ხდება უფრო მეტი აკადემიური პერსონალის გაცვლაც. თუმცა ჩვენ კვლევის დროს დავადგინეთ, რომ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ შეინიშნება მუშახელისა და ტვინების მასობრივი გადინება, რაც, ერთი მხრივ, ამცირებს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობას, მეორე მხრივ, კი საქართველო ეკონომიკურად უფრო მეტად სუსტდება.

საბოლოოდ, თუ ამ პროგრამების მიღწევებს შევაფასებთ ეკონომიკურ და საგანმანათლებლო ჭრილში, დავინახავთ მობილობისა და სწავლის კურსების დახმარებით ახალგაზრდების გააქტიურებას, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით მოდერნიზაციის აქტიურ მცდელობას ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გზით.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო-ევროკავშირი, ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია.

## Abstract

Active and engaging communication with EU is very crucial for Georgia, it is one of the important things for the process of democracy development in the country. Georgia has ambitions to strengthen its economy, governance, law enforcement and quality of democracy, to achieve that, dialogue end dual partnership programs have a big role, which done properly will result in growth of political and economic power. Objective observation and realization are crucial to identify the effective and ineffective actions.

There raise the main questions for our research – how you would rate the effectiveness of economical and educational programs that were approved by EU and deployed into our society, more importantly where and how were they effective in practice. Hence, the main goal of this research is to identify the positive effects of EU and Georgia partnership since 2014.



Method of research used in our paper is Social Science Research method, specifically, narrative and document analysis.

Research is mainly constructed on papers “Georgia and European Union” by Michael Emerson, Tamar Kovziridze and “West partnership and Georgian Social-economical politics” by Davit Narmania.

Georgia and EU signed association agreement in 2014 which introduces Deep and Comprehensive Free Trade Area(DCFTA), according to which, EU increases market access between the two parties and price regulations have become more affordable. Another advance was introducing European Neighborhood Programme for Agriculture and Rural Development(ENPARD). ENPARD aims founding small cooperatives, supporting farmers. The main goal of both of the above-mentioned programmes is to advance Georgia’s economic situation. However, during our research, besides the pros of those programmes, many blockades were discovered, which slow down process of achieving the endpoint for these programs, moreover, it is no more possible to fully use the support from these programs.

In 2017, Visa liberalization agreement aided traffic between EU and Georgia, Additionally, exchange of academic personnel became more usual than before. However, during research we found out that after the Visa Liberalization, increase of work force export is apparent, which from one point of view shrinks the population of our country and economic struggles even more as it loses the work force.

To sum up, if we evaluate the progress and achievements of this programme by Georgia’s economical and educational advance, we will be able to identify young individuals who started making progress for our country after exchange and EU aided programmes and attempts of Economic modernization with the goal to integrate into European zone.

**Key words:** Georgia-EU, Association Agreement, Visa Liberalization.

## არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე

თორნიკე ყრუაშვილი,

ნიკოლოზ მახარობლიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება თანამედროვეობაში, განსაკუთრებით კი, კოვიდ პანდემიის ხანაში არსებულ, ერთ-ერთ მწვავე და საკმაოდ აქტუალურ, არაერთი რეგიონის მომცველ საკითხს- არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე“. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საკითხი არ კარგავს აქტუალურობას, ვინაიდან კოვიდ პანდემია ჯერ კიდევ მძვინვარებს მსოფლიოს მასშტაბით და ამის პარალელურად არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა მთელ რიგ ქვეყნებში კი არ ცხრება, არამედ პირიქით-აქტიურდება.

მოცემულ ნაშრომში არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა ორი კონკრეტული ქვეყნის მაგალითსა და კოვიდ პანდემიის ფონზე იქნება განხილული. კონკრეტულად კი, ხაზგასმით იქნება წარმოჩენილი და გაანალიზებული, თუ რა იწვევს არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას კონკრეტულ ქვეყნებში, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა არაძალადობრივი მოძრაობა პანდემიის ფონზე და რა შედეგები მოჰყვა საბოლოოდ.

ნაშრომში აღწერილი იქნება აშშ-სა და ჰონგ-კონგში არსებული არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის კონკრეტული შემთხვევები. აშშ-ს შემთხვევაში, ვისაუბრებთ ჯორჯ ფლოიდის მკვლელობით გამოწვეულ მასობრივ ანტირასისტულ მოძრაობებზე კოვიდ პანდემიის ფონზე, ხოლო ჰონგ-კონგის შემთხვევაში განვიხილავთ ისეთ სამოქალაქო წინააღმდეგობას, როგორცაა ფართომასშტაბიანი გამოსვლები საექსტრადიციო კანონის წინააღმდეგ.

ნაშრომში ასახული იქნება კონკრეტულ სახელმწიფოთა დამოკიდებულება და მათი საშინაო პოლიტიკა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის მიმართ. თემის ფარგლებში საუბარი იქნება აფერხებს თუ არა კოვიდპანდემია არაძალადობრივ წინააღმდეგობას და იყენებენ თუ არა მთავრობები კოვიდ 19-ს „დამცავ ფარად“ სამოქალაქო მოძრაობათა წინააღმდეგ.

საკითხზე მუშაობისას, მთავარი მიზნის მისაღწევად, რასაც კოვიდ პანდემიის ფონზე, არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის დინამიკის ტენდენციის გამოვლენა წარმოადგენდა, გამოვიყენეთ კონკრეტული შემთხვევების ამსახველი ოფიციალური დოკუმენტები. კონკრეტულად კი, შეიარაღებული კონფლიქტებისა და საპროტესტო ღონისძიებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ACLED) მონაცემები და ასევე სახელმწიფოთა ანგარიშები, რაც აღნიშნული თემის გარშემო საკმაოდ ნათელ და საინტერესო სურათს ქმნის.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება საკითხზე მუშაობისა და კვლევის შედეგად გამოკვეთილი, არსებული ტენდენციები. დასკვნის სახით კი, ასახული იქნება კონკრეტული შედეგები. მაგალითისთვის, რამდენად ეფექტური და შედეგიანი აღმოჩნდა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, სამოქალაქო წინააღმდეგობა, ანტირასისტული მოძრაობა, სამოქალაქო საზოგადოება, ფლოიდის საქმე, ჰონგ-კონგის შემთხვევა.

## **Abstract**

Presented work covers one of the actual, regional containing matters existing in modern society, especially in pandemic “non-violent civic resistance” during pandemic. It must be noted that the matter won't lose its actuality since corona virus is still widespread worldwide. At the same time non-violent civic resistance is getting worse and worse.

The mentioned work covers non-violent civic resistance in the example of two countries. To be more specific, those factors causing non-violent civic resistance are to be highlighted and discussed in these concrete counties as well as efficiency of non-violent civic resistance and its final consequences.

Specific circumstances of non-violent civic resistance in the united states and Hong Kong are to be depicted in the work. In case of USA the focus will be shifted on massive anti-racist movement caused by the murder of George Floyd. As for the Hong-Kong, large-scale protests against extradition law will be analyzed.

Work covers the attitude of states and their domestic policy against non-violent civic resistance. Discussion will focus on whether Pandemic hinders non-violent resistance as well as whether governments use covid pandemic as a “protection shield” against civic movements.

Official documents illustrating specific circumstances were used while working on the matter to reach the goal. To be more specific, armed conflict location and event data (ACLED) as well as state accounts that draws a clear and an interesting picture of the issue.

The work also presents existing tendencies emerged during the working process. Concrete results will be presented as a conclusion. For an example, how effective and productive non-violent civic resistance was during covid pandemic.

**Keywords:** Pandemic, civil resistance, Anti-racist movement, civil society, the case of Floyd, the case of Hong-Kong.

## ვაქცინის დიპლომატია - ჩინეთისა და რუსეთის საშუალება გლობალური გავლენების მოსაპოვებლად

ელისაბედ სიხარულიძე,

გიორგი კობახიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

2020 წელს დაწყებული კორონავირუსის პანდემია ყველაზე აქტუალურ თემად იქცა საერთაშორისო ურთიერთობებში. ვაქცინის შექმნის მიუხედავად, ქვეყნები მრავალწახნაგოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, რაც აისახება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში; საინტერესოა, თუ რომელი ვაქცინის დოზა იქნება ძალთა ბალანსის შეცვლის მაპროვოცირებელი ფაქტორი დასავლეთში. აღნიშნული კვლევა ორი ავტორიტარული ძალის - რუსეთისა და ჩინეთის - მიერ ვაქცინის დიპლომატიის გამოყენებას შეეხება.

ევრო-ატლანტიკურმა ქვეყნებმა “ვაქცინის ნაციონალიზაცია” მოახდინეს და ამით ხელი შეუწვევს ჩინეთსა და რუსეთს, პანდემიის წინააღმდეგ გლობალური მეზობლის როლი მოერგოთ. მაშინ, როცა ისინი კოვიდ ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინის ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი, დასავლეთის ქვეყნების მთავარ მოტივაციას საკუთარი მოსახლეობის ვაქცინაცია წარმოადგენს და ნაკლებ აქცენტს აკეთებენ მის გლობალურ განაწილებაზე. აშშ-სა და ევროკავშირის ვაქცინის ნაციონალიზაცია მათ მოკავშირეებსა და სხვა განვითარებად ქვეყნებს უკმაყოფილოს ტოვებს, ეს კი ექსპორტიორებს საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს.

თუ რუსეთი მსოფლიო პირველობას კოროლიოვის “სპუტნიკით” ვერ შესწვდა, ახლა იმავეს “სპუტნიკ 5”-ით ცდილობს. ვაქცინის მიწოდებაზე ხელშეკრულებების დადებით რუსეთს სურს ტრადიციული პოლიტიკური ალიანსების გაძლიერება და ახალი კავშირების დამყარება - იყენებს “ვაქცინის დიპლომატიას”. რაც შეეხება ჩინეთს, მას შემდეგ, რაც მან ზოგადი მოხმარებისთვის სახელმწიფო კომპანია „სინოფარმის“ ვაქცინა დაამტკიცა, მალევე იგი ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ ჩინეთის მოქალაქეებისთვის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისთვისაც; ამის ფონზე, არსებობს ვარაუდები, რომ ჩინეთი ვაქცინას საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენებს. აღნიშნულ პოლიტიკაში ჩინეთი და რუსეთი მსგავსი მიმართულებით მიდიან. იქიდან გამომდინარე, რომ ჩინური

“სინოფარმის” მომხმარებელი საქართველოცაა, რომელიც რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში შედის, შესასწავლი საკითხი უფრო საინტერესო ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად დაისმება: “როგორ იყენებენ ჩინეთი და რუსეთი ვაქცინის დიპლომატიას თავიანთი საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად?”

კვლევის მიზანია - შეაფასოს რუსეთისა და ჩინეთის “ვაქცინის დიპლომატიის” პოლიტიკური მსვლელობები განვითარებად სამყაროზე; გაანალიზოს და დაგვანახოს ექსპორტიორი ქვეყნების ვაქცინის „დონორად” ქცევით გამოწვეული დიპლომატიური წნეხის სამომავლო შედეგები. საკითხის შესწავლისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, დოკუმენტების შესწავლა, რათა გაგვეანალიზებინა გამოქვეყნებული ანგარიშები; პირველადი და მეორეული წყაროების შესწავლით შევაფასეთ ვაქცინაციის საფუძველზე შექმნილი მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები მსოფლიოში; თეორიული და პრაქტიკული მასალების გააზრებასთან ერთად კონტენტ ანალიზი დაგვეხმარა შეგვესწავლა საკითხში ჩართულ აქტორთა განცხადებები.

**საკვანძო სიტყვები:** ვაქცინის დიპლომატია, ჩინეთის ვაქცინის დიპლომატია, რუსეთის ვაქცინის დიპლომატია, განვითარებადი სამყარო.

## **Abstract**

The 2020 year emerged COVID-19 pandemic has become the most current topic in International Relations. Although the vaccine has been created, countries face polyhedral challenges that are reflected in interstate relations. It is interesting which vaccine will provoke the changes in the balance of power in the western world. The following research will be about the use of vaccine diplomacy by the two authoritarian powers - China and Russia.

Euro-Atlantic countries follow the vaccine nationalism policy and thus assist China and Russia to adopt the role of global fighters against pandemics. While they are oriented on exporting the Covid vaccine, western countries find their major motivation to vaccinate their population and, as a result, do not emphasize its global distribution. The vaccine nationalization policies of the US and EU leave the developing world dissatisfied. This encourages the vaccine exporter countries to expand their spheres of influence.

Russia tries to reach the global leadership by its “Sputnik 5”. By signing the agreements about vaccine delivery, Russia is eager to strengthen the traditional political allies and establish the new ones - as it uses vaccine diplomacy. As concerns China, as soon as the sinopharm vaccine was approved for general use, it became available for not only China’s population but also for the other people living around the world. There are some ideas that China uses vaccine diplomacy for reaching its foreign policy concerns. In this political context, Russia and China follow the same path. According to the fact that Georgia is a customer of China’s vaccine and also Russia’s geopolitical interest in the region, the research topic is becoming more interesting.

According to the aforementioned, our research question will be put in the following way: “How Russia and China use vaccine diplomacy for achieving their foreign political-economic goals?”

The research aims to evaluate the political processes of “vaccine diplomacy” of Russia and China in the developing world. Analyze and show the future consequences of diplomatic pressure caused by the "donor" behavior of the vaccine of exporting countries. We used qualitative methods to study the issue. Particularly, The study of documents to analyze the published reports; Also we evaluate the current political issues in the world based on vaccination by studying primary and secondary sources. Beside considering the theoretical and practical materials, content analysis was helpful to learn the main actors' statements.

**Keywords:** Vaccine diplomacy, China's vaccine diplomacy, Russia's vaccine diplomacy, developing world.

## არასრულფასოვნების კომპლექსი-პრობლემები და გამოწვევები

ანა ნათობიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

არასრულფასოვნების კომპლექსი გულისხმობს საკუთარი თავის მიმართ არაადეკვატურობის ძლიერ განცდას. ამ დროს პიროვნება ფიქრობს, რომ სხვას ჩამორჩება, ფიზიკური ნაკლისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო. არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანებს ახასიათებთ დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, უმწეობის განცდა. მისი ჩამოყალიბება იწყება ადრეული ბავშვობის პერიოდიდან და ხშირად განაპირობებს პიროვნების ცხოვრების მრავალ ასპექტს. არასრულფასოვნების კომპლექსს შეუძლია გავლენა მოახდინოს, როგორც პიროვნებაზე, ასევე კარიერულ და ცხოვრებისეულ წინსვლაზე.

დავინტერესდით, თუ რა გავლენას ახდენს არასრულფასოვნების კომპლექსი პიროვნების განვითარებაზე და იცვლება თუ არა ის ასაკთან ერთად. არასრულფასოვნების კომპლექსი, ზეგავლენას ახდენს პიროვნების იდენტობაზე, მის პიროვნულ განვითარებაზე და სოციალურ ურთიერთობებზე. სწორედ, ამ გავლენებმა განაპირობა ჩემს მიერ ზემოხსენებული თემის წინ წამოწევა და აქტუალიზაცია. მნიშვნელოვანია განვიხილოთ არასრულფასოვნების კომპლექსის თეორიული ასპექტები და განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებსაც არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ: ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის არსებობა, ბავშვის უგულვებლყოფა, სიყვარულისა და დაცულობის ნაკლებობა, ინდიფერენტული დამოკიდებულება, განებივრება. თუმცა არასრულფასოვნების კომპლექსი დადებით ასპექტშიც შეიძლება განვიხილოთ. არასრულფასოვნება ადამიანისთვის შეიძლება იყოს სტიმული, რომ იზრდოდეს საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის სამყაროში.

ჩვენი საკვლევი თემაა არასრულფასოვნების კომპლექსი გარდატეხის პერიოდში (13-19 წელი) და 20-25 წლის ახალგაზრდებში.

კვლევის ჰიპოთეზა:

- არასრულფასოვნების კომპლექსი განსხვავებულია როგორც ასაკობრივ, ასევე გენდერულ ჭრილში.

- თუ გარდატეხის პერიოდში გოგონებთან უფრო მეტად გამოხატულია არასრულფასოვნების კომპლექსი, ბიჭებთან კი ის, უფრო მეტად, 20-25 წლის ასაკისათვის იჩენს თავს.

კვლევის მიზანი:

- არასრულფასოვნების კომპლექსის კვლევა ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში.

კვლევის ამოცანები:

- არასრულფასოვნების კომპლექსის კვლევა გენდერულ ჭრილში;
- არასრულფასოვნების კომპლექსის კვლევა ასაკობრივ ჭრილში;
- არასრულფასოვნების კომპლექსის კვლევა ორ ასაკობრივ ჯგუფთან (20-25 და 13-19 წლის რესპონდენტებთან).

კვლევისათვის გამოვიყენეთ „არასრულფასოვნების კომპლექსის“ საკვლევი კითხვარი. კვლევა ჩავატარეთ 100 ადამიანზე გენდერული და ასაკობრივი ბალანსის დაცვით. კვლევაში წარმოდგენილია შესაბამისი შედეგები ანალიზითა და დასკვნებით.

**საკვანძო სიტყვები:** არასრულფასოვნების კომპლექსი, თვითშეფასება, იდენტობა

## **Abstract**

The inferiority complex implies a strong sense of inadequacy towards oneself. At this time the person thinks he is inferior to others, due to physical disability and many other reasons. People with inferiority complex are characterized by low self-esteem, negative self-esteem, feelings of helplessness. Its formation begins in early childhood and often affects many aspects of a person's life. The inferiority complex can affect a person as well as career and life advancement.

We wondered what effect the inferiority complex has on a person's development and whether it changes with age. The inferiority complex affects a person's identity, personal development, and social relationships. It was these influences that led to the emergence and actualization of the topic I mentioned above. It is important to consider the theoretical aspects of the inferiority complex and to identify the factors that contribute to the formation of the inferiority complex: physical or mental disability, child neglect, lack of love and protection, indifferent attitude, pampering. However, the inferiority complex can also be considered in a positive light. Incompleteness can be a stimulus for a person to strive to establish himself in the world.

Our research topic is the inferiority complex in the transition period (13-19 years) and in 20-25 year olds.

Research Hypothesis:

- The inferiority complex varies in both age and gender.
- If the inferiority complex is more pronounced in girls during the transition period, and in boys it is more pronounced by the age of 20-25.

reason of research:

- Research on the inferiority complex in terms of age and gender.

Research objectives:

- Research on the inferiority complex in terms of gender;
- Research on the inferiority complex in terms of age;
- Study of the inferiority complex with two age groups (20-25 and 13-19 year old respondents).

We used the "Inferiority Complex" research questionnaire for the study. We conducted a study on 100 people with gender and age balance. The study presents the relevant results with analysis and conclusions.

**Key words:** Inferiority complex, self-esteem, Identity.

## კავშირი მრავალ ინტელექტსა და ოცნებას შორის. სიზმრები თანდაყოლილია?

ზურაბ შათირიშვილი,

ანი აბაზაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის გაგება, არის თუ არა სიზმარი თანდაყოლილი. ასევე ექსპერიმენტი იმის შესაძლებლობასაც გვაძლევს, რომ განვსაზღვროთ კავშირი ჰოვარდ გარდნერის მრავლობითი ინტელექტის თეორიასა და სიზმრის შინაარსებს შორის.

ამ ყოველივეს დადგენას საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ჰიპოთეზის დამტკიცების შემთხვევაში საშუალება მოგვეცემა გამოვიწვიოთ და ვაკონტროლოთ სიზმრის შინაარსი ან მისი ნაწილი. ასევე გამართვლება იმ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, რომლებსაც აწუხებთ ძილის დავადებები და კოშმარები.

იმისთვის რომ ეს ყოველივე დავადგინოთ ჰ.გარდნერის მრავლობითი ინტელექტის თეორიის გამოყენება დაგვჭირდება. როგორც იცით მრავალი ექსპერიმენტი მოწმობს, რომ სიზმრებზე გავლენას ახდენენ გარეგანი სტიმულები მაგრამ ჯერ არავინ დაინტერესებულა ინტელექტის ტიპებსა და სიზმრების შინაარსებს შორის კავშირით. იმ შემთხვევაში თუ ინტელექტის ტიპსა და გარდნერის თეორიასთან კავშირი დადებითი იქნება, მაშინ დავადასტურებთ იმასაც, რომ სიზმრები თანდაყოლილია, რადგან გარდნერის თეორიის მიხედვით ინტელექტი თანდაყოლილია.

ექსპერიმენტის ჰიპოთეზის თანახმად ცდის პირზე ძილის (რემ) ფაზაში რამდენიმე გარეგანი სტიმულით ზემოქმედებამ უნდა გამოიწვიოს ისეთი სიზმრის ხილვა, რომელსაც კავშირი აქვს მის ინტელექტის ტიპთან და გარეგან სტიმულთან. ხსენებულის დროს ექსპერიმენტში შეგვაქვს რამდენიმე გამლიზიანებელი, კერძოდ: სმენითი, ვიზუალური, კინესთეტიკური და ყნოსვითი. ამის შემდეგ კი ვაკვირდებით ადამიანის სიზმრის შინაარსს და ვადგენთ ამ რამდენიმე სტიმულიდან რომელი სინქრონიზდა ინდივიდის სიზმართან. მაგალითად, თუ ადამიანს ვიზუალურ- სივრცითი ინტელექტი აქვს განვითარებული მასზე დომინანტურ ზემოქმედებას მოახდენს, ის სტიმული, რომელსაც მხედველობასთან აქვს კავშირი.

იმ შემთხვევაში თუ ჰიპოთეზა არ გამართლდა დადგინდება, რომ სიზმრები არაა გენეტიკური და მათი შინაარსები მთლიანად პიროვნებაზეა დამოკიდებული.

**საკვანძო სიტყვები:** სიზმრები, ინტელექტი, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია.

## **Abstract**

The primary goal of the study is to understand whether the dream is innate. The experiment also allows us to determine the connection between Howard Gardner's theory of multiple intelligences and the contents of a dream.

Determining all this is of great importance for society, because, if the hypothesis is approved, we will be able to challenge and control the content of the dream or part of it. It will also make it easier to help people who suffer from sleep disorders and nightmares.

To establish all this, we will need to use H. Gardner's theory of multiple intellects. As you know, many experiments prove that dreams are influenced by external stimuli, but so far no one has been interested in the connection between intelligence and the content of dreams. If the connection between the type of intellect and Gardner's theory is positive, then we will also prove that dreams are innate, because, according to Gardner's theory, intellect is innate.

According to the hypothesis of the experiment, the impact of several external stimuli on a person during the sleep (rem) phase of the experiment should lead to the appearance of a dream that is related to his intelligence type and external stimuli. During the mentioned, we introduce several irritants in the experiment, namely: auditory, visual, kinesthetic and olfactory. We then observe the content of the human dream and determine which of these few stimuli is in sync with the individual's dream. For example, if a person has developed visual-spatial intelligence, then one's dream will be dominated by the stimulus that has to do with sight.

If the hypothesis is not justified it will be established that dreams are not genetic and their content entirely depends on the individual.

**Key words:** Dreams, intelligence, intellect, theory of multiple intelligences.

## **სამოსი, როგორც განწყობის შეცვლის ინსტრუმენტი**

**ზაზა გიგაური**

წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი

### **აბსტრაქტი**

ცნობილ გამოთქმას, რომ "თუ უკეთ ჩაიცვამ, თავს უკეთესად იგრძნობ", მრავალი ადამიანი არ ეთანხმება: "როგორ შეიძლება სამოსმა და ქსოვილმა შეცვალონ ჩვენი გონებრივი შემეცნება და დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ?" მაგრამ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ტანსაცმელს შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩვენს ემოციებზე, სამუშაოს შესრულებაზე და ფსიქიკაზეც



ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ სამ მახასიათებელთან - მზრუნველობა, გაბედულება და შემოქმედება, ასოცირებული ტანსაცმლის ტარება, საბოლოოდ, ამ თვისებების შეძენას იწვევს.

სიმბოლური სამოსის ჩაცმით, ვიღებთ მასთან დაკავშირებულ მახასიათებელსაც. სიმბოლური სამოსის ჩაცმა არ არის მხოლოდ აქტივობა, არამედ ფსიქოლოგიური გამოცდილებაა. ტანსაცმელი წარმოადგენს ინდივიდუალურობას და შესაბამისად, სამოსის გარკვეული საგნები საშუალებას იძლევა, გავექცეთ საკუთარ რეალობას და მოვირგოთ სხვისი რეალობა. ამრიგად, ტანსაცმელი ინსტრუმენტული საშუალებაა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ადამიანის მენტალური დამოკიდებულება

ტანისამოსს ძლიერი ზეგავლენის მოხდენის უნარი აქვს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სხვები ამა თუ იმ სამოსსში გამოწყობილ პირს. ტანსაცმელი საკუთარი თავის აღქმაზეც ახდენს გავლენას. ჩატარებული ხუთი ექსპერიმენტის მიხედვით, მაიკლ სლეპიანმა, სიმონ ფერბერმა, ჯოშუა გოლდმა და აბრაამ რუჩიკმა დაადგინეს, რომ შთამბეჭდავი ჩაცმულობა ზრდის ადამიანთა შესაძლებლობას, იაზროვნონ აბსტრაქტულად.

ადამიანი იცვამს იმის შესაბამისად, რომელ სოციალურ ჯგუფსაც უნდა, რომ განეკუთვნებოდეს და რაც იმ ჯგუფშია მოწონებული, რითიც აღიარების და მიკუთვნილობის მოთხოვნილება კმაყოფილდება და მოაქვს სულიერი სიმშვიდე. ასევე სამოსი, რომელშიც ადამიანი თავს კომფორტულად გრძნობს, პოზიტიურად მოქმედებს ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია გააანალიზოს მოდისა და სამოსის გავლენა აღქმასა და თვითგამოხატვაზე, განიხილოს ტანსაცმლის გავლენა ადამიანის განწყობაზე და აზროვნებაზე, რადგან აზროვნების სხვადასხვა სტილი გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების ფართო სპექტრზე. ნაშრომი აგრეთვე წარმოადგენს ემპირიული კვლევის შედეგებს, რომელიც ჩავატარეთ საქართველოში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 202-მა რესპონდენტმა, რომლებმაც უპასუხეს კითხვებს მათზე სამოსისა და მოდის ზეგავლენის გამოსავლენად. შედეგად განისაზღვრა, თუ როგორ მოქმედებს ტანისამოსი ადამიანის განწყობებზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოდის ფსიქოლოგია, სამოსი, ზეგავლენა, განწყობა, აღქმა, შემეცნება.

## Abstract

To the famous expression - "if you dress better, you will feel better" many people disagree: "How can clothing and textiles change our mental cognition and attitude towards ourselves?" But there is scientific evidence to prove that clothing can affect our emotions, job performance, and psychics as well

The experiment has demonstrated that wearing garments associated with the three characteristics - caring, courage, and creativity ultimately leads to the acquisition of these qualities.

By wearing a symbolic garment, we also get the characteristic associated with it. Wearing symbolic clothing is not only an activity but also a psychological experience. Clothing represents identity, and therefore certain items of clothing allow us to escape our reality and adapt to the reality of others. Thus, clothing is an instrumental tool that can change a person's mental attitudes

Clothing can have a powerful influence on how others perceive a person dressed in this or that clothing. Clothes also affect self-perception. In five experiments, the researchers found that impressive attire increases people's ability of abstract cognition.

A person wears according to whichever social group he wants to belong to and what is approved in that group. This satisfies the need for recognition and belonging and brings spiritual peace. Moreover, clothes, in which a person feels comfortable, have a positive effect on the mental state.

The presented paper aims to analyze the influence of fashion and clothing on perception and self-expression, to consider the impact of clothing on attitude and cognition, as different styles of cognitive processing affect a wide range of decision-making. The paper also presents the results of an empirical study conducted in Georgia, in which 202 respondents participated who answered questions about the impact of clothing and fashion on them. As a result, it was determined how clothing affects a person's attitude.

**Keywords:** Fashion Psychology, Clothing, Influence, Attitude, Perception, Cognition.

## დეზინფორმაციული ინტერნეტსივრცე კოვიდ 19-ის პრობლემათა გაშუქებისას

რევაზი დიდებაშვილი,

თამარ ნოდარიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საკონფერენციოდ წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია საქართველოში ე.წ. „ტროლების“ და „ბოტების“ გამოვლინების პირველსაწყისები და მათი შექმნის მიზეზები; განვითარების სპეციფიკა, მასშტაბური შემთხვევები. ასევე, მათ შორის არსებული მსგავსება - განმასხვავებელი ნიშნები და ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები. რაც მთავარია, განვიხილავთ, როგორ გამოიყენეს „ტროლებისა“ და „ბოტების“ შემქმნელებმა „კოვიდ-19“ დეზინფორმაციისათვის. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხი პირდაპირ უკავშირდება ჩვენს უსაფრთხოებას. დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში ინტერნეტსივრცე თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ყალბი ინფორმაციის გავრცელება კი ყოველდღიურად უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იღებს. სოციალურ ქსელ Facebook-ში დღეს არსებული საკომუნიკაციო ატმოსფეროს გაანალიზება ამ კუთხით არსებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ეს ვითარება არა მხოლოდ ჩვენს პატარა ქვეყანას უქმნის საფრთხეს, არამედ მთელს მსოფლიოს. ჩვენი კვლევის აქტუალობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მიუხედავად თემის დიდი მნიშვნელობისა, ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია. ნათელია, რომ მედიაწიგნიერება დიდ როლს ითამაშებს მათთან ბრძოლაში და შესაბამისად, აუცილებელია, რომ საზოგადოებას შესაბამისი ცოდნა ჰქონდეს აღნიშნულ საკითხზე.

ქართულ და უცხოურ მედიასივრცეში მოძიებულ რელევანტურ მასალებზე დაყრდნობით, მეტნაკლებად შეგვიძლია გამოვკვეთოთ „ტროლებისა“ და „ბოტების“ გააქტიურების გამოწვევი მიზეზები, მათი მთავარი მახასიათებლები და განმასხვავებელი ნიშნები. საგულისხმოა ასევე, რომ ამ მიმართებით გავიაზროთ საქართველოსა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების მესვეურების მიერ გაწეული ძალისხმევა.

წინასწარ შედგენილ კითხვარზე გაცემული პასუხებით, რომლებიც აღნიშნული საკითხის ექსპერტებმა და მკვლევრებმა მოგვაწოდეს, მეტნაკლებად ობიექტურ წარმოდგენას შევიქმნით ამ მხრივ არსებული ვითარების შესახებ; შევძლებთ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს ყალბი ინფორმაციის გავრცელება რეალობის აღქმაზე, ფორმირებასა და საზოგადო აზრის ჩამოყალიბებაზე. სხვა ქვეყნების გახმაურებული მაგალითების გაანალიზებით ვეცდებით, გამოვკვეთოთ მათთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები და მათი ქართულ რეალობაში გამოყენების შესაძლებლობები. ამით შევძლებთ, დაახლოებითი წარმოდგენა შევიქმნათ ეროვნული ტროლინგის ხილულ და უხილავ ფორმებსა და ამოცანებზე.

კვლევის პროცესი ითვალისწინებს მოძიებული ინტერნეტმასალის სისტემატიზება - კლასიფიკაციას, ცალკეულ შემთხვევათა და მედიატექსტების შინაარსობრივ ანალიზს. ჩატარებული თვისებრივი კვლევა საშუალებას მოგვცემს, საკითხი გავანალიზოთ სიღრმისეულად და კომპლექსურად. ექსპერტთა მოსაზრებების ანალიზი დაგვეხმარება საკითხის მაქსიმალურად განვრცობასა და შესწავლაში. ასევე გვიჩვენებს, რაოდენ დიდია „ტროლების“ და „ბოტების“ ძალა და გავლენა და როგორ შეიძლება ამ იარაღის საზოგადოებისათვის საზიანოდ გამოყენება. საბოლოოდ, მკაფიოდ წარმოაჩენს მათთან ბრძოლის საჭიროებას, რადგანაც ხშირად შეიარაღებულ კონფლიქტზე არანაკლებ საშიში საინფორმაციო ომია.

**საკვანძო სიტყვები:** კოვიდ 19, დეზინფორმაცია, საზოგადოებრივი აზრი.

## **Abstract**

Above-mentioned issue is studied in Georgia, we will talk about 'trolls' and 'bots' as well as the reasons for their creation; development specificity, large-scale cases. Also, existing similarities among them, the hallmarks of this phenomenon ways of fighting. Most importantly, we will discuss how they were used by the creators of "Trolls" and "Bots" for misinformation in covid era. It determines the urgency of the issue the circumstance that the above-mentioned issue is directly related to our Security. The Internet in today's technological age is an integral part of every human's life The spread of information is getting faster every day. The social network 'Facebook' is available anywhere today, so we have to analyze the existing communication atmosphere in this regard To identify challenges and problems. This situation is problematic not only in our small country, but also around the world.

The urgency of our research Increases the fact that despite the great importance of the topic, this The level of public awareness on the issue is quite low. It is clear that media literacy will play a big role with them In the fight and therefore, it is necessary for the community to have relevant knowledge on the subject. Relevant found in Georgian and foreign media space Based on the materials, we can more or less outline The reasons for the activation of "trolls" and "bots", their main features and distinguishing marks. It is noteworthy also, to understand Georgia and others in this regard government or civil society efforts made by supervisors. With answers to a pre-compiled questionnaire that experts and researchers on this issue have provided us with the information. We will create a more or less objective representation in this regard about the situation; we will be able to understand how fake news work dissemination of information on the perception, formation and on the formation of public opinion. High-profile in other countries by analyzing the examples we will try to outline with them effective means of struggle and their Georgian reality opportunities for use. With this, we will be able to create a visual and invisible presentation of national trolling on forms and tasks.

The research process involves retrieving internet material systematization - classification of individual cases and Content analysis of media texts. Conducted qualitatively The research will allow us to analyze the issue in depth and complex. Analyzing the opinions of experts will help us In maximizing the spread and study of the issue. Also Shows the power of "trolls" and "bots" and Impact and how these weapons can affect the community harmful use. Finally, clearly present with them the need to fight, as is often the case in armed conflict not less dangerous is the information war.

**Key words:** Covid 19, Disinformation, Public Opinion.

## კრიმინალური საკითხების გაშუქება ქართულ ტელემედიაში

თამთა ბაკარანძე,

ანა ცირდავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ როლი ძალიან დიდია. მას არამხოლოდ ძალუმს ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, არამედ შეუძლია შექმნას საზოგადოებრივი აზრი.

კრიმინალური ფაქტების გაშუქება იმ თემებს შორისაა, რომელსაც მედია აშუქებს იმისთვის, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ თვალსაჩინო ინფორმაცია ქვეყანაში (და არამხოლოდ) მიმდინარე მოვლენების შესახებ. დანაშაულისა და სამართლიანობის შესახებ საზოგადოების ცოდნა ძირითადად მედიიდან გამომდინარეობს. ტელევიზია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების აღქმაზე და დანაშაულის გაგებაზე. მედიის რეპორტაჟები ხშირად ხაზს უსვამს შემთხვევით ან მოულოდნელ დანაშაულებს. შედეგად ინდივიდებს შეუძლიათ, თავი წარმოიდგინონ, როგორც პოტენციური მსხვერპლნი. პრობლემები, რომლებიც სატელევიზიო მედიაში არსებობს, ექსტრემალურ სიტუაციებში განსაკუთრებით იჩენს თავს და წინა პლანზე გადმოდის. კრიმინალის გაშუქება იმ საკითხებს შორისაა, რომლის თანმიმდევრული, ეთიკური სტანდარტებით გაჯერებული გაშუქება ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში.

თანამედროვე მედიაში კრიმინალის გაშუქების თვალსაზრისით ჯერ კიდევ რთულია გარკვეული ბალანსის დაცვა საზოგადოებრივ ინტერესსა და ეთიკურ გაშუქებას შორის. მედიას შეუძლია ფოკუსირება მოახდინოს სიუჟეტზე, სათაურით ის გახადოს რეიტინგული, ამავდროულად უგულებელყოს სხვა ამბავი ისე, რომ საზოგადოებამ ვერასდროს გაიგოს ის. კრიმინალური ამბებისადმი საზოგადოების ინტერესი ზოგადად მაღალია. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, მასმედიამ შეიძლება გავლენა მოახდინოს დანაშაულზე, მაგრამ არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის წყარო, აგრეთვე როგორც დანაშაულის მოტივაცია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ, კონკრეტულად რა პრობლემებს ვაწყდებით კრიმინალური საკითხების გაშუქებისას.

რაც შეეხება კვლევის ამოცანებს, ესენია

1. ვიკვლიოთ რამდენად მიჰყვებიან ჟურნალისტები კრიმინალის გაშუქების ზოგად წესებს
2. იდენტიფიცირება იმისა, თუ რამდენად მიუკერძოებლად აშუქებენ ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს.

3. მეტწილად ირღვევა თუ არა როგორც მსხვერპლის, ისე ბრალდებულის და შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა პირთა უფლებები.

4. კრიმინალური ამბების გაშუქებისას დაცულია თუ არა ბალანსი ეთიკურ ნორმებსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევა, რადგან კვლევის ეს ტიპი გამოყოფს კვლევის საგანს და მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლას. რაც შეეხება კონკრეტულ არხებს, რომლებზეც მოხდა დაკვირვება - ესენია „ტელეკომპანია პირველი“ , „მთავარი არხი“ „ფორმულა“ „რუსთავი 2 „ და „პირველი არხი“

**საკვანძო სიტყვები:** კრიმინალი, დანაშაული, სამართლიანობა, გაშუქება, ბალანსი, ეთიკა, კოდექსი.

### **Abstract**

The role of the media as the "fourth government" is very great. It can provide the information to the public, but he can also shape public opinion.

Crime reporting is one of the topics covered by the media to provide the public with accessible information about current events in the country (and beyond). Public awareness of crime and justice comes primarily from the media. Television has a great impact on public perception and understanding of crime. Random or unexpected crimes are often mentioned in media reports. As a result, people may present themselves as potential victims. The problems that exist in the television media are especially evident in extreme situations and come to the fore. Criminal prosecution is one of the problems, consistent adherence to ethical standards in Georgia is still a problem.

When it comes to reporting of crimes in modern media, it is still difficult to find a definite balance between the public interest and ethical reporting. The media can focus on the story, make it headline in the headline, while ignoring the other story so the public can never understand it. Public interest in crime news is generally high. Some researchers argue that the media can influence crime, not only as a source of information, but also as a motivator for crime.

The purpose of the study is to find out what specific problems we face when covering crime topics.

As for research tasks, these are

1. Examine the extent to which journalists comply with the general rules of criminal prosecution.
2. Determine how impartially journalists report on current events.
3. Whether the rights of both the victim and the accused and other persons participating in the case are violated.
4. Is there a balance between ethics and public interest in crime news coverage?

We used qualitative research as a research method because this type of research shares the research subject and aims to explore the research problem in depth. As for the specific channels that were monitored, these are Channel One, „Main Channel“ , „Formula“ ,“ Rustavi 2 „and „Channel One“.

**Keywords:** crime, crime, justice, coverage, balance, ethics, code.

## მიკერძოებული მედია: ანუ, როგორ შუქდება ნამახვანჰესთან დაკავშირებული საკითხები.

ნაზი მწარიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

რამდენიმე თვეა, „მოდრაობა რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ნამახვანჰესის წინააღმდეგ იბრძვის. ამ უწყვეტი და ინტენსიური ბრძოლის პირობებში გამოიკვეთა უამრავი პრობლემა ჰესთან დაკავშირებით. მოცემულ სტატიაში არ იქნება საუბარი არც სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ, არც ეკონომიკური, ენერგოდამოუკიდებლობისა და არც სხვა ტიპის პრობლემებზე, რამეთუ, ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ საკითხს და კვლევის საგანს, თუ როგორ აშუქებს მედია ნამახვანჰესთან დაკავშირებულ მიმდინარე საკითხებს. მოცემული ასპექტით საკითხის კვლევა საინტერესო და საჭიროა იმიტომ, რომ მედია მხოლოდ საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანის მედიუმს კი არ წარმოადგენს, აზრის ჩამოყალიბებასა და კვლავწარმოებასაც უწყობს ხელს. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ როგორც ოპოზიციური, ასევე პოზიციის მხარდამჭერი ტელევიზიების (TV პირველი, რუსთავი 2, POSTV, მთავარი არხი) წარმომადგენელი ჟურნალისტები ცდილობენ მოძრაობის წევრებზე აქცენტირებას, როგორც ახალ პოლიტიკურ ძალაზე, პოლიტიკურად ანგაჟირებულობაზე, „ქვეყნის მტრებზე“, რომლებიც „ხელისულების უუნარობას“ იყენებენ, მოძრაობის ლიდერების ანაგრებიანობაზე, ჰომოფობიურობაზე, ქსენოფობიურობაზე, მოძრაობის „უპირობოობაზე“ და სხვა. როგორც ჩანს, ჟურნალისტები არ ერიდებიან, დააფიქსირონ საკუთარი სუბიექტური, მიკერძოებული პოზიცია, ნაცვლად იმისა, რომ დასვან მიზნობრივი, რეალურ პრობლემასთან დაკავშირებული კითხვები მეტ-ნაკლები ნეიტრალურობით მაინც. მეტიც, იდეოლოგიური თუ პარტიული პერსპექტივიდან ზოგიერთი მათგანი ცდილობს, მოძრაობის ლიდერები შეადაროს პარტიულ მტერს, მის ჩადენილ დანაშაულებებს და ამასთან ერთად, არც იმის გამოვლინებას ვაკლდებით, თუ როგორ ცდილობს ერთ-ერთი გადაცემის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი წამყვანი მოძრაობის ლიდერის, ვარლამ გოლეთიანის, თბილისში ჩატარებული აქციის დროს გზების გადაკეტვის მცდელობის შემდეგ, მისი შემდეგნაირი ფორმულირებით წარმოჩენას: „ ასეთი რაღაც ნაცვლად არ უკადრებიათ“. ანუ წამყვანი იმდენად ცდილობს გოლეთიანის დანაშაულის ჰიპერბოლიზებას, რომ მის ქმედებას მტრის ხატთან ადარებს და ხარისხობრივად უფრო მაღალ რანგშიც აჰყავს. იმავე გადაცემაში ვხვდებით ცინიკურ ფრაზებს, მაგალითად, შემდეგი ფორმულირებით: „ ვერ მიაღწია საწადელს ვარლამმა და ხვალ სახლში მიბრძანდება“, „დაუკრეფავში გადავიდა“ და სხვა. მსგავს ცინიკურ, ირონიულ, დამამცირებელ ფრაზებს რიონის ხეობის მოძრაობისა და მათი მხარდამჭერ-დამცველების მიმართ ბევრი ჟურნალისტ-წამყვანისგან ვაწყდებით. ის, თუ რატომ იყენებს მედია და ჟურნალისტები მსგავს ხერხებს ოპონირებისთვის და რა უდევს ამას საფუძვლად, მოცემულ ნაშრომში გაანალიზდება დისკურსის ანალიზის საშუალებით. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს, თუ რა უდევს საფუძვლად ოპოზიციურ და პოზიურ მედიაში ნამახვანჰესისა და პროტესტის მონაწილეების მიკერძოებული საშუალებებით წარმოჩენას.

**საკვანძო სიტყვები:** ნამახვანჰესი; მიკერძოებულობა; მედია; ცინიზმი; პარტიულობა; დისკურსი.

## Abstract

For several months, the Movement for the Survival of the Rioni Valley has been fighting against Namakhvani Dam. During these continuous and intense struggling, several problems were identified with the dam. This article will not talk about legal, economic, energy independence or other types of problems, because less attention is paid to the issue and the subject of research on how the media covers the current issues related to Namakhvani dam. The study of the issue in this aspect is absorbing and necessary because the media is not only a medium for conveying information to the public, but also contributes to the formation and reproduction of opinion. Journalists from both opposition and proposition stations (TV Pirveli, Rustavi 2, POSTV, "Mtavari arkhi") tend to focus on members of the movement as the new political forces, as politically engaged, as "enemies of the country" who utilize government's inability, as homophobic and xenophobic. moreover, they called the movement as pointless. Besides, journalists do not seem to shy away from expressing their own subjective, biased position, instead of asking targeted, real-world questions with more neutrality. Furthermore, from an ideological or partisan perspective, some of them try to compare the leaders of the movement with the minor party (Perceived as an enemy), its crimes, and at the same time, it is clear, how one of the active supporter of major party TV hosts is trying to describe the leader of the leading movement, after Varlam's attempt to blockade of the road while rally in Tbilisi: "Even the people from UNM (United National Movement) have not been able to do such a thing." In other words, the TV host tries so hard to hyperbolize Goletian's crime that he compares his actions with the icon of the enemy and ranks his commitment qualitatively in a higher rank. In the same TV program we find cynical and disrespectful phrases, for example, with the following wording: "Varlam could not reach the goal and will go home tomorrow", "he crossed the line" and others. We encounter similar cynical, ironic, derogatory phrases towards the Rioni Valley movement and their supporters and defenders from many journalists. Why media and journalists use similar methods to oppose and what underlies this, will be analyzed in this paper through discourse analysis. Accordingly, the aim of this paper is to determine what underlies the biased portrayal of Namakhvani related issues and the protesters in the media.

**Keywords:** Namakhvani Dam; Bias; Media; Cynicism; Partisanship; Discourse.

## ქართული საზოგადოების ცნობიერება (დამოკიდებულება) ტროლებისა და ბოტების მიმართ და მათ წინააღმდეგ მიმართული პლატფორმები კავკასიის რეგიონში

მელანო ბერიძე,

თეკლა ადამია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

ინფორმაცია თანამედროვე სამყაროში ძალაუფლების მთავარი წყაროა, ამის ხელშემწყობი კი გლობალიზაცია გახდა. მასმედია, სოციალურ მედიასთან ერთად, სწორედ ის მეოთხე ხელისუფლებაა, რომელიც ამ პრივილეგიას ფლობს. მისი გავლენა საზოგადოებრივი აზრის

ფორმირებაზე უდიდესია, ამაზე კი მეტყველებს მედიის დღის წესრიგისა და განაწესის თეორია, ასევე მედიაზე დამოკიდებულების თეორია. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და ინტერნეტიზაციის პროცესმა, ბეჭდურ და ტელემედიასთან შედარებით, ონლაინმედიის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა, მან ადამიანები ციფრულ სამყაროზე დამოკიდებულები გაგვხადა.

მასმედიის მთავარი დანიშნულება საზოგადოების ზუსტი და ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფაა, თუმცა იგი დეზინფორმაციული ნარატივის გასავრცელებლად ხშირად გამოიყენება. განსაკუთრებით კი ონლაინ მედიაში, სადაც ინფორმაციის სიზუსტე და რელევანტურობა არ კონტროლდება. ამ მხრივ საყურადღებოა სოციალური ქსელი, სადაც დეზინფორმაციის მთავარი შემოქმედები ტროლები და ბოტები არიან. მათი მთავარი მიზანია მასებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და საზოგადოებრივი აზრის გარკვეული დაჯგუფებების საწინააღმდეგოდ მობილიზება.

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ საზოგადოების დამოკიდებულება ტროლებისა და ბოტების მიმართ. ამასთან, განვსაზღვროთ თუ, რა საშუალებებით ხდება მათ წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ, ჩვენს ქვეყანაში, არამედ კავკასიის რეგიონის ქვეყნებშიც.

კვლევის მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. გავიგოთ, საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ტროლებისა და ბოტების შესახებ;
2. გამოვარკვიოთ, რა საშუალებებით ებრძვიან ისინი ტროლებსა და ბოტებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში;
3. დავადგინოთ, რა პლატფორმები ფუნქციონირებს საქართველოში ტროლებისა და ბოტების წინააღმდეგ საბმლველად;
4. შევადაროთ, საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ტროლებისა და ბოტების წინააღმდეგ მოქმედი პლატფორმების ფუნქციონირება;

პირველადი სოციოლოგიური მონაცემების მოსაპოვებლად გამოვიყენებთ სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს კომბინირებულად: გამოვიყენებთ როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდს. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით - ინტერნეტ გამოკითხვით - გავიგებთ საზოგადოების დამოკიდებულას შესასწავლ თემასთან დაკავშირებით, ხოლო თვისებრივი კვლევის - Case Study-ის გამოყენებით, შევძლებთ განვსაზღვროთ ცალკეული პლატფორმების ფუნქციონირების სპეციფიკა კავკასიის რეგიონში.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული საკვლევი მეთოდების შედეგების შეჯამებით დავადგენთ ტროლებისა და ბოტების შესახებ ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს, თუმცა გვაქვს მოლოდინი, რომ მათ კარგად არ ეცოდინებათ, თუ როგორ უნდა გაარჩიონ ყალბი სოციალური ანგარიში ნამდვილისგან. ამასთან, ვფიქრობთ, რომ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ბოტებისა და ტროლების წინააღმდეგ მიმართული პლატფორმების ფუნქციონირების სპეციფიკა, მედიის თავისუფლების ხარისხიდან გამომდინარე, განსხვავებული იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოების ცნობიერება, მასმედია, დეზინფორმაცია.



## **Abstract**

The Information is the main source of power in the modern world and globalization has contributed to this. Mass-media with social media, is the fourth government to hold this privilege. Its influence on the formation of public opinion is enormous, It seems from The Agenda-setting Theory and also, from Media dependency theory.

The process of development of modern technologies and internetization, has significantly increased the importance of online media, unlike print and TV. It made people dependent on the digital world.

The main purpose of mass media is to provide public with accurate and objective information. However, it is often used to spread misinformation. Especially in online media where the relevance of information is not controlled. The social network is noteworthy in this regard, where the main creators of disinformation are trolls and bots, their main goal is to put psychological pressure on the masses and mobilize public opinion against on certain groups.

The aim of the research is to study the attitude of the society towards trolls and bots. At the same time, let us determine the means of combating them not only in our country, but also in the countries of the Caucasus region.

To achieve the purpose of the research, we set the following tasks:

1. Understand the level of public awareness about trolls and bots;
2. Determine the means by which they fight trolls and bots in various social networks;
3. Identify what platforms are functioning in Georgia to fight against trolls and bots;
4. Compare the functioning of platforms against trolls and bots in Georgia and the Caucasus region;

To obtain primary sociological data, we use sociological research methods in combination: we use both quantitative and qualitative research methods. In particular, through the method of quantitative research - Internet survey - we will understand the public attitude towards the topic to be studied, and using qualitative research - Case Study, we will be able to determine the specifics of the operation of individual platforms in the Caucasus region.

Summarizing the results of the research methods used in the study, we conclude that the public will be informed about trolls and bots, although we expect that they will not know how to distinguish a fake social report from the real one. The specifics of functioning of those platforms in the countries of the Caucasus region will vary depending on the degree of media freedom.

**Key words:** Public awareness, mass media, disinformation.

# როგორ იყენებს რუსეთი მედიას პროპაგანდისტულ იარაღად ჰიბრიდული ომის წარმოებისთვის საქართველოში

ნიკა ხოსიტაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, დავადგინოთ როგორ იყენებს რუსეთი მედიას საკუთარი ინტერესების გასატარებლად საქართველოში. თემა პრობლემურია, ვინაიდან, კრემლი აქტიურად განაგრძობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში სიტუაციის ესკალაციას საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო ინტერესებისთვის და გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. 21-ე საუკუნეში, ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, მარტივი გახდა კიბერსივრცის გამოყენება საინფორმაციო ომის საწარმოებლად. მასმედია საზოგადოებრივი აზრისა და ცნობიერების ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. შესაბამისად, ზოგიერთი მედიასაშუალება ხდება მანიპულირებადი პროკრემდისტური ძალების მიერ, რათა გაავრცელონ რუსული ნარატივი და ხელი შეუწყონ ქვეყნის დესტაბილიზაციას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა: მედიას გადამწყვეტი როლი აკისრია „შეებრძოლოს“ რუსეთის მხრიდან წარმოებულ დეზინფორმაციას.

თემაზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

კონტენტ-ანალიზი - მოძიებული მასალების, ინფორმაციის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოში კრემლის პროპაგანდის ძირითადი საყრდენი მედია საშუალებებია. კონტენტ-ანალიზის დახმარებით დავადგინეთ მინიმუმ ერთი ტელევიზია, რამდენიმე ინტერნეტ-ტელევიზია, ბეჭდური გამოცემა და ვებ-გვერდი გამოირჩევა ანტი-დასავლური „მესიჯ-ბოქსით“ და ინფორმაციის გავრცელებისას ძირითადად ეყრდნობა რუსულ წყაროებს.

1. დაკვირვების მეთოდით შევისწავლეთ გამოვიკვლიეთ ტრადიციულ და ახალ მედია პლატფორმებში რუსული ნარატივის მქონე გზავნილები, რომელებიც ხელს უწყობს საინფორმაციო ომის გაღვივებას ქვეყანაში. (მაგალითად, „ოსების გენოციდი ქართველებმა მოაწყეს“). დაკვირვების შედეგად დავადგინეთ, რომელი მედიასაშუალებები არიან კრემლის პროპაგანდის გამავრცელებლები საქართველოში;

2. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები:

ა) ასამიზნე და ფოკუს ჯგუფების ანკეტური გამოკითხვა;

ბ) სტრუქტურირებული ინტერვიუ ჟურნალისტთან და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მედიის როლი რუსეთის საინფორმაციო ომის პროპაგანდის საქმეში, რომლის მიხედვითაც ვასკვნით:

1. კრემლის პროპაგანდის ძირითადი საყრდენი მედია საშუალებებია;
2. რომელი მედია საშუალებებია კრემლის პროპაგანდისტები საქართველოში (მედიაკავშირი „ობიექტივი“, გაზეთი „ასავალ-დასავალი“, ონლაინ-მედია „სპუტნიკ საქართველო“);

3. კრემლისტური პროპაგანდის შედეგად გაიზარდა მედიაში ქსენოფობიური განცხადებები, რაც განაპირობებს ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებას საქართველოში;
4. პრორუსული ნარატივის მქონე მედიის მაუწყებლობის შედეგად იზრდება რუსეთთან დაახლოების მხარდამჭერთა რიცხვი, რითაც საფრთე შეექმნება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასა და მის უსაფრთხოებას;
5. პროკრემლისტური მედიასაშუალებების პროპაგანდის შედეგად გაიზარდა დეზინფორმაციული კამპანია, რაც ხელს უშლის საქართველოს ამომრჩეველს მიიღოს რეალურ ფაქტებზე და არა ემოციებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. ამით გარეშე ძალას არ შეუწყოს ხელი შეასუსტოს ქართული დემოკრატია და აისახოს არჩევნების შედეგებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიბრიდული ომი, საინფორმაციო ომი, პროპაგანდა, პრორუსული, დესტაბილიზაცია.

## **Abstract**

The aim of the study is to find out how Russia uses the media as a powerful propaganda tool to provoke a hybrid war in Georgia. As you know, the Kremlin is actively escalating the situation in the South Caucasus region for its own political and military interests, and Georgia is no exception. In the 21st century, with the advent of the Internet and modern technology, it has become easier to use cyberspace to conduct information warfare. The media is one of the most effective means of forming opinions and attitudes towards society. Consequently, such media outlets are manipulated by pro-Kremlin forces to cover the Russian narrative and contribute to the destabilization of the country. Our research reveals: The media has a crucial role to play in fighting the disinformation of the Russian information war.

We used the following research methods to conduct research on the current topic presented in the paper:

1. Content-Analysis - Based on the materials and information obtained, the study revealed and analyzed that the mainstay of Kremlin propaganda in Georgia is the media. With the help of content analysis, we have identified at least one TV station, several Internet TV stations, a print edition and a website with an anti-Western "message box" and relying mainly on Russian sources in disseminating information.

2. Observation Method - We have observed and researched the messages of the Russian narrative on traditional and new media platforms, which contributes to the aggravation of the information war in the country. (For example, the genocide of Ossetians was organized by Georgians). Using the observation method, we have identified which media outlets are the Kremlin propagandists in Georgia;

3. Qualitative and quantitative studies:

A) Survey - target groups, focus groups.

B) In-depth interview - structured interview (with a journalist, international relations specialist).

The study highlighted the role of the media in the propaganda of Russia's information war, according to which we conclude:

1. The mainstay of Kremlin propaganda is the media;

2. Which media outlets are the Kremlin propagandists in Georgia (Media Union "Obiektivi", "Asaval-Dasavali" newspaper, online media "Sputnik Georgia").
3. As a result of Kremlin propaganda, xenophobic statements have increased in the media, which has provoked ethnic and religious hatred in the country.
4. As a result of broadcasting media outlets with pro-Russian narratives, the number of supporters of rapprochement with Russia is increasing, thus endangering the country's Euro-Atlantic integration and its security.
5. As a result of the propaganda of pro-Kremlin media, the disinformation campaign has increased, which prevents the Georgian voters from making a decision based on real facts and not on emotions. Without this, power without weakening Georgian democracy and will affect the election results.

**keywords:** Hybrid warfare, Information warfare, Propaganda, Pro-Russian, Destabilization.

## რამდენად ხშირად ხვდება საზოგადოებას სიძულვილის ენა ქართულ ტელემედიაში

თამთა შერმაზანაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საკითხის აქტუალობა: პანდემიის პირობებში ყოველდღიურად უწყევს მოსახლეობას ისეთი ინფორმაციების მიღება, რომელიც თავისდაუნებურად უარყოფითი შინაარსის მატარებელია. როგორც ცნობილია, მედიის განვითარების ფონდი 2014 წლიდან მედიაში სიძულვილის ენის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს რეგულარულად აქვეყნებს, ამის მიუხედავად, საზოგადოების აზრი ამ თემასთან დაკავშირებით არც თუ ისე ცნობილია, ფაქტია ის, რომ არავის სურს სიძულვის ენით საუბარის მოსმენა მითუმეტეს მედიაში, მაგრამ მონაცემები თუ რამდენად აღიქვამს ხალხი ამას არსად არ გვხვდება. ერთია, როცა მედია განსაკუთრებულად აკვირდება თითოეულ გადაცემას თუ საინფორმაციო გამოშვებას და მეორეა, როცა პიროვნება ეკრანზე ინფორმაციის მოსმენის მიზნით უსმენს ტელევიზიას, უკანასკნელ შემთხვევა სწორედ ის არის, რის გამოც ამ კვლევით დავინტერესდით.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მიზანია, საზოგადოებაში იმ შეხედულებების და დამოკიდებულებების გამოვლენა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ჩავატარებ ონლაინ გამოკითხვას კითხვარის დახმარებით. სამიზნე ჯგუფად შევარჩიე ზრდასრული 18 წლის ზემოთ პირები, რომელთათვისაც ტელევიზია ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული წყაროა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები: მაქვს მოლოდინი, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას ტელემედიაში ბევრჯერ მოუსმენია სიძულვილის ენით თქმული წინადადებები, ასევე ვვარაუდობ, რომ ისეთი ტელევიზიით, რომლიდანაც პიროვნებამ მოისმინა არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მეტჯერ აღნიშნული პათოსით თქმული წინადადებები ის ამ ტელევიზიას შეეცდება, რომ აღარ უყუროს.

**საკვანძო სიტყვები:** სიძულვილის ენა, მედია, საზოგადოება.

## Abstract

Urgency of the issue: In the conditions of a pandemic, the population has to receive information on a daily basis, which inadvertently carries negative content. It is known that the Media Development Foundation has been publishing annual reports on hate speech in the media since 2014, however, public opinion is not well known. no one wants to hear hate speech, especially in the media, but the data on how much people perceive it is nowhere to be found. One is when the media pays special attention to each program or news program, and the other is when a person listens to television to hear information on the screen. , Which is why I became interested in this research.

Research Methodology: The aim of the research is to identify those views and attitudes in the community. As part of the quantitative research, I will conduct an online survey with the help of a questionnaire. I have selected adults over the age of 18 as the target group, for whom television is one of the most frequently used sources of information.

Expected results of the research: I expect that the majority of respondents have heard hate speech many times in the TV media, and I also suggest that the TV channel from whichh the person has heard not once or twice, but more than once the pathos will not be tempted by this TV.

**Key words:** Hate speech, media, society.

## კრიზისები და საგანგებო ვითარებები ქართული მედიის ფოკუსში

თამარ კირკიტაძე,

ნათელა ალაზოვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მედია მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია. მისი ძირითადი ფუნქციაა საზოგადოების ინფორმირება. მედიის ვალია დააკვირდეს, შეამჩნიოს, მოიძიოს, დაამუშაოს და მოგვაწოდოს ჩვენთვის საჭირო ცნობები პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, კულტურის თუ სხვა საკითხების შესახებ. იგი მრავალ თემასთან ერთად აქტიურად აშუქებს კრიზისებსა და საგანგებო ვითარებებსაც. რაშიც შედის: მიტინგები, დემონსტრაციები, პანდემია, ძარცვა, ომი, ტერორისტული აქტები და ა. შ.

კრიზისებისა და საგანგებო ვითარებების გაშუქება საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ასეთ დროს აუცილებელია ადამიანების სწორი და დაბალანსებული ინფორმაციით მომარაგება, რადგან მიღებული ცნობები ზოგჯერ საჭიროა თავდაცვისა და თვითგადარჩენისთვის. მოცემულ ნაშრომში ძირითადად განხილულია ის, თუ რამდენად სწორად და ეთიკურად შუქდება აღნიშნული საკითხები ქართული მედიასაშუალებების მიერ. რამდენად არიან ორიენტირებული კრიზისებისა და საგანგებო ვითარებების ობიექტურად, მიუკერძოებლად, დაუმახინჯებლად, არასენსაციურად გაშუქებაზე.

საკვლევად ავირჩიეთ შემდეგი არხები: „იმედი“, „მთავარი არხი“ და „TV პირველი“. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ ამ თემების გაშუქების

ხარისხსა და ტენდენციებზე. განხილულია ქეისები, ასევე გაანალიზებულია ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც მონიტორინგისას გამოიკვეთა. გამოყენებულია თეორიული საკითხები, მსჯელობები, შეხედულებები. მოცემულია დასკვნები და სამომავლო რეკომენდაციები.

აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში გამოიკითხა რამდენიმე პროფესორი, რომლებიც კომპეტენტურები არიან ჟურნალისტურ საკითხებში. მაგ: ნათია კუპრაშვილი, მამუკა ანდღულაძე და სხვები. მოცემულია მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შეხედულებები, შეფასებები და რჩევები. გარდა პროფესორებისა გამოკითხულ იქნა სხვადასხვა მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტები. იმისათვის, რომ გარკვეულიყო თუ რას ფიქრობენ ახალგაზრდები, სტუდენტები, მომავალი ჟურნალისტიკისა თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლები, ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, სადაც ჯგუფის წევრმა სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმის შესახებ თუ როგორ აშუქებს მედია კრიზისებსა და საგანგებო ვითარებებს. ჯგუფური დისკუსიის საფუძველზე მათი მხრიდან გამოტანილ იქნა გარკვეული დასკვნებიც.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შერჩეული საკითხის სისტემურ ანალიზს. მასში განხილულ თეორიაზე, პრაქტიკულ მაგალითებზე, ფოკუს ჯგუფსა და რესპოდენტთა პასუხებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები. მოცემულია რეკომენდაციებიც, რომელთა შესრულებითაც აღნიშნული საკითხები უფრო ეთიკურად და მაღალ პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებით გაშუქდება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქართული ჟურნალისტიკის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**საკვანძო სიტყვები:** მედია, კრიზისები, საგანგებო, ომები, პანდემია, ძარცვა, ტერორიზმი, აქციები, დემონსტრაციები, ეთიკა, ნორმები.

## **Abstract**

Media is an important social institute. Its main function is to inform the public. It is the duty of the media to observe, notice, seek and provide us with the information we need. About politics, economics, education, culture or other issues. Also crises and emergencies, which includes: rallies, pandemics, demonstrations, robberies, wars, terrorist acts and etc.

Coverage of crises and emergencies is extremely important to the public. At such times it is essential to provide people with the right and balanced information as the information received is sometimes needed is for self-defense and ethical coverage of these issues by Georgian media. How focused they are on objective, impartial, distorted, non-sensational coverage of crises and emergencies.

We have chosen the following channels for research: „Imedi”, „Mtavari arkhi” and „TV pirveli”. Cases are reviewed, as well as issues and problems identified during the monitoring. Theoretical issues, reasoning, views are used. Conclusions and future recommendations are given.

In the process of working on the topic, several professors who are competent in journalistic issues were interviewed. For example: Natia Kuprasshvili, Mamuka Andghuladze and others. The opinions, views and advice expressed by them are given. In addition to the professors, journalists, working in various media were interviewed. In order to find out what young people, students, future journalists or other professions think, a focus group was held where student members expressed their views on how the media covers crises and emergencies. Based on the group discussion, they also drew some conclusions.

The paper is a systematic analysis of the selected issue. It draws conclusions based on the theory discussed, practical examples, focus group and respondents' answers. Recommendation are also given, the implementation of which will cover these issues more ethically and based on high professional standards, which in itself will help to improve the general situation of Georgian journalism.

**Keywords:** Media, crises, emergencies, war, pandemic, robbery, terrorism, demonstration, ethic.

## თანამედროვე ქართველი მესვეტეები

გვანცა ფარქოსაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

თანამედროვე ჟურნალისტიკაში საავტორო სვეტები აქტუალური გახდა. ჩემი საკვლევი თემის მთავარი მიზანია მკითხველს გავაცნო ქართველი თანამედროვე მწერალი მესვეტეები: დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე და ბასა ჯანიკაშვილი. კვლევის მიზანსა და ინტერესის საგანს მათი შემოქმედება წარმოადგენს. ამ კვლევიდან მკითხველი გაიგებს ვინ არიან თანამედროვე მწერალი მესვეტეები, რაზე წერენ, როგორი წერის სტილი აქვთ და რამდენად ხშირად ჩანან დღეს ქართულ ტელე სივრცეში. მასალების მოძიებისას მეტი ყურადღება მივაქციე ავტორების მიერ პრობლემატურ საკითხებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსა და იმ გადაცემებს, სადაც კალამისტები საინტერესო თემებზე საუბრობენ. ჩემ მიერ მოცემულ ნიმუშებში კარგად ჩანს, რამდენად ხშირად ჩნდებიან ისინი გადაცემებში, რა თემებზე საუბრობენ ან/და წერენ, რა არის მათი მიზანი, როგორი წერის სტილი და შემოქმედება აქვთ.

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალისტიკა, მწერალი მესვეტეები.

## ტელევიზია - მასობრივი მანიპულაციის საშუალება

თინათინ მღებრიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში „ტელევიზია - მასობრივი მანიპულაციის საშუალება“ განვიხილავ სატელევიზიო გადაცემებსა და ფილმებს, რომლებიც მასობრივი მანიპულაციის მძლავრ იარაღად იქცნენ. 21-ე საუკუნე ინფორმაციული აფეთქების პერიოდია, ტელევიზია და კინო აქტუალური და მნიშვნელოვანია მსოფლიოში. ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ და ცდილობდნენ, ვიზუალური ხელოვნების ეს ფორმები საკუთარი იდოლოგიის პროპაგანდისტისთვის გამოეყენებინათ.

ნაშრომში მასობრივი პროპაგანდის რამდენიმე მეთოდს განვიხილავ, მაგალითად: ჩვეულებრივი თხრობა \_ ზეგავლენის ფორმა, რომელიც საზოგადოების მხრიდან ძალადობის ფაქტისადმი შემგუებლურ ხასიათს ატარებს. დაიჭირე ქურდი \_ მანიპულირების ფორმა, რომელიც მიზნად ადამიანის დაზნევის გულისხმობს. გადაჭარბება \_ ინფორმაციულ აფეთქებაა. ემოციური რეზონანსი \_ უმეტესად კინოში ვხვდებით და მასობრივი სანახაობებისას

გამოიყენება. როგორც უკვე ავლინებ, უამრავი მეთოდი არსებობს, თუმცა მაგალითისთვის რამდენიმე მათგანი გაგაცანით.

კვლევა სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემისა და ასევე ფილმების განხილვას მოიცავს, სადაც საზოგადოებაზე მანიპულირების ნათელი მაგალითებია წარმოჩენილი. ყოველივე აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ და რამდენად ხშირად ხორციელდება მანიპულირება საზოგადოებაზე, ტელევიზიის მხრიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ტელევიზია, კინო, მანიპულაცია, სატელევიზიო გადაცემები.

### **Abstract**

In the scientific paper "Television - a means of mass manipulation" I will discuss TV programs and movies that have become a powerful tool of mass manipulation. The 21st century is a period of information explosion, television and cinema are actuality and important in the world. Therefore, the power representatives are tried and trying to use these forms of visual art to propagare their own ideology.

In this paper, I discuss several methods of mass propaganda, for example: Usual Narrative – a form of influence that is from the public side to the violence fact adaptation character bearing. Catch it Thief - A form of manipulation aimed at confusing a person. Overfulfilment - it's Informative explode. Emotional Resonance - it's used in cinema and also during mass sights. As I have already mentioned, there are many methods, however I introduced you a few of them for example.

The research includes different tv shows and movies reviews, where is the manipulation examples. because of, it's a important that will establish, how and how often television manipulating on society.

**Key Words:** Television, Cinema, Manipulation, Tv Shows.



# სამართალი

# ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

გიგა ხატიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების დადგენა. სტატისტიკა და შედარება სხვადასხვა დროების მიხედვით. გამოკვლევა იმ სტანდარტების, რაც იყო წინა წლებში და რა არის ამჟამად. რა კეთდება იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხზე მოხდეს უფრო მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბება.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა-საკითხი გახლავთ მნიშვნელოვანი. რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან აქტუალურია. ხაზი გაესმება პრაქტიკაში აღმოჩენილ ხარვეზებს, გამოიკვეთება საკითხი და მისი აღმოფხვრის გზების შესახებ დასაბუთებული, არგუმენტირებული მსჯელობა იქნება წარმოდგენილი.

კვლევის შეზღუდვები და გავლენა-აღნიშნული საკითხი სამართლებრივად რამდენიმე წელია მოწესრიგდა, რის გამოც ლიტერატურა ფაქტიურად ძალიან მწირია. არ არის კვლევები ჩატარებული აღნიშნულ თემაზე. თუმცა აქცენტი გაკეთდება საკითხის მნიშვნელობაზე და მის როლზე.

სიახლე და ღირებულება - ბოლო წლებში დანერგილი სიახლეები. პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება. მნიშვნელობა საკითხის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებაზე. პრობლემის მოგვევარებისთვის, შესაბამისი გზების ძიება.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა.

## Abstract

Purpose-The aim of the study is to identify the causes of violence against women and domestic violence. Statistics and comparisons at different times. Examining the standards that existed in previous years and what is now. What is being done to set higher standards on this issue.

Structure / Methodology / Approach-The issue is important. Which is very relevant in our country. The gaps found in the practice will be highlighted, the issue will be highlighted and a reasoned, reasoned discussion about the ways to eliminate it will be presented.

Limitations and Impact of the research — This issue has been legally regulated for several years, which is why the literature is virtually scarce. No studies have been conducted on this topic. However, the emphasis will be on the importance of the issue and its role.

Novelty and value - innovations introduced in recent years. Correction of errors made in practice. The importance of setting high standards for the issue. Search for appropriate ways to solve the problem.

**Key words:** Domestic violence, violence against women.

## შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში

თეონა კაპანაძე,

მარიამ კაციაშვილი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომი ეხება, სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს, შეჯიბრებითობას და თანასწორობას. ეს პრინციპი უზრუნველყოფილია სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე. შეჯიბრებითობის მთავარი გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ეს უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას მოიპოვონ და წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები და გაეცნონ მხარეთა მოსაზრებებს. თანასწორობის უფლების განხილვისას საგულისხმოა, რომ თანასწორობა თავის თავში არ მოიაზრებს მხარეთა ყოველგვარ გათანაბრებას, სადაც შესაძლოა აღნიშნოთ ფარული საგამოძიებო მოქმედებების მხოლოდ ჩატარება ბრალდების მხარის მიერ, არამედ პრინციპი მოითხოვს მათ გონივრულობის ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას.

სამართალწარმოება სამართლიანი გახდება მაშინ, როდესაც მხარეები იქნებიან ერთნაირ დონეზე და შეემდებათ თანაბრად მოიპოვონ მტკიცებულებები. შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით აღსანიშნავია მოსამართლის როლი, რადგან ის ამ შემთხვევაში გამოდის არა როგორც ჭეშმარიტების დამდგენი სუბიექტი, არამედ შემფასებელი მხარეთა მოქმედებებისა და მტკიცებულებებისა.

ნაშრომში განხილული იქნება ისეთი თემები, რომლებიც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპის ისტორიას და მის თანამედროვე მნიშვნელობას სისხლის სამართალწარმოებაში. ამ პრინციპის მოქმედებას გამოძიების ეტაპზე და სასამართლო სხდომაზე. ამასთან ნაშრომში ნათლად იქნება გამოკვეთილი პრინციპის მოქმედება საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში. ყველაფერ ამასთან ერთად შევეხებით ამ თემის პრობლემატურ საკითხებს. ჩვენი ნაშრომის ამოცანაა, რომ სრულებით განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რომელიც შეეხება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. ასევე წარმოვადგინოთ ის ძირითადი პრობლემები, რაც უკავშირდება აღნიშნულ საკითხს და შემოგთავაზოთ გადაჭრის ხერხები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ ჩვენი მიზანია საკონფერენციო ნაშრომით წვლილი შევიტანოთ ამ თემის უკეთ განხილვასა და მისი პრობლემატიკის გაანალიზებაში.

**საკვანძო სიტყვები:** შეჯიბრებითობის პრინციპი, თანასწორობის პრინციპი, სისხლის სამართალი.

### Abstract

The conference paper addresses one of the most important principles in the criminal process, competition and equality. This principle is ensured from the beginning of the criminal prosecution to the end of the proceedings. The main expression of adversarial proceedings is that it provides an

opportunity for the parties to obtain and present their own evidence and to obtain the views of the parties. In considering the right to equality, it is important to note that equality does not in itself imply any equalization of the parties, where we may mention only the conduct of covert investigative actions by the prosecution, but the principle requires that they be given equal opportunities within reason.

The proceedings will be fair when the parties are at the same level and able to obtain evidence equally. The role of the judge in relation to the principle of adversarial proceedings is noteworthy, as in this case he emerges not as a truth-finding subject, but as an evaluator of the actions and evidence of the parties.

The paper will discuss topics related to the history of the principle of adversarial proceedings and its contemporary significance in criminal proceedings. The application of this principle to the investigation stage and the trial. In addition, the paper will clearly outline the principle in the procedural legislation of foreign countries. All in all we will touch on the problematic issues of this topic. The task of our paper is to fully consider all the issues related to the principle of competitiveness and equality. Also present the main problems related to this issue and offer solutions. We think that this issue is quite relevant and important in the modern criminal process. That is why our goal is to contribute to a better discussion of this topic and its analysis through a conference paper.

**Key words:** The principle of competition, the principle of equality, criminal law.

## მედიაციის მნიშვნელობა კერძო მესაკუთრული ინტერესის შეფასების საკითხისათვის სამოქალაქო სამართალში

ირაკლი ლეონიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია კერძო მესაკუთრული ინტერესის საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ-ის) შექმნის ისტორია და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების რეგულირებითი ხასიათი კერძო მესაკუთრული ინტერესის არსებობას ზოგადი აუცილებლობიდან ცალკეული რეფორმისა თუ სამართლის ნორმის განმარტების თანმდევ ნაკლოვანებად გარდაქმნის, რომელიც საჭიროებს უფლებამოსილ პირთა მიერ საკითხით ჯეროვან დაინტერესებას, ინტერესის დაბალანსების თვალსაზრისით. საკითხი, თუ რა შეიძლება იყოს კერძო მესაკუთრული ინტერესი, საინტერესო და საყურადღებოა. კერძო მესაკუთრული ინტერესის ძიება: სამართლის ნორმის, ცალკეული რეფორმისა და სოციალური პრობლემების განხილვას ეხმიანება, სადაც მედიაცია უალტერნატივო საშუალებაა საერთო თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესის გასარკვევად.

კვლევის მიზანია:

1. კერძო მესაკუთრული ინტერესის მნიშვნელობისა და სოციალური ნიშნების გამოკვეთა, ასევე, სოციალურ და სამართლებრივ მახასიათებლებს შორის მიმართების ჩვენება საქართველოს სასამართლო პრაქტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის განხილვის მაგალითზე;

2. კერძო მესაკუთრული ინტერესის სამართლებრივი ხასიათის შესწავლა და ამ მიმართულებით ცალკეული სახელმწიფო რეფორმის საქმის წარმოებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელობის გარკვევა;

3. სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო მესაკუთრული ინტერესის ჭარბი ხასიათის დაბალანსების, მათ შორის დავის შემთხვევაში სასამართლოს მიერ კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის განსაზღვრის სპეციფიკისა და მისი იურიდიული შედეგების დადგენა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების გამოყენებით.

სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახულია კერძო მესაკუთრული ინტერესი, როგორც კონკრეტული სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სახასიათო გამოწვევა, რომელიც სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განიხილება. კერძო მესაკუთრული ინტერესი სოციალურ რეალობაში მრავალფეროვანი და პრობლემურია. სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა მონაწილეობის რეალურ მოტივებთან ერთად, კერძო მესაკუთრული დაინტერესება, როგორც ურთიერთობის შედეგების ცალკეულ პირზე ცალმხრივი გადაცემის ალტერნატიული საშუალება დღემდე გამოწვევაა. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილ ორგანოებს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოქალაქეთა სოციალური ქვენაგრძნობების დაბალანსების შესაძლებლობა გააჩნდეთ და აღნიშნულის შეუძლებლობა არ იქცეს მხოლოდ ცალკეულ პირთა უფლების განხორციელების / დაკმაყოფილების საშუალებად, პრინციპით: *Prior in tempore, potior in iure* [დროში პირველი, უფლებაში უპირატესი].

კერძო მესაკუთრული ინტერესის სამართლებრივი შედეგის შეფასების საზღვრებს, როგორც წესი, ადგენს სასარჩელო მოთხოვნა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით შეზღუდულია კერძო მესაკუთრული დაინტერესების არამართლობიერი მოქმედებების იურიდიული შედეგის შეფასება. მიუხედავად ამისა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენება, დავის საგანთან მიმართებით შესაძლოა ეფექტურ და უალტერნატივო საშუალებას წარმოადგენდეს.

**საკვანძო სიტყვები:** კერძო მესაკუთრული ინტერესი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მედიაცია.

## Abstract

The article is dedicated to the challenges of private ownership interest in legal system. The history of the Civil Code of Georgia and the function of the legal norms defines the importance to review the issue. The Search for private ownership: responding to the discussion of the rule of law, legal reform and other social issues, where mediation is an alternative means of clarifying the common equal interest.

The aim of the research is:

1. Highlighting the importance of private ownership interest and social signs, as well as showing the relationship between social and legal characteristics on the example of the case law of Georgia and the review of current legislation;

2. To study the legal nature of private ownership interest and to clarify the importance of conducting a separate state reform case in this direction and legislative changes;

3. To balance the excessive nature of private ownership interest in civil law relations, including in the event of a dispute, to determine the specifics of the court's definition of private property psychology and its legal consequences by means of an alternative dispute resolution.

Court decisions reflect private property interest as a characteristic challenge to a particular civil relationship that is dealt with by a court under procedural law. Private property interests are diverse and problematic in social reality. Along with the real motives of the parties in civil litigation, private property interest as an alternative means of unilaterally imparting the results of the relationship to an individual is still a challenge. Therefore, it is important that the competent authorities have the ability to balance the social subordination of citizens in accordance with the requirements of the law, and this inability does not become just a means of exercising / satisfying the rights of individuals, on the principle: *Prior in tempore, potior in iure*.

The limits of the assessment of the legal result of private ownership interest are usually set by the claim. Accordingly, the scope of the claim is limited to the assessment of the legal consequences of illegal actions of private ownership interest. Nevertheless, the use of alternative dispute resolution tools may be an effective and non-alternative remedy in relation to the subject matter of the dispute.

**Keywords:** Private Ownership Interest, Civil Code of Georgia, Mediation.

## მემკვიდრეობის სავალდებულო წილი და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

ირაკლი ფერაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

„მემკვიდრეობის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მაქსიმალურად დეტალურად აღწერს მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობებსა და სახეებს. ჩემს განსახილველ თემას წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთი ასეთი სახე, რომელიც საკანონმდებლო აქტებში მოიხსენიება, როგორც სავალდებულო წილი და რომელიც პირველი რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების მიღების გარანტია ანდერძით მემკვიდრეობის დროს, მიუხედავად მემკვიდრეობის ნებისა და ანდერძის შინაარსისა.

სავალდებულო წილი თავის მხრივ, დახუნძლულია ბევრი მნიშვნელოვანი საკითხითა და პროცედურით, რომელთა განხილვაც ჩემს მიზანს წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა კანონმდებლობის მიდგომები სავალდებულო წილის მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუ როდიდან აქვთ ამ უკანასკნელის მოთხოვნის უფლება, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული წილის განაწილებისა და მიღებასთან დაკავშირებით. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს, უშუალოდ სავალდებულო წილის სუბიექტებსა და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე ამ წილთან დაკავშირებით.

სავალდებულო წილის მიღების მოთხოვნა ხშირ შემთხვევაში არ ხდება მარტივი გზებით და ამ ყოველივეს გადაწყვეტა უწევს სასამართლოს ამიტომ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა, მიდგომები და განმარტებები ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაც უფრო ნათელს და თვალსაჩინოს გახდის სავალდებულო წილის მნიშვნელობას და როლს გარდაცვლილი პირის პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის. აქვე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შევძლებთ, დავადგინოთ არის თუ არა დაცული ამ დროს მამკვიდრებლის ნება, რადგან მან არ გამოხატა ამ პირების მიმართ ქონების გადაცემის სურვილი, გარდა საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკისა მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და გავლენაზე ჩვენს სასამართლოზე.

როგორც ნებისმიერი კანონმდებლო, სავალდებულო წილის მომწესრიგებელი აქტიც არ არის უხარვეზო და შეიცავს პრობლემურ საკითხებს. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია, განვიხილოთ ის პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სავალდებულო წილთან, ასეთ პრობლემურ საკითხად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება და მისთვის სავალდებულო წილის ჩამორთმევა. ასევე მნიშვნელოვანია პრობლემურ საკითხად განვიხილოთ ანდერძის თავისუფლების პრინციპი და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც ქმნიან იმის საფუძველს, რომ საკითხის გადაწყვეტა გართულდეს და საჭირო გახდეს ამ ყოველივეში სასამართლოს ჩარევა.

ყველა ფაქტის განხილვისა და გაანალიზებით ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს სავალდებულო წილის არსის განსაზღვრა, პრობლემური საკითხების წინ წამოწევა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რათა ხაზი გაესვას სავალდებულო წილის მნიშვნელობას კანონმდებლობაში.

**საკვანძო სიტყვები:** მემკვიდრეობა, სავალდებულო წილი, სასამართლო პრაქტიკა.

## **Abstract**

"The heir's children, parents and spouse, regardless of the content of the will, have a mandatory share."

The Civil Code of Georgia describes the possibilities and types of inheritance in as much detail as possible. My topic of discussion is one of these types, which is referred to in legislation as a mandatory share and which guarantees the receipt of property by first-degree heirs during a testamentary inheritance, regardless of the will and the content of the testament.

Mandatory share, in turn, is obscured by many important issues and procedures that I intend to address, as well as the legislative approaches to mandatory share requirements, when they have the right to claim the latter, and what should be considered in allocating and receiving shares. Attention should also be paid directly to the subjects of the obligatory share and their legal status in relation to this share.

Requiring a mandatory share is often not done in simple ways and all of this is decided by the court therefore it is important to consider the case law, approaches and explanations on these issues to make the importance and role of the mandatory share more clear to the first heirs of the deceased. Here, based on the analysis of the case law, we will be able to determine whether the will of the testator is protected at this time, because he did not express a desire to transfer property to these persons.

As with any legislation, the mandatory share regulation act is not flawless and contains problematic issues. Therefore, I consider it necessary to consider the problematic issues related to the obligatory share, as such a problematic issue we can consider recognizing the person as an unworthy heir and depriving him of the obligatory share. It is also important to consider the principle of freedom of will and other issues as a problematic issue that make the issue difficult to resolve and require court intervention.

After reviewing and analyzing all the facts, the main goal of the paper is to determine the essence of the mandatory share, to raise problematic issues and to analyze the case law to emphasize the importance of the mandatory share in the legislation.

**Key words:** Inheritance, mandatory share, court practice.

## ვალდებულების შესრულების გართულება, როგორც ხარვეზის შემცვები უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტი

სალომე სურმანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ნაშრომში „ვალდებულების შესრულების გართულება, როგორც ხარვეზის შემცვები უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტი“ შედარებით - სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით წარმოჩენილია უნიფიცირებული სამართლის მნიშვნელობა ეროვნული კანონმდებლობის განვითარებაში. ისტორიული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი გამოწვევის წინაშე ჯერ კიდევ რომის სამართლის ეპოქაში დადგა. განსაკუთრებით სრულყოფილად შესრულების გართულებასთან დაკავშირებული საკითხები კი გერმანულ სამართალშია დამუშავებული. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში ქართულ კანონმდებლობაში არაერთ ხარვეზს ვხვდებით შესრულების გართულების მომწესრიგებელი შემთხვევების რეგულირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი არაერთხელ გამხდარა სამეცნიერო ინტერესის საგანი და გამოთქმულა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია შესრულების გართულების მომწესრიგებელი ნორმების მიმართების საკითხი შესრულების შეუძლებლობასთან. ნაშრომში განხილულია შესრულების გართულების მოდელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით მიღევით. ნაშრომში უნიფიცირებული სამართალი გამოყენებულია ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზების გამოვლენისა და შევსების საშუალებად. სტატია მოიცავს მნიშვნელოვან სასამართლო განმარტებებს, რომელიც დაგვეხმარება სახელშეკრულებო ურთიერთობების კვალდაკვალ განვსაზღვროთ შესრულების გართულების მნიშვნელობა და როლი. ნაშრომის ბოლოს კი შეჯამებულია განხილული საკითხები, გამოვლენილი სამართლებრივი პრობლემები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** უნიფიცირებული სამართალი, კანონმდებლობის ხარვეზები.



## Abstract

The work - "Hardship as unified law instrument used to complete lack of legislation" aims to show how can we use unified law as a way to complete the civil law of Georgia. This work is based on the comparative method. The principle of "Pacta sunt servanda" has limits. Hardship is good example for that. The German law played important role to make this institute what we have today. In Georgian law we need better regulations to improve our legislation. In our doctrine we have quite a number of works about hardship. We can also see different opinions about using hardship clause. One of the great examples of that is the connection between hardship and force majeure. In this work "principles of European contract law" (Unidroit) and "United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods" (CISG) are used to show lack of Georgian law. In this work we can read important judicial interpretation about hardship. In conclusion, we can see recommendations how to improve the Georgian civil law.

**Key words:** Unified law, gaps in legislation.

## ბავშვის საკუთრების უფლების დაცვა - უახლესი საკანონმდებლო ცვლილება

ხატია ხაბაშვილი,

მაედეა პავლიაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვას, რომელიც განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ბავშვების საკუთრების უფლებების დასაცავად. კერძოდ, განხილულია ნორმა, რომლის თანახმად, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ნაშრომში დეტალურად განიხილება ამ ცვლილების არსი, მნიშვნელობა და გავლენა არასრულწლოვნის ცხოვრებაში კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე. ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმ წინაპირობებზე, რამაც საჭირო გახადა არასრულწლოვანთა საკუთრების უფლებების კანონიერი დაცვა. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია გორის რაიონულ სასამართლოში შეტანილი ერთ-ერთი საქმე და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა.

**საკვანძო სიტყვები:** საკანონმდებლო ცვლილებები, ბავშვთა საკუთრება.

## Abstract

This scientific work is dedicated to the discussion of the legislative changes that have been implemented in the Civil Code of Georgia in order to protect the property rights of children. In particular, the norm is considered, according to which the disposition of real estate owned by a child is allowed only with the consent of the court, taking into account the best interests of the child. The work discusses in detail the essence, significance and impact of this change on the life of a minor based on specific practical

examples. Also, attention is paid to the preconditions that have made it necessary to legally protect the property rights of minors. In addition, the work discusses the case filed with the Gori District Court and also presents the conclusion of the Guardianship and Custody Authority."

**Key words:** Legislative changes, child property.

## გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში

მარიამ ლულუნიშვილი,

თამარ ჩოგოვაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სამოქალაქო ურთიერთობები ის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია, რომლებშიც ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, ჩვენი სურვილებისაგან დამოუკიდებლად, გარკვეული დოზით აუცილებლად ვერევი. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა ამ აქტიურ სფეროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და სამოქალაქო კანონმდებლობით ჩამოაყალიბა ის ძირითადი ნორმები, რომელთა არსებობაც ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აუცილებელია.

ყოველდღიურ რეალობაში ხშირია შრომითი ურთიერთობების დარღვევის ფაქტები. რომელთა რეგულირება და დამრღვევთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ჯანსაღი სოციალური ურთიერთობებისთვის აუცილებელია. შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, პირს ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნორმათა შექმნის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, თავი იგრძნონ დაცულად, სტაბილურად და უსაფრთხოდ.

საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, გენდერულ ქრილში თანასწორობის ხელშეწყობა სულ უფრო აქტუალური ხდება. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების კუთხით, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებულია ხარვეზები მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის, თემატური კანონები გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ შრომით ურთიერთობებში.

კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე შრომითსამართლებრივ ურთიერთობის პროცესში დაკავშირებულ საკითხთან. ვინაიდან, აღნიშნული საკითხი საკმაოდ პრობლემურ და აქტუალურ თემას წარმოადგენს, ამასთან, გახშიდა შემთხვევები, რომლის დროსაც ირღვევა გარკვეული გენდერის უფლებები.

ნაშრომის მიზანია, დეტალურად განვიხილოთ საქართველოში გენდერული ნიშნით

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები და შემოგთავაზოთ მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო ბაზისა და უამრავი გატარებული ცვლილებისა ამ პრობლემის აღმოფხვრა ვერ ხერხდება დასაქმების ვერცერთ სფეროში. ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ ქალთა დისკრიმინაციაზე დასაქმების სექტორში. შესაძლოა, ასევე ადგილი ჰქონდეს მამაკაცთა დისკრიმინაციას. მნიშვნელოვანია, გატარდეს ისეთი ცვლილებები, სადაც კანონმდებლობას შესაძლებლობა ექნება ერთნაირად დაიცვას დასაქმებული ქალების უფლებები, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ის ევროპული სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს მამაკაცთა და ქალთა თანაბარ წილს, კვალიფიციურ თანამდებობებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ქალების ფიზიოლოგია განსხვავებულია მამაკაცებისგან, მნიშვნელოვანია, შეიქმნას ერთგვარი წამახალისებელი და ხელშემწყობი მექანიზმები ქალებისთვის. დამსაქმებელმა ბოლოს და ბოლოს უნდა გაითვალისწინოს, რომ ქალებსაც შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები, ჰქონდეთ სტაბილური სამსახური და ამავდროულად გაუძღვენ ოჯახს. აქვე, მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და იმის გააზრება, რომ “არ არსებობენ სუსტი სქესის წარმომადგენლები”.

**საკვანძო სიტყვები:** დისკრიმინაცია, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები.

## **Abstract**

Civil relations are the most important aspects in which sometimes, regardless of our wishes, we inevitably interfere somehow. That is why the legislator paid special attention to this active field and established the basic norms of civil law, the existence of which is necessary for normal public life.

In everyday reality, the facts of labor relations are frequent. Regulating them and holding them accountable for violators is essential for healthy social relationships. Accordingly, the Labor Code of Georgia establishes the necessary preconditions, in case of which the person bears legal responsibility.

The main purpose of creating norms is to make members of society to feel safety, stable and secure.

Given the current situation in Georgia, the promotion of gender equality is becoming increasingly important. Georgia has taken important steps in promoting gender equality in terms of legislative or political reforms, in line with international commitments. In-depth study of Georgian legislation and policies has identified shortcomings in a number of areas, including thematic laws on gender equality and the elimination of discrimination in labor relations.

In this particular case, we will focus on gender-based discrimination in the context of labor law relations. This issue is a rather problematic and topical issue, because there are cases in which certain gender rights are violated. The aim of the paper is to discuss in detail the problems and challenges related to gender discrimination in Georgia and to offer optimal ways to solve them.

Despite the existing legal framework and numerous changes, this problem can not be eliminated in any area of employment. We are not talking only about discrimination against women in the employment sector. As mentioned above, discrimination against men may also occur. It is important to make changes where the legislation will be able to equally protect the rights of employed women, both in the public

and private sectors. The legislature must take into account European standards that ensure an equal share of men and women in qualified positions. Given that women's physiology is different from that of men, it is important to establish some sort of incentive and supportive mechanisms for women. The employer must finally take into account that women can also be successful, have a stable job and at the same time lead a family. Here, too, it is important to raise public awareness and understand that "there are no members of the weaker gender."

**Key words:** Discrimination, gender discrimination, labor relations.

## პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემები სამოქალაქო სამართალში და კოვიდ-19

ანი ხურცილავა,

გიგი ჩიტბე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უზენაეს ღირებულებებს მიეკუთვნება. ინდივიდის უფლებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, რომელთანაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვა. დღესდღეობით ამ უფლების წინაშე არსებული გამოწვევები მეტად აქტუალური და კომპლექსურია, რაც მისი დაცვის აუცილებლობაზე უსვამს ხაზს. ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლამ შეიძლება შექმნას პერსონალური მონაცემების დაცვაზე ადამიანის კერძო ინტერესის ხელყოფის უფრო მეტი საფრთხე, მით უმეტეს, ინტერნეტისა და ელექტრონული საშუალებების გაზრდილი გამოყენების შედეგად. პერსონალური მონაცემების დაცვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის პირობებში, ვინაიდან ტექნოლოგიური საშუალებების გაზრდილმა გამოყენებამ შეიძლება განაპირობოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესის ხელყოფის საფრთხეების გაზრდა.

ამასთან, ერთმა დაუფიქრებელმა მოქმედებამ და ჩვენი პერსონალური მონაცემების სხვის ხელში მოხვედრამ შესაძლოა, ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს როგორც პიროვნული, ისე ქონებრივი თვალსაზრისით. ამიტომ როდესაც საქმე ეხება პერსონალურ მონაცემებს ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. მართლაც, ისეთი უწყინარი ოპერაცია, როგორცაა ელფოსტით უცხო შეტყობინების ან ვირუსის გახსნა შესაძლოა, ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდეს და ჩვენი პერსონალური მონაცემები სხვის ხელში მოხვდეს, შემდეგ კი მუდმივი შანტაჟის მსხვერპლი გავხდეთ ან შეიძლება უფრო უარესი შედეგებიც დადგეს.

ჩნდება კითხვა: რა მოიაზრება პერსონალურ მონაცემებში? ეს არის მხოლოდ სახელი, გვარი და პირადი ნომერი თუ სხვა მონაცემებიც? როგორ შეიძლება პერსონალური მონაცემების დაცვა? მოცემული ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავცეთ მკითხველს.

კვლევის მიზანია:

1. პერსონალური მონაცემების არსისა და ინფორმირებული პირადი მონაცემების მნიშვნელობის განსაზღვრა;
2. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა;
3. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პანდემიის გავლენის დადგენა;
4. პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა.

ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად გამოყენებულია ნორმატიული, სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის, ასევე, შედარებითი მეთოდები. ნორმატიული მეთოდის დახმარებით შეისწავლება პერსონალური მონაცემების სამართლებრივი საფუძვლები. სტატისტიკური მეთოდი ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრას. სწორედ ინფორმაციის დეფიციტია მიზეზი იმისა, რომ დღესდღეობით ძალიან გახშირებულია პირადი მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება და სხვა უკანონო ქმედებები, რომელიც დიდი ზიანის მომტანია და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მოახდინა აღნიშნული ქმედებების კრიმინალიზაცია, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფას. ამასთან, არანაკლებ საინტერესოა პრობლემის კვლევა შედარებითი მეთოდის საშუალებით, რადგან დასადგენია, რამდენად პასუხობს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები საერთაშორისო პრაქტიკას.

**საკვანძო სიტყვები:** პერსონალური მონაცემების დაცვა, სამოქალაქო სამართალი, კოვიდ-19.

## **Abstract**

In the modern world, the protection of human rights is of particular importance, because in a state governed by the rule of law, human rights are among the highest values. One of the most important rights of an individual is the right to privacy, which is directly related to the protection of personal data. The challenges facing this right today are very topical and complex, which underscores the need to protect it. The exchange of information between people may create a greater risk of encroachment on a person's private interest in the protection of personal data, especially as a result of the increased use of the Internet and electronic means. The protection of personal data has become particularly relevant in a pandemic, as the increased use of technological means may increase the risks of compromising the interest in the protection of personal data.

One thoughtless action that results to someone obtaining one personal data might incur damages to the subject of personal data both morally and materially. Therefore, care and caution are required with regards to personal data. Moreover, a somewhat easy and everyday action like receiving and opening an unknown or virused email might result in breach of one's personal data and then the subject of personal data might become the object of blackmail or something worse.

What is personal data? is it just the name, lastname and personal number or does personal data contain other information as well? How can personal data be protected? In the following research paper I will try to answer these questions precisely for the reader.

The aim of this research is:

1. Definition of personal data and determining the importance of informed personal data;

2. Analysis of legal grounds of personal data protection;
3. Determination of effects of pandemic on personal data protection;
4. Analysis of International legislation on personal data protection and authors personal view on these matters.

Normative, statistical, analysis and synthesis, as well as comparative methods are used to achieve the above goals. The legal basis of personal data will be studied with the help of the normative method. The statistical method will help to determine the level of public awareness. Lack of information is the reason why illegal acquisition, storage, distribution and other illegal activities of personal data are very common today, which is very harmful and due to its importance, the legislator has criminalized these actions, in particular, Article 157 of the Criminal Code on privacy. Encroachment on reflective information or personal data. However, it is no less interesting to study the problem by the comparative method, as it is necessary to determine to what extent the rules of national data protection legislation in line with international practice

**Key words:** Personal Data Protection, Civil Law, Covid-19.

## ირიბი ჩვენების მოწესრიგების საკითხი ეროვნულ დონეზე და მისი რეგულირების საქართველოსთვის რელევანტური მიდგომები

ალექსანდრე ჯუღელი,

მარიამ გაბაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედ რედაქციაში არაერთი პრობლემური საკითხია, რომელთა შორისაც უდავოდ დიდ ყურადღებას საჭიროებს ირიბ ჩვენებათა (ე.წ. “Hearsay rule”) მოწესრიგების საკითხი. ამ უკანასკნელის რეგულირების არსებული მიდგომა საკმაოდ დიდი პრაქტიკული პრობლემების საწინდარია.

ბუნებრივია, დანაშაული, როგორც სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, თავისი ბუნებით ყველაზე მძიმე სამართალდარღვევათა კატეგორიას განეკუთვნება. შესაბამისად, საკმაოდ მძიმე და მრავალფეროვანია ის საპროცესო მექანიზმები, რომლებსაც სახელმწიფო, როგორც იძულების ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი, იყენებს დანაშაულთან შესაძლო შემხებლობაში მყოფი პირების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი სახელმწიფოს (იგულისხმება ამ უკანასკნელის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური გაგება) არსებობის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასჯელზე მონოპოლისტი ერთადერთი სუბიექტი მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებდეს, რათა ერთი მხრივ მიღწეულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსისა და სასჯელის მიზნები, ხოლო მეორე მხრივ არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. თუმცა, ირიბი ჩვენებების რეგულირების არსებული მიდგომა აშკარად ვერ უზრუნველყოფს ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევას.

ამდენად, აღნიშნული სარეფერატო ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება ირიბი ჩვენების წარმოშობისა და მისი ისტორიული განვითარების ისტორია, ხსენებული სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირება კონტინენტური ევროპისა თუ საერთო სამართლის მქონე ცალკეულ ქვეყნებში (რომელთა კანონმდებლობაც მეტ-ნაკლებად რელევანტური იქნება ნაციონალურ კანონმდებლობასთან მიმართებით). მოცემული ნაშრომის ფარგლებში აგრეთვე განხილული იქნება ის ნორმატიული ჩარჩო, რომელსაც ქმნის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და პრობლემანი, რომელიც საკითხის რეგულირებისას იკვეთება. ბოლოს კი, წარმოჩენილ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ირიბი ჩვენებათა როლზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის პროცესში და იმ საკითხზე, თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ირიბი ჩვენებები, სისხლის სამართალი.

### **Abstract**

There are a number of problematic issues in the current version of the Criminal Procedure Code of Georgia, among which the issue of regulating indirect testimony (so-called "hearsay rule") undoubtedly needs a lot of attention. The current approach to regulating the latter is a precondition for quite large practical problems.

Naturally, crime, as a criminally unlawful and culpable act, by its nature belongs to the category of the most serious offenses. Consequently, the procedural mechanisms used by the state as an institutionalized mechanism of coercion against persons with possible involvement in crime are quite severe and diverse. That is why, in the existence of the rule of law (meaning both formal and material understanding of the latter), it is vital that the monopolistic subject of punishment acts within a strictly defined framework to achieve the goals of the Criminal Code and punishment on the one hand and not convict an innocent person on the other. However, the current approach to regulating indirect testimony clearly fails to achieve this crucial goal.

Thus, this essay will discuss the history of indirect testimony and its historical development, the regulation of the legal institution in continental Europe or in individual countries with common law (whose legislation will be more or less relevant to national legislation). This paper will also discuss the normative framework created by the Criminal Code of Georgia and the problems that arise in regulating the issue. Finally, the most important decision of the Constitutional Court will be presented on the role of indirect testimony in the conviction process and the question of how this decision affects the practice of common courts.

**Key words:** Indirect testimony, criminal law.

# ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ეფექტური კონტროლის მექანიზმები

მარიამ ჭიკაძე,

მარიამ ნუცუბიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

სამართლებრივი, სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტი ყოველთვის უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ კანონით თუ ბუნებით მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზება სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი. თუმცა, ამავდროულად, ხელისუფლების ორგანოების მიერ საჯარო ინტერესზე აპელირებით ხშირად ხდება ისეთ სენსიტიურ სფეროში ჩარევაც კი, როგორც ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებებია.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ზოგიერთი ქმედება ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა სფეროში ჩარევას. თავის მხრივ, ასეთი ჩარევა გამართლებულია, თუ იგი გათვალისწინებულია კანონმდებლობით, განპირობებულია ლეგიტიმური მიზნით, არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია.

მართალია სისხლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული თითქმის ყველა საგამოძიებო მოქმედება გარკვეულწილად ზღუდავს ადამიანის უფლებებს. თუმცა მათგან განსაკუთრებული საფრთხის მატარებელი თავისი ხასიათით, სპეციფიკით და ჩარევის ინტენსივობით არის ფარული საგამოძიებო მოქმედებები. კერძოდ, აქტუალურია არა მხოლოდ მოცემული საკითხის სამართლებრივი თუ თეორიული გადაწყვეტა, არამედ კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების ტექნიკური მხარეც. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის ხელმისაწვდომობა, განჭვრეტადობა, ღონისძიების განხორციელების ფარგლები, უფლებამოსილ პირთა წრე, ასევე მოპოვებულ მონაცემთა შეგროვების, გამოყენების, დამუშავების, შენახვისა და განადგურების საკითხები.

ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული პრობლემატური ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მასზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების საკითხებს. ვისაუბრებ, ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონტროლის მექანიზმებსა და მათ ეფექტურობაზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ჩარევა, ადამიანის უფლებები, პირადი ცხოვრების უფლება, ბალანსი, ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმები, საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტები, სასამართლო პრაქტიკა.

## Abstract

Protecting and supporting universally recognized human rights and freedoms must be key priority of a democratic, social and a legal State. But human rights are not aspirational, rather they are meant to be



realized, hence, a person should have reasonable expectations that the realization of his/her natural or legal rights will be guaranteed and ensured by the State.

Even though, some kind of State's activities, at the same time, involving interference with the constitutional rights and freedoms. Any interference with the constitutional rights can only be justified if it is in accordance with law, pursues one or more legitimate aim, is necessary in a democratic society in order to achieve such aim and is proportionate to the achieved results.

On the other hand, Criminal Procedure Code of Georgia contains various investigative activities which provide some kind of human rights restriction, but among them Covert Surveillance is the most sensitive in the context of intervention intensity, characteristics and specificity of the measure. In the above-mentioned context accessibility of the domestic law, scope of application of secret surveillance measures, the duration of secret surveillance measures, procedures to be followed for storing, accessing, examining, using, communicating and destroying the intercepted data, authorization of interception, supervision of the implementation of secret surveillance measures and notification of interception of communications and available remedies is the most important issues to be reviewed.

Hence, the most important and problematic issues connected to Covert Surveillance will be discussed in the present paper according to International and national resources and case-law. Also, there is need to pay special attention on supervisory and control mechanisms of secret surveillance measures, their effectiveness and to underline our solutions of mentioned practical and legal challenges.

**Key Words:** Covert Surveillance, intervention, human rights, private right, balance, supervisory control mechanisms, International and national resources and case-law.

## სისხლის მატერიალური სამართლის ნორმათა ხარვეზები და სასჯელადსრულების სამართალი

თამარ ლომიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

მიზანი - კვლევის მიზანია მატერიალური სამართლის საპროცესო სამართალთან შეუთავსებლობის პრობლემატურობის დადგენისა და მასზე ყურადღების გამახვილების მნიშვნელობის საჭიროების განსაზღვრა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევას რაც პირდაპირ აისახება ხარვეზის აღმოფხვრის ხარისხზე. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს ნორმათა რიგის გამოყოფა და რანგირება, რომელთა შინაარსის აცდენა საპროცესო სამართალთან და კონსტიტუციასთან აშკარაა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევა სტრუქტურულად წარმოადგენს პრობლემათა სისტემას, რომელზე დაყრდნობითაც ხაზს გაუსვამს ხარვეზების აღმოფხვრის მნიშვნელობას. არგუმენტაციისთვის გამოყენებული იქნება იურიდიული ლიტერატურა და მათი თავსებადობა მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობასთან. კვლევის მიდგომა წარმოადგენს პრობლემის წამოჭრისა და მისი გადაჭრის გზების ძიებას.

კვლევის შეზღუდვები და გავლენა - აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ლიტერატურა მწირია, შესაბამისად კვლევაში შესაძლოა იგრძნობოდეს ამის გავლენა თუმცა მთავარი აქცენტი

კეთდება თემის აქტუალობაზე და მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. მის როლზე სამართლებრივ სფეროში.

სიახლე და ღირებულება - საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების აცდენა საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსთან არ არის ახალი პრობლემა და ეს იურიდიულ საზოგადოებაში აღიარებული ფაქტია, თუმცა აღნიშნულობის პრობლემად წარმოჩენა, ამ პრობლემის მოგვარება და შესაბამის გზების ძიება, ვფიქრობ რომ არის კვლევის მთავარი ღირებულება და სიახლე. უფრო ზუსტად, სიახლის წინაპირობა.

**საკვანძო სიტყვები:** მატერიალური სამართალი, საპროცესო სამართალი.

## **Abstract**

**Purpose** –The aim of the study is to identify the problem of incompatibility of substantive law with procedural law and the need to focus on it. This will help to bring this problem to the forefront, which will directly affect the quality of the gap. The main goal is to separate and rank a number of norms, the content of which is obvious in violation of procedural law and the Constitution.

**Structure / Methodology / Approach** - Research is structurally a system of problems based on which it emphasizes the importance of eliminating gaps. Legal literature and their compatibility with substantive and procedural legislation will be used for argumentation. The research approach is the search for a problem and ways to solve it.

**Limitations and impact of the research** - The literature on this topic is scarce, therefore the impact may be felt in the research, but the main focus is on the relevance of the topic and its practical significance. Its role in the legal field.

**Novelty and Value** - The omission of general and private parts of Georgian criminal law is not a new problem with the Criminal Procedure Code of Georgia and it is a recognized fact in the legal community. More precisely, a prerequisite

**Key words:** Substantive Law, Procedural Law.

## **დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში**

**ვერონიკა კუცია,**

**სოფიკო თავაძე**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## **აბსტრაქტი**

დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში კვლავ პრობლემურ საკითხებად რჩება. ამას ადასტურებს უმცირესობების მიმართ, სავარაუდოდ, მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული შემთხვევები, მაგალითად: 2018 წლის ინციდენტი, რომლის დროსაც თბილისში მიგრანტები ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს, ასევე, 2013 წელს „ჰომოფობიასთან ბრძოლის

საერთაშორისო დღის“ (IDAHO) აღსანიშნავად გამართული მცირემასშტაბიანი დემონსტრაციის საპასუხოდ მომხდარი არეულობა. გარდა ამისა, საყურადღებოა დისკრიმინაციით მოტივირებული შედარებით პატარა ინციდენტები, რომლებიც ყოველდღიურად ხდება.

საქართველოში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ვითარების გასაუმჯობესებლად საჭიროა მოქმედება. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანონმდებლობა, თუმცა, იმავდროულად, აუცილებელია სოციალური ცვლილებებიც, რისი მიღწევაც სოციალური კამპანიებით არის შესაძლებელი. ამასთან, კანონმდებლობა ვერ იქნება ეფექტური იმ ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების უნდობლობის პირობებში, რომელთაც კანონმდებლობის აღსრულება ახარიათ. ამრიგად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი აქტორების მიმართ აქვს მოსახლეობას ნდობა, შესაბამისად, ვინ შეძლებს ყველაზე ეფექტურად სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო გზავნილების საზოგადოებამდე მიტანას.

**საკვანძო სიტყვები:** დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა.

## **Abstract**

Discrimination, hate crimes and hate speech remain problematic issues in Georgia. This is evidenced by high-profile cases of allegedly hostile attitudes towards minorities, such as the 2018 incident in which migrants were expelled from a football stadium in Tbilisi, as well as the lack of a small-scale demonstration in 2013 to mark International Homophobia Day (IDAHO). Also noteworthy are the relatively small incidents of discrimination motivated by the daily occurrence.

Action is needed to improve the situation with discrimination, hate crime and hate speech in Georgia. Legislation plays an important role in this, but at the same time, social changes are needed, which can be achieved through social campaigns. However, the legislation will not be effective in the face of public distrust of the institutions that enforce the law. Thus, it is important to find out which one the population trusts, hence who will be able to most effectively convey hate speech, hate crimes and anti-discrimination messages to the public.

**Key words:** Discrimination, hate-motivated crime, hate speech.

# საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის ურთიერთმიმართება შეიარაღებული კონფლიქტებისას

ანა ნიჟარაძე

European University Viadrina, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ეთერ ხანჯალიაშვილი

კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

მსოფლიო ისტორიაში კაცობრიობა არაერთი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მომსწრე გახდა. ამ მოვლენების ყველაზე დაუცველი მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაა. ნაშრომში საუბარი იქნება საერთაშორისო სამართლის ორ კონკრეტულ მიმართულებაზე - საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე, იგივე ომის სამართალზე, რომელიც გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის და მათი საკუთრების დასაცავად, ომის მეთოდების და საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის ყოველდღიური ცხოვრების და სრულფასოვანი განვითარებისთვის.

ეს არის ორი სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი, რომლებიც ინდივიდუალურად მათი მომწესრიგებელი საერთაშორისო ინსტრუმენტებით ინდივიდუალურად განმარტავენ კონცეფციებს და ტერმინებს მათი სამოქმედო არეალის ფარგლებიდან გამომდინარე. თითოეულ მათგანს აქვს მისი ობიექტი და მკაფიო მიზნები, ასევე ცალკეული სამართლებრივი არსებობა, რომლებიც ერთად გავლენას ახდენს ტერმინების ინტერპრეტაციასა და გამოყენების წესზე. ამდენად, საუბარი იქნება საერთაშორისო სამართლის ამ მიმართულებათა მნიშვნელობასა და არსზე და ასევე მათ მიერ დაცულ პირთა წრეზე და შეიარაღებულ კონფლიქტებში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის დღემდე არსებულ მექანიზმებსა და მათ სამართლებრივ მდგომარეობაზე; რომელი მიმართულება წარმოადგენს *lex specialis* ადამიანთა დასაცავად შეიარაღებულ კონფლიქტებში, არსებობს თუ არა მათ მექანიზმებში რაიმე ხარვეზი, რა როლი აქვს თითოეულ მათგანს შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანთა დასაცავად და ხომ არ გამორიცხავენ ისინი ერთმანეთს. ამდენად განხილულ და შედარებულ იქნება თუ რა დროს და რა მოცულობით იცავს თითოეული მათგანი მშვიდობიან მოსახლეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ამდენად, ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, რომელიც უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოიყენება და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განმარტებაზე იქნება აგებული, რომლითაც თითოეული ინდივიდის უფლებებია გარანტირებული და დაცული უპირველესად მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან. ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს საერთაშორისო სამართლის ამ ორი დარგის ურთიერთდამოკიდებულება, რა დროს მოქმედებს თითოეული მათგანი და როგორი პრაქტიკა აქვს გაეროს ამ საკითხთან დაკავშირებით; ასევე ითვალისწინებს თუ არა მათი რომელიმე ინსტრუმენტი/წყარო შეიარაღებულ კონფლიქტებში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ უშუალო დებულებებს და რა მოცულობისაა ისინი.

მსჯელობისას გამოყენებულ იქნება უახლესი სამეცნიერო წყაროები, რომელთა საფუძველზეც ნათლად იქნება შედარებული საერთაშორისო სამართლის ეს ორი უმნიშვნელოვანესი დარგი შეიარაღებულ კონფლიქტებში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი, შეიარაღებული კონფლიქტები, მშვიდობიანი მოსახლეობა, უფლებების დაცვა, ურთიერთმიმართება.

## **Abstract**

Throughout world history, mankind has witnessed a number of international armed conflicts. The most vulnerable victims of these events are civilians. The paper focuses on two specific areas of international law - international humanitarian law, the law of war used in both international and non-international armed conflicts for protecting civilians and their property, the use of methods and means of war, and international human rights law, that is extremely important for the daily life and full development of each individual.

These are two different international legal regimes, that individually define concepts and terms individually within their spheres of action with their regulatory international instruments. Each of them has its object and clear goals, as well as separate legal existence, which together influence the interpretation and use of terms. Thus, the importance and essence of these areas of international law will be discussed, as well as the existing mechanisms of protection of civilians in armed conflicts and their legal status; which direction is *lex specialis* for protecting individuals in armed conflict, whether there are any shortcomings in their mechanisms, what is the role of each of them in protecting and whether they are mutually exclusive. Thus, when and to what extent each of them protects the civilian population in armed conflicts will be discussed and compared.

Thus, the main structure of the paper will be based on the definition of international humanitarian law, which is directly used in armed conflicts, and international human rights law, which guarantees and protects the rights of each individual primarily because they are human beings. The main purpose of the paper is to show the interrelation between these two fields of international law, when each of them operates and what is the practice of the UN in this regard; Also, whether any of their tools / sources provide direct provisions on the protection of civilians in armed conflicts and to what extent.

The latest scientific sources will be used in discussion, based on which these two important areas of international law will be clearly compared in the context of the protection of civilians in armed conflicts.

**Keywords:** International Humanitarian Law, International Human Rights Law, Armed Conflicts, Civilian, Protection of rights, Interrelation.

# ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და საქართველოს პრაქტიკა: შედარებითი ანალიზი

ნინო მაისურაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დღესაც, XXI საუკუნეშიც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, მსოფლიო მასშტაბით. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, როგორც უნივერსალურ დონეზე, ისე რეგიონული სისტემების ფარგლებში არსებითად განვითარდა. ადამიანის უფლებების ამ განსაკუთრებით სასტიკი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად წარმართვისთვის კი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ შექმნა არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია კრიტიკულად შეაფასოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გაანალიზოს მათი როლი ამ ტრანსნაციონალური დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების ეფექტიანად დასაცავად და ამასთან, შეაფასოს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილი სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი.

ნაშრომში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების ეფექტიანობის დასადგენად განხილული იქნება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმები, რომლებიც ამ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს ადგენს: ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ასევე გაეროს „ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კონვენციის მე-2 ოქმი, კერძოდ ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთის და სასჯელთა დადგენის შესახებ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პრაქტიკას ამოწმებენ ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მაგ: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ პროგრესის მონიტორინგს ახორციელებს ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სტანდარტების დამდგენი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია-ევროპის საბჭო, რომელიც პერიოდულად GRETA-ს მონიტორინგის საფუძველზე, აქვეყნებს ანგარიშს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ფარგლებში ამ სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. სწორედ ამ სამართლებრივ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოხდება საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ადამიანების უფლებების უზრუნველყოფის შეფასება იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

**საკვანძო სიტყვები:** ტრეფიკინგი, სამართლებრივი სტანდარტები.

# სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, როგორც არაძალადობრივი მოძრაობა

ნიკა უსუფაშვილი,

დავით მაჭარაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის ფარგლებში ვიმსჯელებ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არსზე (აქვე ყურადღება მიექცევა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა არათანამშრომლობა, არაძალადობა, ღიაობა, აქვს თუ არა პოლიტიკური ხასიათი და სხვ.) და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფორმები, კერძოდ, პირდაპირი და არაპირდაპირი დაუმორჩილებლობა. გარდა ამისა, საინტერესო იქნება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დახასიათება რელიგიურ ჭრილში, კერძოდ, რადიკალი პატრიოტებისა და ბიბლიური სუბმისიონისტების შეხედულებების განხილვით აღნიშნულის მიმართ. ნაშრომში წარმოვადგენ შუა საუკუნეები-მეოცე საუკუნის ისეთი მოაზროვნეების შეხედულებებს, როგორებიც არიან თომა აკვინელი, ნიკოლო მაკიაველი, ჰუგო დე გროტ გროციუსი, თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟან რუსო, რონალდ დვორკინი და სხვები. დაბოლოს, განვიხილავ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის წარმატებულ შემთხვევებს (მაგ. არაძალადობრივი პორტუგის გზით 1950-60-იან წლებში აშშ-ში სამოქალაქო უფლებათა მოძრაობა, 1966 წელს ნიუ-იორკში ჰომოსექსუალების მხრიდან განხორციელებული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, 1989 წლის პრადის დემონსტრაცია, 2013 წლის ციფრული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და სხვ.). ყოველივე ეს საბოლოოდ დაგვანახებს, რომ შესაბამისი ზომიერებითა და ჯანსაღი მსჯელობით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ხელს უწყობს სამართლებრივი ინსტიტუტების შენარჩუნებასა და გაძლიერებას, უსამართლობასთან დაპირისპირება კანონის ფარგლებში კი ემსახურება სამართლისაგან გადახვევის შეჩერებას და მის გაძლიერებას.

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, ღიაობა, არათანამშრომლობა, ბიბლიური სუბმისიონისტები, რადიკალი პატრიოტები, ციფრული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა.

## Abstract

In the present paper I will discuss the essence of civil disobedience (here we will focus on the characteristics of civil disobedience such as non-cooperation, non-violence, openness, whether it is political in nature, etc.) and forms of civil disobedience, namely, direct and indirect. In addition, it will be interesting to characterize civil disobedience in a religious context, in particular by discussing the views of radical patriots and biblical missionaries in this regard. The paper presents the views of medieval-twentieth-century thinkers such as Thomas Aquinas, Niccolò Machiavelli, Hugo de Grot Grotius, Thomas Hobbes, John Locke, Jean-Jean Rousseau, Ronald Dvorkin, and others. Finally, we discuss successful cases of civil disobedience (e.g., nonviolent protest through the civil rights movement in the United States in the 1950s and 1960s; civil disobedience by homosexuals in New York in 1966.). All of this will ultimately show us that with proper moderation and common sense, civil disobedience contributes.

Maintaining and strengthening legal institutions; Opposition to injustice serves even within the law  
Stopping and strengthening the deviation from the law.

**Keywords:** Civil Disobedience, Openness, Non-Cooperation, Biblical Submission, Radical Patriots, Digital Civil Disobedience.

## თავშესაფრის ძიება პანდემიის პირობებში

თამარ ვარდიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალს ხშირად უწოდებენ გადარჩენის სამართალს, რასაც ბუნებრივია აქვს თავისი გონივრული საფუძველი. ადამიანები არ ეძიებენ თავშესაფარს საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ისინი ლტოლვილის სტატუსის მისაღებად ისწრაფვიან იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ ძალადობას, დევნას ან/და ომს.

თავშესაფრის ძიება მუდმივად წარმოადგენდა პოლიტიკურად სენსიტიურ და პროცედურულად კომპლექსურ საკითხს, თუმცა COVID-19 პანდემიის პირობებში მდგომარეობა რადიკალურად გართულდა.

მაშინ, როდესაც სახელმწიფოები მოსახლეობას "სახლში დარჩენისა და ხელების ხშირად დაბანისკენ მოუწოდებდნენ" მსოფლიოში უამრავი ადამიანი იმყოფებოდა დევნის ქვეშ, თუმცა მათ არათუ სახლში დარჩენა შეეძლოთ, არამედ წარმოშობის ქვეყნის დაცვის ქვეშ აღარ ყოფნის პარალელურად მათთვის სრულად ჩაკეტილი იყო იმ სხვა უსაფრთხო ქვეყნის საზღვრებიც, სადაც ისინი შეძლებდნენ თავშესაფრის ძიებას.

მოცემული ნაშრომის მიზანია განიხილოს სახელმწიფოთა პრაქტიკები პანდემიის განმავლობაში. აღნიშნული მნიშვნელოვანია ერთი მხრივ იმიტომ რომ სახელმწიფოებს ნამდვილად ჰქონდათ ერთმანეთისგან განსხვავებული საპასუხო რეაქციები ჯანდაცვის კრიზისში სხვადასხვა უფლების დაცვის უზრუნველყოფაზე და მეორე მხრივ, აუცილებელია ხაზი გაესვას პანდემიურ პრაქტიკებს, რადგან არსებობს იმის შანსი, რომ მოცემული მიდგომები ხანგრძლივად დამკვიდრდება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო საზოგადოებამ კი ბუნებრივია არ უნდა დაუშვას მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრება ისეთი მნიშვნელოვან სფეროში, როგორც ლტოლვილთა სამართალია.

ნაშრომში აქტიურადაა მიმოხილული სტრატეგიები და რეკომენდაციები იმისათვის, რომ ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნების შემდეგ, თავშესაფრის ძიება აღდგეს არა მხოლოდ პანდემიამდე არსებული ფორმით, არამედ უფრო ფართოდ გადაიხედოს თავშესაფრის სისტემები იმისათვის, რომ სრულად აღმოიფხვრას სისტემაში გამოვლენილი ხარვეზები.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19, თავშესაფრის ძიების უფლება, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი, დახურული საზღვრები.



## Abstract

International Refugee Law is often called as Law of Survival, which has its reasonable cause. People do not seek asylum because of raising their standard of living. They are seeking refugee status to escape from violence, prosecution, or war.

The issue of seeking asylum always was politically sensitive and procedurally complex, however during the COVID-19 pandemic situation radically has worsened.

When states were calling for people to ‘Stay at home. Wash your hands frequently with soap and water.’ Many people in the world were under persecution, therefore they not only did not have a chance to stay at home but parallelly of ceasing protection from origin state all safe third countries had their borders closed.

This paper aims to examine state practices during the pandemic. It is important on the one hand because practices varied for every country and on the other hand, it is essential to underline practices rooted during pandemic not to become permanently recognized practices in international refugee law. If fallacious practices become permanent it will be a sign that the international community failed in protecting the right to seek asylum.

Finally, this article explores strategies for restoring and protecting the right to seek asylum beyond the pandemic. We should use COVID-19 as an opportunity to strengthen the asylum system and to redress some of the long-standing weaknesses in asylum processes.

**Key words:** COVID-19, right to seek asylum, international refugee law, closed borders.

## უზენაესი სასამართლოს უვადოდ გამწესება: პრობლემატიკა და თანამედროვე გამოწვევები

ქეთევან ამირბეგოვი,

ანა გუნჯუა

კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, მოსამართლეთა უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს და სხვადასხვა შეხედულებებია როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან. ფაქტია, რომ დღეს არსებული სამართლებრივი სივრცე, სრულიად ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და შესაბამისად დღემდე ვერ დადგინდა მოსამართლეთა ის კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლოა საკმარისი ან შესაბამისი იყოს მოსამართლის უვადოდ გამწესებისთვის. მოსამართლეთა უვადოდ გამწესების საკითხზე მსჯელობამ კულმინაციას 2019 წლის დასაწყისში მიაღწია, სადაც ჯერი მიდგა უზენაესი სასამართლოს ახალი წევრების უვადოდ გამწესების თაობაზე. ფაქტია, რომ საქართველო დღევანდელ რეალობაში დიდი გამოწვევის წინაშე დგას და აუცილებელია იურიდიულმა საზოგადოებამ იმსჯელოს და იკვლიოს მოცემული საკითხი. ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ქართული საკანონმდებლო ბაზა მოსამართლის უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით, შეისწავლოს დასავლური და

ამერიკული პრაქტიკა და შედეგების დაგვარად გამოავლინოს დღეს მოქმედი კანონმდებლობის სტატუსი და ძლიერი მხარეები.

**საკვანძო სიტყვები:** მოსამართლეთა უვადოდ გამწესება, ქართული საკანონმდებლო ბაზა.

### **Abstract**

In the recent years, the events connected with the elections of the lawyers in the republic of Georgia have become extremely arguable. There has been a but of positions fixed by the side of different political and social groups. the field of justice can not satisfy the demands of Georgian society and neither agree on the criterias enough for appointing a judge for life.

The discussion has reached it`s peak at the beginning of 2019 when the problematic question connected with the lawyer`s positions took peace. the fact is that Georgia is face to face with a tough challenge and it`s essential for the juridical society to research the background of this problem.

The aim of the work is to study and analyze Georgian juridical base connected with the election of a lawyer permanently, study western and American practice and distinguish strong and weak points of lawmaking process nowadays.

**Key words:** Appointment of judges for life, Georgian legislative base.

## **განათლების უფლება- როგორც მიზანი და საშუალება ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი რეალიზაციის გზაზე (საქართველოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზი და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან)**

თამარ გობეჯიშვილი,

ანა ჩხეიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **აბსტრაქტი**

კორონავირუსის გავრცელების გამო, 2020 წლის 23 მარტს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში მკაცრი საკარანტინო ღონისძიებები გამოცხადდა (მათ შორის, ტერიტორიაზე შესვლა-გასვლაზე აკრძალვა). ამ მომენტამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერთ საინფორმაციო გამოშვებებში პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაცია აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე არ გასულა. საკარანტინე ღონისძიებების გამოცხადებამდე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არ იყვნენ ინფორმირებულები პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეთნიკური უმცირესობების ინფორმაციაზე წვდომის გამწვანება პანდემიის პირობებში პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ქართული ენის არასათანადო ცოდნასთან, შესაბამისად ლინგვისტური და განათლების უფლებების არასრული მოცულობით რეალიზებასთან.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზება და, შესაბამისად, პოლიტიკურ-სოციალური ინტეგრაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ

ჯგუფისთვის განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის არის აუცილებელი მექანიზმი სხვა უფლებებით სარგებლობისა და ასევე საკუთარი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისთვის. სწორედ ამის გამო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას განათლების უფლებაზე, როგორც უმცირესობათა სპეციალურ უფლებაზე, ხელმისაწვდომობა. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებებისა, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა კვლავ ფორმალისტურ ხასიათს ატარებს, რაც ამნელებს სახელმწიფოს მხრიდან რიგი პრობლემების გააზრებასა და აღმოფხვრას.

წინმდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. FCNM-ის მრჩეველთა კომიტეტისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში გამოკვეთილი ხარვეზები ცხადყოფს, რომ მთელი რიგი პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, სახელმწიფომ დღემდე ვერ შეძლო ეთნიკურ უმცირესობებზე მიმართული განათლების ერთიანი, თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება. სისტემის ფრაგმენტულობა კი ვერ უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ეთნიკურ უმცირესობები მიიღებენ ხარისხიან განათლებას.

**საკვანძო სიტყვები:** ეთნიკური უმცირესობები, ქართული ენის არასათანადო ცოდნა, განათლების უფლების არასათანადო რეალიზება, პოლიტიკურ-სოციალური ინტეგრაცია, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები, FCNM-ის მრჩეველთა კომიტეტის ანგარიში, სახალხო დამცველის ანგარიში.

## **Abstract**

Due to the spread of Coronavirus, on 23rd march of 2020, strict quarantine measures have been declared in Bolnisi and Marneuli regions (including the ban on entering or leaving the area). Until that moment, information about the pandemic was not transmitted by the Georgian Public Broadcasting's news program. Prior to announcing quarantine measures in Armenian and Azerbaijani languages ethnic minorities were unaware of issues related to the pandemic. Complication of access to information for ethnic minorities in pandemic is directly or indirectly related to improper knowledge of Georgian language, correspondingly, to incomplete realization of linguistic and educational rights.

Realization of the right of ethnic minorities and, accordingly, political-social integration remains as significant challenge in Georgia. Access to the right to education for this group has a particular importance, as it is an essential mechanism for exercising other rights and as well as for maintaining their own ethnic identity. That is why access to this right deserves a significant attention. Despite of obligations on international or national level the protection of the right of ethnic minorities and the promoting of their integration are still formalistic, which makes it difficult to comprehend and eliminate a number of problems by the state.

Present ork discusses an analysis of education policy of ethnic minorities implemented by the state of Georgia in connection with international standards. The shortcomings revealed in advisory committee report on FCNM and in Public defender's report demonstrate that, despite a number of positive steps, the state so far has not been capable of making unified, consistent education policy for ethnic minorities.

The fragmentation of the system fails to create that kind of environment, where ethnic minorities can get high quality education.

keywords: ethnic minorities, improper knowledge of Georgian language, incomplete realization of right to education, political and social integration, access to right to education, obligations on international and national levels, advisory committee report on FCNM, Public Defender's report.

**Key words:** Ethnic Minorities, Inadequate Knowledge of Georgian Language, Improper Realization of the Right to Education, Political-Social Integration, Access to the Right to Education, International and National Obligations, Report of the FCNM Advisory Committee, Report of the Public Defender.

## პრაიმერისი-შიდაპარტიული დემოკრატიის გამოვლინება.

მარიამ გიორგაძე,

სალომე ჯალაღანია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

პოლიტიკურ პარტიებს დიდი როლი აქვს თანამედროვე ქვეყნების განვითარებაში, ფორმირებაში, აქედან გამომდინარე პოლიტიკური პარტიების სამართალსაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება. ისინი მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში და მათი მიზანი არჩევნების გზით, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაა. ამ ინსტიტუტის მნიშვნელობაზე კი ისიც მიგვითითებს, რომ პოლიტიკური პარტიების თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა თავშია განმტკიცებული.

იმისათვის რომ აღნიშნულმა გაერთიანებამ თავისი ფუნქციები შეასრულოს, მათი საქმიანობის განხორციელებისას საჭიროა დაცული იყოს ისეთი ძირითადი პრინციპები როგორებიცაა თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპები.

ნაშრომის თემას სწორედ შიდაპარტიული დემოკრატია წარმოადგენს, კერძოდ კი მისი ერთ-ერთი გამოვლინება - პრაიმერისი. ვიმსჯელებთ თუ რა არის პოლიტიკური პარტიების აღნიშნული პრინციპი, რა როლი აქვს პარტიათა საქმიანობაში.

შიდაპარტიული დემოკრატიის საკვანძო საკითხია პარტიის კანდიდატების გასაზღვრა სახელმწიფო დონეზე გასამართი არჩევნებისათვის. ამისათვის კი მსოფლიოში სხვადასხვა ინსტრუმენტები გამოიყენება, რასაც შემდგომში განვიხილავთ. ამათგან ერთ-ერთი საინტერესო პრაქტიკაა პრაიმერისი, ე.წ პირველადი არჩევნები, რაც სხვადასხვა ქვეყანაში არის უკვე დამკვიდრებული. მთავარი აქცენტი სწორედ მასზე გვექნება.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ პირველადი არჩევნების მოდელები, რა სახით გვხვდება იგი მსოფლიოს გარშემო, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია მას, ასევე განვიხილოთ

პრაქტიკაში მათი ქმედითობა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე და პრაიმერისის როგორც შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტიტუტის დანერგვის პოტენციალზე საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური პარტიების სამართალი; შიდაპარტიული დემოკრატია; პრაიმერისი.

## **Abstract**

Political parties have a great role in the development and formation of modern countries; therefore, the law of political parties also plays an important role in democracies.

A political party is a voluntary, independent association of citizens based on a common worldview and organization. They participate in the formation and implementation of the political will of the people and their goal is to gain political power through elections.

In order for this union to fulfill its functions, it is necessary to observe such basic principles as the principles of freedom, equality, transparency and intra-party democracy.

The topic of the paper is intra-party democracy, in particular, one of its manifestations - Primaries. We will discuss what is the mentioned principle of political parties, what is their role in the activities of the parties.

The key issue of intra-party democracy is the determination of party candidates for state-level elections. To do this, different tools are used around the world, which we will discuss later. One of these interesting practices is the primaries, the so-called primary elections, which is already established in different countries. The main focus will be on it.

Our aim is to discuss the models of primary elections, how they are found around the world, what are their pros and cons, as well as their practical application on the example of different countries and the potential for the introduction of primaries as one of the institutions of intra-party democracy in Georgia.

**Keywords:** Party law, Intra-party democracy, Primaries.

## **ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე**

ნატა სუხაშვილი,

მაკა პაპაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

## **აბსტრაქტი**

საკონფერენციო ნაშრომში წარმოდგენილი იქნება საჯარო სამართლებრივი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფორმა - ადმინისტრაციული ხელშეკრულება. აღნიშნული საკითხი, განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული კანონდმებლობის განუყოფელ ნაწილს, რომელიც გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობითი ღონისძიებათა განხორციელებაზე. ადმინისტრაციული ხელშეკრულება

თავისი სამართლებრივი და შინაარსობრივი ასპექტებიდან გამომდინარე, თანხვედრაშია სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებასთან, რაც შემდგომში ქმნის მათი გამიჯვნის პრობლემას. აღნიშნულ პოზიციას, განამტკიცებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გარკვეული დანაწესებიც (მე-მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი).

ნაშრომის პირველ თავში ასახული იქნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ზოგადი ფუნქცია და მისი შემადგენელი ელემენტები. ამასთანავე, ვისაუბრებთ, წარმოდგენილი საქმიანობის სამართლებრივი ფორმის კანონიერების ორ შეფასებით კომპონენტზე, კერძოდ ფორმალურ და მატერიალურ მხარეზე.

მეორე თავში, განხილული იქნება გამიჯვნის პრობლემა, რომელიც ცხადყოფს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს. ამასთან, მსჯელობა განვითარდება იმ ძირითადი თეორიების ირგვლივ, რომლებიც ერთგვარ დამხმარე ინსტრუმენტებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებათა იდენტიფიცირების დადგენის კუთხით.

მესამე თავში, გადმოცემული იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკის ანალიზი და სასამართლოთა შორის განსჯადობასთან მიმართებაში არსებული რეალობა. გარდა ამისა, აქცენტი გაკეთდება განსჯადობის იმ გარემოებებზე, რომლებიც თავის მხრივ აფერხებს სასამართლოს მიერ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

მოთხე თავში, განიხილება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო ხელშეკრულებასთან არსებული მოწესირება. აქვე ყურადსაღებია, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი კონტინენტური ევროპის სამართლის ნორმებთან მიმართებაში.

მეხუთე თავში, დასკვნის სახით შეჯამდება ნაშრომში გამოკვეთილი ყველა ძირითადი თეზისები, რომელთა საფუძველზეც გაცემული იქნება სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები და წარმოდგენილი პრობლემის მომწესრიგებელი ქმედითი მექანიზმები. ზემოაღნიშნულ ინფორმაციათა გათვალისწინებით, აშკარაა, მოცემული საკითხის აქტუალურობა სასამართლო პრაქტიკაში. შესაბამისად, საკონფერენციო ნაშრომის მთავარი მიზანია, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების მნიშვნელობის განსაზღვრა და ამ უკანასკნელის მოქმედების ფარგლების დადგენა, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ადმინისტრაციული ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, გამიჯვნა, სასამართლო პრაქტიკა, დასკვნა.

## **Abstract**

The conference paper will present one of the most important forms of public law activities - an administrative contract. This issue belongs to an integral part of the administrative legislation of Georgia, which affects the implementation of administrative measures by the administrative body. The administrative contract, due to its legal and substantive aspects, is in line with the civil legal contract, which further creates the problem of their separation. This position is also strengthened by certain provisions of the General Administrative Code of Georgia (sub-paragraph "g" of the first part of Article I).

The first chapter of the paper will outline the general function of the administrative contract and its constituent elements. In addition, we will talk about the component of two assessments of the legality of the legal form of the presented activity, namely the formal and material side.

In the second chapter, the problem of separation will be discussed, highlighting the challenges in practice. At the same time, reasoning develops around the main theories that are a kind of auxiliary tools in determining the identification of administrative and civil contracts.

In the third chapter, the analysis of the practice of decisions made by the common courts of Georgia and the reality regarding the jurisdiction between the courts will be presented. In addition, emphasis will be placed on the circumstances of the jurisdiction which in turn impede the speedy and effective administration of justice by the court.

Chapter 4 discusses the existing administrative and civil treaty arrangements in continental European countries. A comparative analysis of Georgian administrative legislation in relation to the norms of continental European law is also noteworthy.

In the fifth chapter, all the main theses outlined in the paper will be summarized as a conclusion, on the basis of which the notes of a recommendatory nature will be issued and the effective mechanisms for resolving the presented problem will be presented. In view of the above information, it is obvious that this issue is relevant in court practice. Accordingly, the main purpose of the conference paper is to determine the legal significance of the administrative contract and to determine the scope of the latter, which is essential for the effective implementation of administrative legislation.

**Keywords:** Administrative contract, Civil law contract, Separation, Case law, Conclusion.

## ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარების საკითხი 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით

ხატია ლეონიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ადამიანის ძირითადი უფლებების ჩამოყალიბების საფუძველია საქართველოში. საქართველოს პირველი კონსტიტუცია ამკვიდრებდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს, რომელიც ეფუძნებოდა იმ პერიოდის ევროპაში საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების სტანდარტებს. ჩვენი ინტერესის საგანია თანამედროვე პერიოდში ადამიანის ძირითადი უფლებების განვითარების საკითხი 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციისა და დღეს მოქმედი რედაქციის შედარებისას მნიშვნელოვანია გამოიყოს საერთო და განმასხვავებელი ის საკითხები, რომელიც ქმნის ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიას.

1995 წლის კონსტიტუციის მე-2 თავი ადამიანის უფლებების შესახებ, გარკვეულად წარმოადგენს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სამართლებრივ მემკვიდრეობას, რაც დასტურდება იმით, რომ საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ასახულია ბევრი

უფლება და პრინციპი 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტიდან. შესაძლებელია გამოიყოს უფლებები, რომლებიც მსგავსი დასახელებით ან ოდნავ სახეცვლილი ფორმით აისახა მოქმედ კონსტიტუციაში, ან მოქმედი სამართლის ის უფლებები, რომლებიც ნორმატიულად შეიცვალა, თუმცა შინაარსი მსგავსია. ასევე, უფლებები, რომლებიც არ იყო ასახული პირველ კონსტიტუციაში და ასახულია ახლა. მაგალითად, დღემდე კონსტიტუციურად მიჩნეულია რომ ადამიანის ძირითადი უფლებები წარმოადგენს უშუალოდ მოქმედ სამართალს, იგი ზღუდავს სახელმწიფოს და ხალხის ნებას, შესაბამისად უფლებათა ნორმატიული რეგულირების ჩამოყალიბება დროსა და სივრცეში შესაძლოა განსხვავებული ფორმით ხასიათდებოდეს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პირველი კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების შედარება დღეს მოქმედ რეგულირებასთან, თუ როგორ განვითარდა და დაიხვეწა 100 წლის განმავლობაში ადამიანის ძირითადი უფლებების კონსტიტუციური რეგულირების საკითხი.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანის ძირითადი უფლებები, კონსტიტუცია, განვითარება.

## **Abstract**

